

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული
შტაბი

J7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების
დეპარტამენტი

სსიპ ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ლელა მიქიაშვილი

ერეკლე მეორის სამხედრო
კოლიტიკა

მეომრის ბიბლიოთეკა №15

თბილისი
2008

თქვენს წინაშეა ახალი სერიის „მეომრის ბიბლიოთეკის“ მეთხუთმეტე წიგნი; სერია ითვალისწინებს წიგნების მთელ წყებას, რომლებშიც პოპულარულად იქნება გადმოცემული საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენები.

სერიის მიზანია ქართველი მეომრის და იმედია, არა მარტო მისი, პატრიოტული აღზრდა და ცოდნის მიწოდება მისაღებ ფორმებში. სერიაში გათვალისწინებულია პოპულარული, მაგრამ მაღალ პროფესიონალურ დონეზე დაწერილი სახელმძღვანელოები; ეს პატარა, მაგრამ ტევადი და კარგად გაფორმებული ბროშურები მიეძღვნება ქართველთა უდიდეს მეფე დავითს, თამარს, გიორგი ბრწყინვალეს, ბაგრატ III-ს, საქართველოში წარმოებულ მთავარ და გადამწყვეტ ბრძოლებს, XIX–XX სს-ის გამოჩენილ ქართველ ოფიცრებს, საქართველოსა და მსოფლიო სამხედრო ისტორიის ცალკეულ საკითხებსა და ა.შ.

სერიის გამოცემის ინიციატორები არიან ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი და საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

დიდი სურვილი და იმედი გვაქვს, რომ მეომართა და ოფიცერთა გარდა, საქართველოს ყოველი მოქალაქე სიამოვნებით მიიღებს ამ სერიის ყოველ ახალ წიგნს.

სერიის გარეკანზე მოთავსებული წარწერა და დიდი დავითი ყველას შეახსენებს, რომ ბრძოლა საქართველოსთვის დღესაც გრძელდება.

ვაჟა კიკნაძე

სერიის სარედაქციო კოლეგია:

ისტორიის მეცნიერებათა
ლოქტორი, პროფესორი

ვაჟა კიკნაძე

ისტორიის მეცნიერებათა
ლოქტორი, პროფესორი

თამაზ ბერაძე

რეცენზენტი: ისტორიის მეცნიერებათა
ლოქტორი, პროფესორი

ვახტანგ გვილაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ნინო გიგანი

ყლის დიზაინი: გიორგი კიკნაძე

რედაქტორი: ნარგიზ ხარაბაძე

ტექნიკური რედაქტორი: მარი ჭონიშვილი

დამტკიცებული და სამოქმედოდ შემოღებულია საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო დეპარტამენტის უფროსის – პოლკოვნიკ ნოდარ ქვილითაიას მიერ

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის
ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა. 2008 წ.

ქ. თბილისი, გენერალ კვინიტაძის ქ. №20

ტელ.: +995 32 91-19-83

ფაქსი: +995 32 91-19-83



მეფე ერეკლე II

ქართველი ხალხის ცნობიერებაში ერეკლე II-ს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მის სახელს უკავშირდება აღმოსავლეთ საქართველოს, ანუ ქართლ-კახეთის სამეფოს აღორძინებისათვის წარმოებულ ბრძოლებში მოპოვებული არაერთი ბრწყინვალე გამარჯვება. ერეკლე II-ის სამხედრო პოლიტიკის წარმატება მით უფრო მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ, რომ მის გამეფებას წინ უძღოდა ქართლ-კახეთისათვის განსაკუთრებული ძნელებლობის ხანა: 1723 წლიდან დაწყებული, თორმეტი წლის განმავლობაში ქვეყანაში ოსმალები (თურქები) ბატონობდნენ, 1735 წლიდან კი „ოსმალობა“ არანაკლებ მძიმე „ყიზილბაშობამ“ (ირანელთა ბატონობამ) შეცვალა, რომელიც 1747 წლამდე გრძელდებოდა. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ქვეყანაში სრული განუკითხაობა სუფევდა. ქვეყნისათვის, შიდა ანექსიაზე გაცილებით უფრო დიდი უბედურება ლეკთა თარეში იყო. ამ პერიოდში ქართლ-კახეთში არ დარჩენილა არც ერთი კუთხე, რომელიც ლეკებს არ დაერბიათ და გაეძარცვათ. ამას მრავალი მიზეზი ჰქონდა: ლეკთა შეიარაღებულ რაზმებს ქართველი ფეოდალები ხშირად ერთმანეთის დასარბევად იყენებდნენ; გარდა ამისა, ამბოხებულ ქართველთა წინააღმდეგ საბრძოლველად ლეკებს ოსმალებიც იყენებდნენ, და ბოლოს, უპატრონოდ დარჩენილ ქვეყანაში ლეკები საკუთარი ინიციატივითაც ლაშქრობდნენ – თავს ესხმოდნენ მოსახლეობას, ძარცვავდნენ მას და მიჰქონდათ ყველაფერი, რასაც მოიხელთებდნენ: ტყვეები, საქონელი, იარაღი, საკვები და სხვა. ბუნებრივია, ყოველივე ამას მეურნეობის დაცემა, მოსახლეობის რაოდენობის კატასტროფულად შემცირება, ხოლო შედეგად ზოგიერთი კუთხის სრული გაუკაცრიელება მოჰყვა. ირან-ოსმალეთის მრავალწლიანი მეტოქეობის ასპარეზად ქცეულ საქართველოს სრული განადგურება ემუქრებოდა. ასეთ ვითარებაში, ირანის ტახტს დაეუფლა ნადირ-შაჰი (ყოფილი თამაზ-ყული-ხანი, 1736-1747 წწ.) – ყიზილბაშთა ავშარის ტომის ერთ-ერთი წარმომადგენელი. იგი 1726 წლიდან შაჰ-თამაზთან მსახურობდა და წარმატებით ხელმძღვანელობდა ირანის ბრძოლას ავღანელებისა და ოსმალების წინააღმდეგ, რამაც მნიშვნელოვნად იმოქმედა მისი ავტორიტეტის ამაღლებაზე. 1732 წ. მან ტახტიდან ჩამოაგდო შაჰ-თამაზ II და მისივე მცირეწლოვანი შვილი აბას III შაჰად გამოაცხადა, თვითონ კი დროებით რეგენტობას* დასჯერდა; გარკვეული პერიოდი მან საკუთარი პოზიციების გასამყარებლად გამოიყენა და 1736 წ. ირანის შაჰის ტახტი დაიკავა. 1737-1739 წლებში განხორციელებული ლაშქრობების შედეგად ნადირ-შაჰმა შექმნა უზარმაზარი იმპერია, რომლის შემადგენლობაშიც ირანის გარდა, პროვინციებისა თუ ვასალური ტერიტორიების სახით, შევიდა სომხეთი, აზერბაიჯანი, აღმოსავლეთ საქართველო, დაღესტანი, ავღანეთი, ბელუჯისტანი*, ხივისა* და ბუხარის სახანოები*.

ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოში ოსმალობა ისევ ყიზილბაშობით შეიცვალა, თუმცა ამით ქვეყანაში არაფერი შეცვლილა, პირიქით – ყიზილბაშობას თან მოჰყვა ახალი გადასახადები და დარბევები, რის საპასუხოდაც ქართლ-კახეთში კვლავ აჯანყებები დაიწყო. სამწუხაროდ, აჯანყებულთა შეუთანხმებელი მოქმედებებისა, და რაც მთავარია – დამხმარე ძალების არარსებობის გამო, ამ ბრძოლას დიდი წარმატება არ ეწერა: ამ დროისათვის ირან-ოსმალეთს შორის მორიგი ზავი გაფორმდა, შესაბამისად, აჯანყებულთათვის იმთავითვე გამორიცხული

იყო ოსმალეთის მხარდაჭერის მოპოვება და ამ გზით უკვე მრავალჯერ ნაცადი პოლიტიკის გატარება, რომელიც ერთი მოწინააღმდეგის მეორის საპირისპიროდ გამოყენებას გულისხმობდა და რომელსაც ქართველები საუკუნეთა მანძილზე წარმატებით იყენებდნენ. აქედან გამომდინარე, აჯანყებულთა ერთადერთ იმედად ისევ რუსეთი რჩებოდა; ამ მიზნით საიმპერატორო კარზე ქართველთა რამდენიმე ელჩობაც გაიგზავნა, მაგრამ არსებულ ვითარებაში რუსეთისაგან დახმარების მიღებას რეალური საფუძველი არ გააჩნდა, რადგანაც თურქეთთან ომში (1735-1739 წწ.) ჩაბმულ რუსეთს, ბუნებრივია, ხელს არ აძლევდა ირანთან ურთიერთობის გაართულება; ამრიგად, საკმაოდ ძლიერი მტრის პირისპირ ქართველები მარტონი აღმოჩნდნენ. ასეთ ვითარებაში საქართველოში გამწესებული ყიზილბაშთა ჯარის სარდალმა სეფი-ხანმა აჯანყების მეთაურებს პატიება, შაჰთან შუამდგომლობა და ხარკის შემცირება აღუთქვა და ამ დაპირებების წყალობით შეხვედრაზე დაითანხმა, შემდეგ კი ფიცი გატეხა, ყველანი შეიპყრო და ისპაანში ნადირ-შაჰთან გაგზავნა. ამ დატყვევებულ ქართველთა შორის იყო ერეკლე II-ის მამა – თეიმურაზ II.

თეიმურაზი ქართლის მეფის ერეკლე I-ის (1688-1703 წწ.), ანუ იგივე ნახარალი-ხანის ვაჟი იყო (ერეკლე I აღიზარდა რუსეთის სამეფო კარზე, სადაც თითქმის ოცი წელი მძევლად იმყოფებოდა და ცნობილი იყო ნიკოლოზის სახელით). თეიმურაზი ჯერ კახეთის გამგებელი იყო (1709-1715 წწ.), შემდეგ კი – მეფე (1733-1744 წწ.); თავის ძმასთან – კონსტანტინე II-თან (კახეთის მეფე 1722-1732 წწ.) ერთად იგი აქტიურად იბრძოდა აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონებული ოსმალების წინააღმდეგ და მნიშვნელოვანი როლიც შეასრულა მათი განდევნის საქმეში; თუმცა ამის მიუხედავად, ნადირ-შაჰი მას კარგა ხანს მაინც ეჭვის თვალთ უყურებდა და თეიმურაზს საკმაოდ დიდი ძალისხმევა დასჭირდა მისი ნდობის მოსაპოვებლად.

თეიმურაზის მეუღლე (ერეკლეს დედა) თამარი ცნობილი ქართველი მეფის – ვახტანგ VI-ის ასული იყო. აღსანიშნავია, რომ თამარი ქართლ-კახეთის გაერთიანების გეგმის ერთ-ერთ ინიციატორად მოიაზრებოდა: იგი საკმაოდ ჭკვიანი პოლიტიკოსი და ბრწყინვალე დიპლომატი იყო; მისი გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე ცნობილი იყო არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი პრობლემების მოგვარებაში დედოფლის ღვაწლის შესახებ კარგად იცოდა ნადირ-შაჰმაც, რომელმაც ჯერ კიდევ 1735 წელს, ერევანში ყოფნისას, როცა თეიმურაზი თავისთან დაიბარა და დაატყვევა, მას უბრძანა, თამარ დედოფალიც იქ ხლებოდა. გზაში თეიმურაზმა გაქცევა მოახერხა და სასწრაფოდ თუშეთს შეაფარა თავი, რითაც დედოფალსაც აარიდა ტყვეობის საფრთხე; მაგრამ თავისთავად დედოფლის პიროვნებით ნადირ-შაჰის ასეთი დაინტერესება აშკარად მეტყველებს იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა თამარს იმ პერიოდის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. საგულისხმოა, რომ 1736 წლიდან, როდესაც თეიმურაზი ნადირ-შაჰის მოთხოვნით იძულებით გაემგზავრა ირანს, კახეთის გამგებლად თამარი დარჩა. იგი მტკიცედ და ენერგიულად მართავდა ქვეყანას და სახელმწიფო თანამდებობებსაც თავისი შეხედულებისამებრ ანაწილებდა.

სეფი-ხანის მიერ დატყვევებული ქართველების ირანში ჩასვლისას ნადირ-შაჰის განწყობა უკვე საპირისპიროდ იყო შეცვლილი, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა: შაჰისათვის ნათელი გახდა, რომ ვერც გამაჰმადიანებულმა ქართველებმა და ვერც მათ დასახმარებლად გამწესებულმა ყიზილბაშმა სარდლებმა ვერ შეძლეს საქართველოში ირანის ხელისუფლებისათვის მისაღები და სასურველი რეჟიმის დამყარება, ქართველთა აჯანყებებს ბოლო არ უჩანდა, სასტიკ დამსჯელ ღონისძიებებს კი არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. ამ გარემოებებმა შაჰი აიძულეს, დათმობაზე წასულიყო: მან თეიმურაზს კახეთის მეფობა შესთავაზა, ამის სანაცვლოდ კი მისი ქალ-ვაჟის – ერეკლესა და ქეთევანის ირანში გამოძახება მოსთხოვა. იმ დროისათვის ერეკლე მხოლოდ 15 წლის იყო (იგი დაიბადა 1720 წ.), მაგრამ უკვე აქტიურად მონაწილეობდა სახელმწიფო საქმიანობასა და სამხედრო ოპერაციებში, რასაც ადასტურებს ერეკლეს მემატიანე და მისივე ცხოვრების აღმწერელი ომან ხერხეულიძე: „წელსა 1735 მოვიდნენ ლეკნი და ქისიყი მოარბივეს. მაშინ იყო ძე მეფისა თეიმურაზისა ირაკლი წლისა 15, რომელმან შემოიყარა სოფლებიდან ჯარი, ეწია მინდორში და ძლიერად შემოებნენ ლეკნი; გარნა თვით ესე ყრმა, ძე მეფისა თეიმურაზისა ირაკლი, შევიდა შინაგან ჯარსა ლეკისასა და პირველად ამან მოკლა კაცი და ამის მხილველთა კახთა ერთპირად მიმართეს ყივილით და წინა წარიქციეს ჯარი ლეკისა, დაჰყარეს ტყვენი და საქონელი და მოსწყვიტნეს უძრავლესნი; ... და ფრიად მხიარულ იქმნენ კახნი, იხილეს რა სიმხნე და მამაცობა მემკვიდრისა მისისა“ ქართულ ისტორიულ წყაროებში უამრავი ცნობაა შემონახული ერეკლეს მიერ ბრძოლის წინა ხაზზე გამოჩენილი უმაგალითო გმირობის თაობაზე: მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, ხანდაზმულ ასაკშიც კი, არ ყოფილა შემთხვევა, რომ ერეკლე საკუთარი მეომრების მხარდამხარ არ ჩართულიყო ბრძოლაში. ამის თვალსაჩინო მაგალითი იყო მისი მეფობის მიწურულს გამართული კრწანისის ბრძოლა, რომლის შესახებაც მოგვიანებით გვექნება საუბარი.

აქვე უნდა ითქვას, რომ ერეკლეს სიყრმიდანვე, ნებისმიერი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისას ასეთივე შეუდრეკელობა ახასიათებდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თეიმურაზის გათავისუფლების სანაცვლოდ, ნადირ-შაჰმა ერეკლესა და ქეთევანის ირანში ჩასვლა მოითხოვა. ამის თაობაზე კახელი დიდებულები დიდხანს ბჭობდნენ; ვერაგი შაჰის ნდობა არ შეიძლებოდა, არავინ იყო დარწმუნებული, რომ ბატონიშვილების ხელში ჩაგდების შემდეგ იგი თავისივე სიტყვას არ გატეხდა, ასეთ შემთხვევაში კი კახეთი მეფისა და ტახტის მემკვიდრის გარეშე რჩებოდა.

ამიტომაც, უსაფრთხოების მიზნით, ერეკლეს ურჩევდნენ, თავი შეეკავებინა ირანში წასვლისაგან, მაგრამ მან „დიდად უარჰყო წარუსვლელობა თვისი და ჰსთქვა: მამაჩემი იქ უნდა ჰყვანდესთ და ჩემის იქ მისვლით გამოუტყვევდნენ (გამოუშვებდნენ, ლ.მ) და მე ამაზედ დავბრკოლდე და არა წარვიდე, ეს ჩემგან შეუძლო არისო.“ ამრიგად, 1737 წლის მარტში ბატონიშვილები ირანს ჩავიდნენ.

ნადირ-შაჰმა ქეთევან ბატონიშვილი თავის ძმისწულს – ალი-ყული-ხანს მიათხოვა ცოლად, თეიმურაზს კახეთის მეფობა უბოძა და საქართველოში გამოუშვა, ერეკლე კი თავისთან დაიტოვა და ინდოეთის ლაშქრობაში თან იახლა. საინტერესოა, რომ მემატიანის ცნობით, ამ შეხვედრისას ნადირ-შაჰს ერეკლესათვის მაჰმადიანურ

სარწმუნოებაზე გადასვლა შეუთავაზებია, მაგრამ პასუხად უარი მიიღო: „ჩემი სიკვდილი შესაძლებელ არს და სულისა (მოკვლა, ლ.მ.) – ვერვის ძალუძსო და არც მე გავმაჰმადიანდებო“ ამასთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, რომ შაჰ-აბასისაგან განსხვავებით, ნადირ-შაჰი საქართველოს მიმართ მკაცრი ანტიქრისტიანული პოლიტიკის გატარების მომხრე არ ყოფილა: მრავალწლოვანმა გამოცდილებამ იგი დაარწმუნა, რომ ქართლ-კახეთში ირანის ბატონობის შენარჩუნება შაჰისადმი მორჩილი ქრისტიანი მმართველის მეშვეობით უფრო ხელსაყრელი იყო, ვიდრე გამაჰმადიანებული ქართველი ხანებისა, რომლებიც მოსახლეობაში ნაკლები ნდობით სარგებლობდნენ. ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ დროისათვის რელიგიური მომენტი ქართველ მეფეთა და კერძოდ – თეიმურაზ II-ის საგარეო პოლიტიკაში უთუოდ მეორეხარისხოვანი იყო. პოლიტიკური ორიენტაცია საქართველოს ინტერესების შესაბამისად იცვლებოდა და თეიმურაზიც, თავისი წინამორბედი მეფეების მსგავსად, ცდილობდა, რომ არსებული სიტუაციით ნაკარნახევი ძლიერი მტრისადმი მორჩილება ქართლ-კახეთის ინტერესების სასიკეთოდ გამოეყენებინა. ამიტომაც იყო, რომ პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, თეიმურაზი პერიოდულად ნადირ-შაჰის ოპოზიციურ ბანაკშიც ყოფილა, მისი ერთგულების დამტკიცებაც ხშირად უცდია, საჭიროების შემთხვევაში მისივე ძალებიც გამოუყენებია საკუთარი ქვეყნის ინტერესებისათვის, ხოლო ნადირ-შაჰის დამხობის შემდეგ – რუსეთის იმპერიასთან მომგებიანი ურთიერთობის დამყარებისთვისაც მცდელობა არ დაუკლია. ისეთ მტრულ სახელმწიფოთა გარემოცვაში, როგორშიც იმდროინდელი საქართველო იმყოფებოდა, ალბათ, სხვაგვარი პოლიტიკა ვერც გაამართლებდა. თეიმურაზის მოქმედების სქემა კონკრეტულად ასე გამოიყურება: ყიზილბაშთა წინააღმდეგ აჯანყებულმა თეიმურაზმა რუსეთისაგან ვერ მიიღო დახმარება, ამიტომაც იგი ნადირ-შაჰს სწორედ იმ მომენტში შეურიგდა, როცა ეს უკანასკნელი ირანის ტერიტორიების შემოკრებას ამთავრებდა და აღმოსავლეთის მიმართულებით გრანდიოზულ ლაშქრობას გეგმავდა. თეიმურაზმა ზუსტად გათვალა, რომ ირანის მბრძანებელს სწორედ მაშინ სჭირდებოდა მხარდაჭერა ამიერკავკასიაში, სადაც თავისი რეჟიმის შენარჩუნებას მხოლოდ ყიზილბაშთა საოკუპაციო ჯარებით ვერ უზრუნველყოფდა. ამიტომ იყო, რომ შაჰმა კახეთის მეფე თეიმურაზს „ქრისტიანობა მიუტევა“ და დიდი პატივით გამოისტუმრა სამშობლოში. ამ ნაბიჯით ნადირ-შაჰმა ერთი მხრივ სცადა, შეემსუბუქებინა თავისივე წინამორბედთა ცოდვები ქრისტიანული ქართლ-კახეთის მიმართ, მეორე მხრივ, მას კარგად ესმოდა, რომ ეს გზა მისთვისაც მომგებიანი იყო, რადგანაც რელიგიური შემწყნარებლობა იმ დროს ერთ-ერთი ძლიერი ბერკეტი იქნებოდა საიმისოდ, რომ ირანს აღეკვეთა ქართველ პოლიტიკოსთა კავშირი ქრისტიანულ რუსეთთან. ყოველივე ამის შედეგად კი თეიმურაზმა ხარკისაგან დაიხსნა კახეთი, ხოლო ნადირ-შაჰმა თეიმურაზის მეშვეობით დაამშვიდა მღელვარე ქართლი, რომელსაც შაჰის მიერ დანიშნულმა ყიზილბაშმა მმართველებმა (ე. წ. „ვექილებმა“) თავი ვერ გაართვეს.

ნადირ-შაჰთან ერეკლემ თითქმის ორნახევარი წელი გაატარა და მიუხედავად იმისა, რომ ამ ხნის მანძილზე, იგი მძევლის სტატუსით იმყოფებოდა, ახალგაზრდა ბატონიშვილისათვის ეს იყო შესანიშნავი სკოლა, სადაც იგი გაიწაფა აღმოსავლურ

დიპლომატიაში, პოლიტიკასა და სამხედრო სტრატეგიაში. ამასთანავე, ნადირ-შაჰთან ერთად ინდოეთის ლაშქრობაში მონაწილეობისას მან უდიდესი საბრძოლო გამოცდილებაც მიიღო და ძლიერად მოხერხებულად დაამყრობლის წინაშეც სათანადოდ წარმოაჩინა საკუთარი ნიჭი და უნარი. ამასთან დაკავშირებით, ერეკლეს მემატიანის თხზულებაში შემონახულია ერთი გადმოცემა, რომელიც მოგვითხრობს, თუ როგორ აღაფრთოვანა შაჰი ერეკლეს მახვილგონივრულმა რჩევამ ერთ-ერთი პროვინციის – „სინდეთის“ (სინდის)* დაპყრობისას. აქ მას საზღვართან აღმართული ქვის სვეტი დახვდა, რომელზეც შემდეგი წარწერა იყო ამოკვეთილი: „უკუნითი უკუნისამდე წყეულიმც იყოს ის, ვინც ამ სვეტს გადააბიჯებს“. ამ წყევლამ ცრუმორწმუნე ირანელი მეომრები დააფრთხო და მათ უარი განაცხადეს გზის გაგრძელებაზე.

ნადირ-შაჰმა ვერც მუქარით და ვერც გამხნევებით ვერ შეძლო მათი დათანხმება. ამ დროს ერეკლეს მისთვის ურჩევია, რომ აღნიშნული სვეტი დაეშალათ და სპილოების ზურგზე შემოედოთ, სპილოები კი ჯარს წარუძღვებოდნენ. მგვარად, წყევლა არავის დაატყდებოდა თავს, რადგანაც არც ერთი მეომარი მას არ გადაბიჯებდა. ასეთ მარჯვე რჩევას შაჰი აღტაცებაში მოუყვანია და მაღლიერების ნიშნად თითქოს 20 ათასი ოქროც უბოძებია ერეკლესათვის.

1739 წ. 28 მაისს ნადირ-შაჰმა ქართველი ბატონიშვილი გულუხვად დაასაჩუქრა და სამშობლოში გამოისტუმრა. ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ ერეკლე კახეთში დაბრუნდა (1739 წ. 13 სექტემბერს) და დაუყოვნებლივ ჩაება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ დროისათვის კახეთის სამეფო კარზე დაწყებული იყო ქვეყნის გაერთიანების გეგმის შემუშავება, რომლის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი თამარ დედოფალიც იყო.

აღმოსავლეთში ლაშქრობის დასრულების შემდეგ, ნადირ-შაჰმა დაღესტნის საბოლოოდ დამორჩილება განიზრახა. ეს მასშტაბური ლაშქრობა 1741-1742 წლებში განხორციელდა. მიუხედავად იმისა, რომ ნადირ-შაჰი მთელ აღმოსავლეთში უძლიერეს ხელმწიფედ ითვლებოდა, დაღესტნელ მთიელთა შეუპოვარი წინააღმდეგობის დაძლევა მან ვერ შეძლო: ლეკები მიუვალ ხეობებში ჩაიკეტნენ და ძლიერი პარტიზანული ბრძოლა წამოიწყეს. ამის გამო, ნადირ-შაჰის გეგმა დაღესტნის ელვისებური დაპყრობის თაობაზე ვერ განხორციელდა, ომი გაჭიანურდა, ყიზილბაშთა მრავალათასიან ლაშქარს კი სურსათი შემოაკლდა. შაჰმა ადვილად იპოვა გამოსავალი და საჭირო სურსათი ამიერკავკასიის ქვეყნებისაგან, მათ შორის – ქართლ-კახეთისაგანაც მოითხოვა, რამაც მოსახლეობაში საპასუხო აჯანყებები გამოიწვია. ჯერ კიდევ დაღესტნის ლაშქრობამდე 1741 წ. შაჰმა ქართლ-კახეთში თავისი საგანგებო მოხელე – მუმეიზი („აღმწერელი“) გამოავზავნა, რომლის მითითებითაც თითქმის ყოველი გოჯი მიწა, პირუტყვი, ხეხილი, ვაზი და რა თქმა უნდა, თითოეული მოსახლე აღწერეს და დაბეგრეს; გადასახადები დააწესეს თითოეულ შენობაზეც. იმ პერიოდის კიდევ ერთი ქართველი მემატიანის – პაპუნა ორბელიანის ცნობით, ასეთი მძიმე გადასახადების გადახდა ყოველად შეუძლებელი იყო და ამის გამო „მრავალი სული აიყარა, ბევრი ადგილი უმეტესად აოხრდა. მრავალი კაცი ვენახსა და ბაღებს თავისი ხელით კაფდის და აოხრებდის“, ხოლო ქართლში პური ისე გაძვირდა, რომ მოსახლეობა „ბალახის კურკას გაახმობდიან, დაფქვიდნენ და იმას სჭამდნენ“. შექმნილი მდგომარეობის

გამო, ქართველები განუდგნენ ნადირ-შაჰს, მის მიერ დანიშნულმა გამგებელმა ქართლში აჯანყების ჩახშობა ვერ მოახერხა, ამიტომ თავისი წარუმატებლობის დასაფარავად თეიმურაზს ამ აჯანყების მონაწილეობა დააბრალა და შაჰთან დაასმინა. როგორც ომან ხერხეულიძე გვამცნობს, განრისხებულმა შაჰმა განიზრახა „აყრა და მოწყვეტა (დახოცვა) ქართლ-კახეთისა ერისა“. ახალი განადგურებისაგან ქვეყანა ისევ და ისევ დედოფალ თამარის დიპლომატიურმა ხელოვნებამ იხსნა, რომელიც თეიმურაზმა „წარავლინა ვედრებად ყაენისა წინაშე,“ რათა მისი მრისხანება დაეცხრო. დედოფალი დალესტანში დაბანაკებულ ნადირ-შაჰს ეახლა და მისთვის ჩვეული ბრძნული საუბრით იგი თეიმურაზის უდანაშაულობაში დაარწმუნა, ამავე დროს აღნიშნა შაჰის მიმართ ერეკლეს ერთგული დამოკიდებულებაც.

დედოფლის ვიზიტმა სასურველი შედეგი გამოიღო. ნადირ-შაჰი მოლბა, თამარის ყველა თხოვნა დააკმაყოფილა და დიდი პატივითაც გამოისტუმრა. თუმცა იმის გამო, რომ თამარის დიპლომატიით მოხიბლულმა შაჰმა კახეთი გადასახადებისაგან გაათავისუფლა, მთელი სიმძიმე ქართლზე გადავიდა, რაც თავის მხრივ აჯანყების ახალი ტალღის მიზეზი გახდა. ამავე დროს, ირანში შექმნილმა სირთულეებმა მის ტრადიციულ მოქიშპეებს აქტიურობისაკენ უბიძგეს. თურქეთი, რომელსაც ამფოთებდა ნადირ-შაჰის ძლევა მოსილი ლაშქრობების წარმატება, უკვე ომისათვის ემზადებოდა; მოვლენათა განვითარებას ყურადღებით აკვირდებოდა რუსეთიც. ქართლში მზადდებოდა დიდი შეთქმულება, რომელსაც სათავეში ედგა ჭკვიანი და ძლიერი თავადი – გივი ამილახვარი. მას საამილახვრო* და ქსნის საერისთავო* ეჭირა, არაგვის ერისთავი კი მისი მოკავშირე და თანამოაზრე იყო; ამდენად, ქართლის ჩრდილოეთ და დასავლეთ ნაწილს გივი ამილახვარი აკონტროლებდა.

მან თეიმურაზსაც შესთავაზა აჯანყებაში მონაწილეობა, მაგრამ ვერ დაითანხმა იგი. როგორც ჩანს, თეიმურაზმა იმ დროისათვის სწორი გადაწყვეტილება მიიღო. მიუხედავად ჭეშმარიტად კეთილშობილი იდეისა, რომელიც დამპყრობლებისაგან ქვეყნის გაათავისუფლებას გულისხმობდა, გივი ამილახვარი ირანელებთან (ყიზილბაშებთან) ბრძოლას თურქების (ოსმალების) დახმარებით აპირებდა, მაგრამ ქართველებს ჯერ კიდევ კარგად ახსოვდათ „ოსმალობის“ სიმძიმე. შექმნილ ვითარებაში ნადირ-შაჰის ინტერესები თეიმურაზისა და თამარის გეგმებს ემთხვეოდა – შაჰი თეიმურაზს თავის ერთგულ ყმად მიიჩნევდა, იმ დროს როდესაც ოსმალეთი ხელს უწყობდა ქართლის აჯანყებას, შაჰს აქ ჰაერივით სჭირდებოდა თავისი ერთგული მომხრე, თეიმურაზს კი ქართლის მეფობაზე კანონიერი უფლება ჰქონდა, რადგან მისი მეუღლე თამარი ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის ასული იყო. აქედან გამომდინარე, კახთა მეფის მხარდაჭერას შაჰისათვის გაცილებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

იმ ხანებში ნადირ-შაჰი საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. თურქეთთან წამოწყებული ახალი ომის ფონზე (1743-1746 წწ.) ირანის შიდა პროვინციებში აჯანყებები მძვინვარებდა. თურქეთისავე წაქეზებით არეულობა დაიწყო ამიერკავკასიის სახანოებშიც, ხოლო დალესტანში წარუმატებელმა ლაშქრობამ შაჰს კიდევ უფრო გაურთულა საქმე. ასეთ ვითარებაში ქართლში დაწყებული აჯანყება ისეთი გავლენიანი ფეოდალის მეთაურობით, როგორიც იყო გივი ამილახვარი, ირანს დიდ საშიშროებას უქმნიდა. ნადირ-შაჰმა ისიც კარგად

იცოდა, რომ ამ აჯანყების ჩასახშობად საკუთარი ძალების გამოყენება მისთვის არახელსაყრელი იყო, რადგან ქართველთა თვალში ირანის შაჰი, როგორც დამპყრობელი, მხოლოდ უნდობლობასა და სიძულვილს იწვევდა. ამიტომ ნადირ-შაჰისათვის ყველაზე კარგი გამოსავალი იყო ის, რომ ქართველთა აჯანყება ისევ ქართველების ხელით ჩაეხშო და ამ საქმეში იგი თეიმურაზზე უკეთეს კანდიდატურას ვერსად იპოვიდა, რადგანაც ქრისტიანი მეფე მოსახლეობაში დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა. თუმცა ამის სანაცვლოდ, შაჰს უნდა ეზრუნა, რომ ამ საქმეში თეიმურაზსაც სათანადო დაინტერესება ჰქონოდა და სწორედ აქ დაემთხვა შაჰის გეგმები თეიმურაზის მისწრაფებებს საქართველოს (პირველ რიგში კი – ქართლ-კახეთის) გაერთიანებისაკენ.

მას შემდეგ, რაც შაჰმა კახეთი ხარკისაგან გაათავისუფლა, თეიმურაზის პოლიტიკის მომხრეთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხოლო ქსნისა და არაგვის ხეობაში და მთლიანად ქართლშიც, აჯანყების მონაწილე თავადებს შორის ნელ-ნელა გაჩნდა ირანთან შერიგების სურვილი. გარდა ამისა, გადასახადებითა და განუწყვეტელი ომებით განაწამებ ქართლის მოსახლეობას თვალწინ ედგა კახეთი, სადაც არც გაუთავებელი ურთიერთდარბევები იყო, აღარც ყიზილბაშთა თარეში და არც საყაენო ხარკი. აქედან გამომდინარე, გივი ამილახვრისათვის თეიმურაზის წინააღმდეგ ბრძოლა გაცილებით უფრო ძნელი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ყიზილბაშთა წინააღმდეგ. მოკლე ხანში, ნადირ-შაჰმა კახეთის მეფეს დაუმტკიცა არაგვის საერისთავო* და ქსნის საერისთავოც აღუთქვა. ეს ამილახვრისათვის ძლიერი დარტყმა იყო, თუმცა იგი იმედს მაინც არ კარგავდა. 1743 წლისათვის ირანში საშინელი შიმშილობა დაიწყო, ხალხის უკმაყოფილებამ ბევრ პროვინციაში აჯანყების სახე მიიღო, ამავე დროს შირვანში გამოჩნდა ირანის ტახტის ახალი პრეტენდენტიც და ყველაფერ ამას ემატებოდა ირან-ოსმალეთს შორის დაწყებული ომი. თურქეთის წაქეზებით ირანს განუდგა ამიერკავკასიის სახანოების დიდი ნაწილი. ასეთ ვითარებაში გივი ამილახვრის ლაშქარი, რომელიც ზოგიერთი ცნობის თანახმად, 12 ათასი კაცისაგან შედგებოდა, ნადირ-შაჰისათვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენდა და სავარაუდოდ, აქედან გამომდინარეობდა მისი გადაწყვეტილებაც თეიმურაზისათვის არაგვის ხეობის გადაცემის შესახებ. ამის შემდეგ ქსნის ხეობის დაკავება დიდ სიძნელეს აღარ წარმოადგენდა. თავდაპირველად თეიმურაზი ძმათაშორის სისხლისღვრას მოერიდა და შეეცადა „მრავლის წყალობის დაპირებით“ შემოერიგებინა ქსნისხეველნი, მაგრამ ეს მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. მაშინ მან ერეკლე კახეთიდან მოიხმო ჯარით, რის შემდეგაც, როგორც პაპუნა ორბელიანი მოგვითხრობს „შევიდა კახი ბატონი თეიმურაზ, დაიმონა ხმლით ქსნის ხევი, დადგა შიგ“, ამის შემდეგ გივი ამილახვრის წინააღმდეგ ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. მის მფლობელობაში იყო „სხვილოს ციხე, ორი ჭალა, სურამი, კეხვი, ქცხინვალი და ქართლის ციხე ქსანზე, კიდევ წიქორი“ (წირქოლი, ლ.მ.). ამასობაში, ამილახვრის მომხრეთა ბანაკში განხეთქილება გაჩნდა, ამით ისარგებლეს კახელებმა და მისი უახლოესი თანამებრძოლი, მისივე ბიძაშვილი რევაზ ამილახვარი გადმოიბირეს. უნდა ითქვას, რომ გივი ამილახვრის მოწინააღმდეგე თავადების პოზიცია თავისთავად სრულებითაც არ გულისხმობდა ირანელთა ბატონობასთან შეგუებას; ისინი

რეალურად აფასებდნენ შექმნილ ვითარებას და მიიჩნევდნენ, რომ იმ დროისათვის ირანის შაჰისათვის მხარდაჭერა თავიანთი ძირითადი მიზნის განსახორციელებლად, ანუ – ქვეყნის გასაერთიანებლად გამოეყენებინათ. მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ მართლაც დაადასტურა ამ გადაწყვეტილების უპირატესობა: ქსნისა და არაგვის ხეობების დაკარგვის შემდეგ, გივი ამილახვარი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა და დახმარებისათვის ოსმალეთს მიმართა, ამ ნაბიჯით კი საკუთარ თავს თვითონვე გამოუტანა განაჩენი, რადგანაც ქართლის თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირი, მისივე მომხრეთა თვალში, უკვე ოსმალთა მომხრედ იქცა. ცნობილი ქართველი მეცნიერი ნიკო ბერძენიშვილი ამის შესახებ წერდა: „ქართლის საზოგადოების თვალში, აჯანყებას იდეური საფუძველი გამოეცალა, რადგანაც ბრძოლის დაწყებისას ამილახვარი ქართლში ოსმალთა შემოყვანაზე არ ფიქრობდა, იგი „ქართველობის“ დასაცავად ებრძოდა „ოსმალობასაც“ და „ყიზილბაშობასაც“, სწორედ ამიტომ გაერთიანდა მის გარშემო ქართლელთა მნიშვნელოვანი ნაწილი. თეიმურაზის მიერ წარმოებულმა პოლიტიკამ კი მათ დაანახა, რომ იგი ისევე გაათავისუფლებდა ქართლს ყიზილბაშობისაგან, როგორც გაათავისუფლა კახეთი იმ დროს, როდესაც ოსმალეთის დახმარების მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ქართლის დაპყრობა იყო“.

ამრიგად, თეიმურაზმა ქსნისა და არაგვის საერისთავოებიდან გააძევა გივი ამილახვრის მომხრეები. ამის საპასუხოდ 1744 წ. ზამთარში ახალციხიდან ოსმალთა დიდი ლაშქარი დაიძრა და სურამში დაბანაკებულ ამილახვრის ჯარს შეუერთდა. ქართველთა და თურქთა ერთიანმა ჯარმა (5 ათასამდე კაცი) აჩაბეთის ციხეში გამაგრებულ ერეკლეს შეუტიეს. მემატეანის ცნობით, ერეკლეს ამ დროს დაახლოებით ექვსასამდე მეომარი ჰყავდა (300 ქართველი და 300 ლეკი), მაგრამ მიუხედავად ამისა, იოლად შეძლო გაცილებით მრავალრიცხოვანი მიწინააღმდეგის დამარცხება. ისტორიული წყაროები ამ ბრძოლას ასე აღწერენ: „გამოვიდნენ კახნი, დაუშინეს, რომ თოფის ხმისაგან ყურთა ხმა აღარ იყო. სძლიეს კახთა, გააქციეს ურუმნი, მიჰყვნენ უკან კაფით (ე.ი. ხოვცა-ჟლეტით, ლ.მ.) ქცხინვალამდის ... და გამობრუნდნენ გამარჯვებულნი. მას დღეს რომ გენახათ ბატონიშვილი ერეკლე, ამას ბძანებდით: თუცა ლომი, ეგრე იბრძვისო! ასაკითა იყო მცირე, მაგრამ რასაც საქმეს იქმნოდა, ფალავანის შესადარისი იქნებოდა.“ დამარცხებული ამილახვარი თავისი ჯარით სურამს დაბრუნდა და სულ მალე, კარს მომდგარი ზამთრის შიშით, ახალციხეში გადავიდა.

ამავე ხანებში, თეიმურაზმა და ერეკლემ კიდევ ერთი დიდი სამსახური გაუწიეს ნადირ-შაჰს: თურქეთთან მიმდინარე ომის ფონზე ირანის შიგნითაც გააქტიურდნენ შაჰის მოწინააღმდეგენი; ამჯერად, მათ საბაბად გამოიყენეს ნადირ-შაჰის მიერ ირანის ტახტის უკანონოდ მითვისება და წინა პლანზე წამოსწიეს ტახტის „კანონიერი მემკვიდრე“, რომელიც შაჰ-თამაზის შვილად – „შაჰ-ზადად“ გამოაცხადეს და მისთვის მამისეული ტახტის დაბრუნების მოთხოვნა წამოაყენეს. ისედაც რთულ მდგომარეობაში მყოფი ნადირ-შაჰისათვის ეს უკვე გამანადგურებელი დარტყმა იყო, ამიტომაც მან თავის შვილს – ნასრულა-მირზას სასწრაფოდ დაავალა ტახტის მაძიებლის შეპყრობა. ნასრულა-მირზამ ამბოხებულებთან ბრძოლაში გაიმარჯვა, მაგრამ მთავარი მიზანი განუხორციელებელი დარჩა: შაჰ-

ზადამ დაახლოებით ასაკციანი ამაღლის თანხლებით გაქცევა მოახერხა. პაპუნა ორბელიანის ცნობით, იგი მდ. ქსნის ხეობისაკენ გაემართა, სადაც გივი ამილახვარი ეგულებოდა, მაგრამ იქ მას თეიმურაზი და ერეკლე დახვდნენ ქართველთა ჯარით, შეიპყრეს იგი და ანანურის ციხეში გამოამწყვდიეს. როგორც კი ეს ამბავი აცნობეს, მადლიერების ნიშნად ნადირ-შაჰმა გულუხვად დაასაჩუქრა ქართველი მეფეები და მომავალში კიდევ უფრო დიდი წყალობა აღუთქვა; დატყვევებული შაჰ-ზადა ერეკლემ პირადად ჩაუყვანა ნასრულა-მირზას, რომელმაც თავის მხრივ დიდად დასაჩუქრებული გამოისტუმრა და დაპირდა „მაგიერ ჯილდოს, მსწრაფლ მოელოდეთ“.

ამრიგად, კახეთის მფლობელი მამა-შვილის ერთგულება და სამსახური ნადირ-შაჰმა ამ ფაქტის შემდეგ კიდევ უფრო მეტად დააფასა და მათთვის ქართლის გადაცემა უკვე უახლოესი მომავლის საქმე იყო. ამ ფონზე ყოველად უიმედო გახდა გივი ამილახვრის მდგომარეობა, მით უმეტეს, რომ ამავე ხანებში, უკიდურესად გახშირდა ქართლის მოსახლეობის მასიური გადასახლება კახეთში (ზოგიერთი ცნობით, მარტო საამილახვრო სამი ათასამდე კომლმა დატოვა). ამის მიუხედავად, თურქეთი ბრძოლას არ წყვეტდა: 1744 წ. ახალციხელი უსუფ-ფაშას მეთაურობით ქართლში ოსმალთა დიდი ჯარი შემოვიდა: მათ თან მოჰქონდათ დიდი რაოდენობით თანხა, რომელიც დაღესტანში უნდა ჩაეტანათ ლეკთა რაზმების დასაქირავებლად, რომლებსაც გივი ამილახვრის მხარეზე უნდა ებრძოლათ. ამილახვარი ოსმალებს სურამში შეეგება. თეიმურაზმა მტერს გორთან გაუმართა ბრძოლა, მაგრამ დამარცხდა, თუმცა ოსმალებმა გორის ციხის აღება ვერ გაბედეს და ისევ რუისში დაბანაკდნენ. ამის შემდეგ გივი ამილახვარმა და უსუფ-ფაშამ დაღესტნელთა ბელადი მალაჩი 4 ათასკაციანი ჯარით (2 ათასი ლეკი და 2 ათასი თურქი) დაღესტანში გაგზავნეს და თან გაატანეს ლეკთა ჯარის დასაქირავებლად განკუთვნილი დიდძალი თანხა. ეს ცნობილი გახდა გორის ციხეში დაბანაკებული თეიმურაზისათვის, რომელმაც ამის თაობაზე სასწრაფოდ შეატყობინა ერეკლეს. ერეკლემ ნაჩქარევად შეკრიბა ქართველთა და ყიზილბაშთა რაზმები და არაგვის მარცხენა ნაპირზე, საგურამოსთან ჩაუსაფრდა მტრის ჯარს, რომელიც არსაიდან საფრთხეს არ მოელოდა და გულდამშვიდებით შეუდგა აღიდებული არაგვის ფონში გასვლას. ამ დროს ქართველები საფარიდან გამოვიდნენ და მტერს ეკვეთნენ; მოულოდნელი შეტევით დაბნეულმა ლეკ-ოსმალთა მეომრებმა უკან დაიხიეს, არაგვის მარჯვენა ნაპირზე სანგრები შეკრეს და თოფის სროლით იგერიებდნენ მოწინააღმდეგეს. მაშინ ერეკლე პირველი შევარდა აღიდებულ არაგვში. ამის მხილველნი, მისი თანამებრძოლნიც აღარ შეუშინდნენ წყალს და უკან მიჰყვნენ მეფეს: „იქმნა ბრძოლა უძლიერესი ... მიუხდა ირაკლი ძე მეფისა და დაღესტნის ბელადი მალაჩი თვით მოჰკლა“. ნიშანდობლივია, რომ მალაჩი მთელ კავკასიაში სახელგანთქმულ და დაუმარცხებელ მებრძოლად ითვლებოდა და მისმა დაღუპვამ ლეკ-ოსმალთა ჯარზე თავზარდამცემად იმოქმედა, მემატიანის სიტყვებით „სიკვდილსა მისსა მყის იძლივნენ ოსმალ-ლეკნი“, ქართველებმა გაქცეულ მტერს დიდ მანძილზე სდიეს, მრავალი დახოცეს და ტყვედ ჩაიგდეს, მოპოვებულ ნადავლს შორის იყო ლეკთა რაზმების დასაქირავებლად განკუთვნილი თანხაც. ამ მარცხის შემდეგ უსუფ-ფაშა სასწრაფოდ აიყარა და ახალციხეში გაიქცა. ერეკლეს მიერ

მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებით კმაყოფილმა ნადირ-შაჰმა კი „მოხარულმა წარმოუვლინა მას ცხენი ოქროსა აღკაზმულობითა და ხმალი მძიმედ მოჭედილი“. ამ გამარჯვების შედეგი იყო ისიც, რომ 1744 წ. ივლისში ნადირ-შაჰმა თეიმურაზს ქართლის, ხოლო ერეკლეს – კახეთის მეფობა უბოძა. ამრიგად, ქართველთა დიდი ხნის ოცნება ასრულდა: ქართლ-კახეთში მამა-შვილის გამეფება ქვეყნის გაერთიანების გზაზე უმნიშვნელოვანესი წარმატება იყო.

ძველი ჩვეულების თანახმად, შაჰმა ქართველ მეფეებს გასამრჯელო გამოუყო ირანის ხაზინიდან, ამავე დროს, კახეთის მსგავსად ქართლსაც საგრძნობლად შეუმცირა ხარკი. ესოდენ დიდი წარმატების ფონზე, გივი ამილახვრის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო: მისმა მომხრეებმა ერთმანეთის მიყოლებით გადაინაცვლეს თეიმურაზის ბანაკში; სურამის ციხეში გამაგრებული ამილახვარი ხუთთვიანი ალყის შემდეგ დანებდა. ნადირ-შაჰის მოთხოვნით, დატყვევებული მეამბოხე ირანში გაგზავნეს. მიუხედავად დამარცხებისა, ქართლის აჯანყებას მაინც არ ჩაუვლია უშედეგოდ: აჯანყებულთა მედგარმა წინააღმდეგობამ ნადირ-შაჰი აიძულა უარი ეთქვა თავის პირვანდელ გეგმაზე, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს „გაყიზილბაშებას“. გარდა ამისა, მან ქართლს დაუბრუნა ჯერ კიდევ XVII საუკუნეში შაჰ-აბასის მიერ ჩამორთმეული მხარეები – ლორე*, ბორჩალო და ბაილარი.* ამრიგად, თეიმურაზ-ერეკლეს მიერ წარმოებულმა გონივრულმა პოლიტიკამ გაამართლა: ქართლი ძველ საზღვრებში აღდგა, ქართველთა გამაჰმადიანების პოლიტიკა შეწყდა და რაც მთავარია, საფუძველი ჩაეყარა ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანებას, ეს კი მთელი საქართველოს გაერთიანებისაკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო.

1745 წ. შემოდგომაზე ნადირ-შაჰმა გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა და ამით ირან-თურქეთის ომიც დასასრულს მიუახლოვდა. ბრძოლის ველიდან სამშობლოში დაბრუნებისას, ნადირ-შაჰმა თეიმურაზს ქრისტიანული წესით ქართლის მეფედ კურთხევის ნება დართო. ეს უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო, რადგან საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე, ქართლსა და კახეთში ქრისტიანი მეფე ტახტზე არ ასულა. 1 ოქტომბერს თეიმურაზ II-ის მეფედ კურთხევის ცერემონიალი ძველი ქართული წესით სვეტიცხოვლის ტაძარში შედგა.

მოპოვებული წარმატების მიუხედავად, ქართლ-კახეთი ჯერ კიდევ ირანის ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. აღმოსავლეთ საქართველოში ყიზილბაშთა ჯარებიც იდგა (მათ შორის თბილისშიც). მართალია, ირან-ოსმალეთს შორის ზავი დაიდო და ამიერიდან ოფიციალურად ახალციხის საფაშოს მხრიდან ქართლს საფრთხე აღარ ემუქრებოდა, მაგრამ ხანგრძლივი ომებითა და აჯანყებებით ღონემიხდილ ირანშიც პრობლემებმა იჩინეს თავი. ძლევამოსილების მიუხედავად, იმპერიული ირანი მაინც არამყარ სამხედრო-ფეოდალურ გაერთიანებას წარმოადგენდა. ამგვარი ხელოვნური გაერთიანება კი, როგორც წესი, დროთა განმავლობაში დასაშლელად არის განწირული. ოსმალეთთან ომის დასრულების შემდეგ, ნადირ-შაჰის მმართველობის კრიზისი დაიწყო, ირანი აჯანყებებმა მოიცვა: გაუთავებელმა ომებმა და ამ ომებით გამოწვეულმა მუდმივად მზარდმა გადასახადებმა მოსახლეობის თითქმის ყველა ფენის აღშფოთება გამოიწვია; ნადირ-შაჰს კი უკვე აღარ შესწევდა იმის ძალა, რომ გონივრული გადაწყვეტილებები

მიელო და ეს მღელვარება ჩაეცხრო, პირიქით, – იგი თავის ახლობლებსაც კი ველარ ენდობოდა, რადგან შიშობდა, რომ ნებისმიერ მათგანს შაჰის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობა შეეძლო. უბრალო ეჭვის ნიადაგზე მან საკუთარი შვილიც კი არ დაინდო და უსასტიკესად დასაჯა, ხოლო მას შემდეგ, რაც ამ ეჭვის უსაფუძვლობაში დარწმუნდა, იგივე სასჯელი გამოუტანა თავის კარისკაცებს, რომელთაც ბრალი დასდო, რომ წინ არ აღუდგნენ მის მიერ უფლისწულის უსამართლოდ დასჯას.

ასეთ ვითარებაში, ნადირ-შაჰის მორიგი გადაწყვეტილება ახალი გადასახადების დაწესების შესახებ, ბუნებრივია, საბედისწერო აღმოჩნდა: 1747 წელს შაჰმა საკუთრივ ირანსაც და ვასალურ ქვეყნებსაც უზომოდ დიდი გადასახადი დაუწესა (მათ შორის მხოლოდ ქართლ-კახეთს წილად ხვდა ფულადი ხარკი 200 ათასი თუმნის ოდენობით). ამან ირანის მთელ ტერიტორიაზე ბიძგი მისცა აჯანყებათა ახალ ტალღას; ეს გადაწყვეტილება ქართველ მეფეთათვის სრულიად მოულოდნელი იყო: ბოლო წუთამდე შაჰი მათ „მეგობრულად“ ექცეოდა. თეიმურაზმაც და ერეკლემაც კარგად იცოდნენ, რომ მოსახლეობისაგან ასეთი დიდი გადასახადის ამოღება ყოვლად შეუძლებელი იყო, ამიტომ აჯანყებისათვის სამზადისს შეუდგნენ: ხალხი მთებში გახიზნეს, მეომრები კი ციხე-სიმაგრეებში განალაგეს. სომხეთ-აზერბაიჯანის მმართველმა ხანებმაც ერეკლესა და თეიმურაზს მიმართეს თხოვნით – „ჩვენც თქვენ ყმასავით გვიმსახურეთ, საცა გეპრიანებოდეს, ჩვენს ჯარს იქ გაახლებთ“.

როგორც კი ქართველ მეფეთა დაუმორჩილებლობის შესახებ შეიტყო, ნადირ-შაჰმა ჯარი გაამზადა საქართველოს ასაკლებად, მაგრამ შემდეგ თვითონვე მიხვდა, რომ მისი მხრიდან ეს გამოუსწორებელი შეცდომა იქნებოდა და გადაწყვეტილება შეცვალა; პაპუნა ორბელიანის გადმოცემით, შაჰმა ჯარი „ისევ დააბრუნა გზიდან იმისთვის (ე.ი. იმის გამო ლ.მ.), რომ ბევრჯერ ენახა ქართველთა ხმალი... ახლა ქართლი და კახეთი ორივე ერთად გაერთებით განუდგნენ, რას დააკლებდა“. შაჰის უკანდახვევა ნამდვილად არ ყოფილა საქართველოს მიმართ მისი „კეთილგანწყობის“ გამოვლინება: მას მართლაც მშვენივრად ახსოვდა, თითოეული მეამბოხე ქართველი თავადის დამორჩილებაც კი რა ძვირად დაუჯდა ირანის ჯარსა და ხაზინას, შესაბამისად, ისიც კარგად გათვალა, რომ უკვე გაერთიანებული ქართლ-კახეთის დამარცხება გაცილებით უფრო ძნელი იქნებოდა; ამიტომაც იყო, რომ „შერიგების“ მიზნით მან გადასახადის თანხა მეოთხედამდე დაიყვანა და თეიმურაზს მისწერა: „როგორც შენ გინდოდეს, ისე გაარიგეო. ეს ბრძანება კი გააგონე ხალხს ჩემიო; ისევ ქალაქში ჩამოდი და ქვეყანას მოუარეო“. თუმცა ამის სანაცვლოდ, შაჰი ერეკლეს ირანში იბარებდა, როგორც ჩანს, ამით იგი ქართველთა მორჩილების საიმედო გარანტიას მოითხოვდა. თეიმურაზი ვერ ენდო ცბიერ შაჰს, მაგრამ იმისათვის, რომ არც ქვეყანა ჩაეგდო საფრთხეში, არც ტახტის მემკვიდრე გაეწირა მძევლობისათვის, გადაწყვიტა, თვითონ წასულიყო ირანში; რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში, თეიმურაზმა საკუთარი თავი გაწირა, რადგან არავინ იცოდა, როგორ ჩაივლიდა მისი ვიზიტი ირანის მრისხანე გამგებელთან. საბედნიეროდ, თეიმურაზი ჯერ კიდევ გზაში იყო, როდესაც ნადირ-შაჰი შეთქმულებმა მოკლეს (1747 წ. ივნისში). ირანში ჩასულ თეიმურაზს შაჰის ტახტზე საკუთარი სიძე – ქეთევანის

მეუღლე ალი-ყული-ხანი დახვდა, რომელმაც ბიძის დაღუპვისთანავე თავი ირანის შაჰად გამოაცხადა და ადილ-შაჰი (სამართლიანი შაჰი) დაირქვა. თეიმურაზი სიძემ დიდი პატივით მიიღო, თუმცა ეს განპირობებული იყო არა იმდენად მათი ნათესავ-მოყვრობით, რამდენადაც – არსებული პოლიტიკური ვითარებით: ირანის ახალბედა მმართველს ძლიერი მოკავშირეების თანადგომა სჭირდებოდა, რადგან ნადირ-შაჰის დაღუპვის შემდეგ, ქვეყანა ანარქიამ მოიცვა, ფეოდალურ დაჯგუფებათა შორის გამწვავდა ბრძოლა პირველობისათვის, ჯარისკაცებმა ქონების დატაცება და ქალაქების ძარცვა დაიწყეს (ერთ-ერთი ირანული წყაროს ცნობით, ნადირის მკვლელობიდან 4 საათის შემდეგ მისი უძვირფასესი სამეფო კარვისაგან აღარაფერი იყო დარჩენილი, ყველაფერი იქვე დაიტაცეს). ტახტის ახალ-ახალი პრეტენდენტები ერთმანეთს გააფთრებით ებრძოდნენ. ასეთ ვითარებაში, ადილ-შაჰისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თეიმურაზისა და ერეკლეს მხარდაჭერას; თავის მხრივ, თეიმურაზიც არ იყო ამის წინააღმდეგი, რადგან იმედოვნებდა, რომ შაჰის კარზე ყოფნას ქართლ-კახეთში ერეკლეს წარმატებებისათვის გამოიყენებდა, მაგრამ ადილ-შაჰის მმართველობა ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა (მხოლოდ 11 თვე), იგი საკუთარმა ძმამ დაამხო, მაგრამ არც ამ უკანასკნელს დასცალდა დიდხანს მეფობა. თეიმურაზმა თითქმის ორი წელი დაჰყო ირანში და ამ პერიოდში იქ რამდენიმე მბრძანებელი შეიცვალა, თუმცა როგორც ჭკვიან და ფრთხილ პოლიტიკოსს შეეფერებოდა, თეიმურაზი ყველა მათგანთან ახერხებდა საერთო ენის გამონახვას და საქართველოს სასიკეთოდ საქმეების მოგვარებას.

შაჰის ტახტისათვის გამართულ ხანგრძლივ ბრძოლაში საბოლოოდ სამი უძლიერესი საგვარეულოს წარმომადგენელი გამოიკვეთა: აზატ-ხან ავღანი, მაჰმად-ხან ყაჯარი და ქერიმ-ხან ზენდი. ირანში დაწყებულმა არეულობამ გარკვეული ზეგავლენა მოახდინა ქართლ-კახეთზეც: შაჰთან გამგზავრების წინ, თეიმურაზმა ქართლის გამგებლობა ერეკლესთან ერთად გამაჰმადიანებულ აბდულა-ბეგსაც ჩააბარა. აბდულა-ბეგი (იგივე არჩილი) ვახტანგ VI-ის ძმის – იესეს ვაჟი იყო (სხვადასხვა დროს ორჯერ გამაჰმადიანებული იესე 1714-1716 წწ. ქართლში მეფობდა და ანტიქართული პოლიტიკის გატარებაში ირანელ მოხელეებსაც კი გადააჭარბა. გარემოების მიხედვით, იგი ირანელებსაც ემსახურებოდა და თურქებსაც). როგორც უკვე ითქვა, ქართლის ტახტზე თეიმურაზის უფლებები (ვახტანგ VI-ის ქალიშვილის ხაზით) არც ისე მყარი იყო, რადგან როგორც ვახტანგს, ისე მის ძმას – იესესაც ჰყავდათ ვაჟიშვილი მემკვიდრეები, რაც ქართლის პოლიტიკურ წრეებზე გარკვეულ ზემოქმედებას ახდენდა. როგორც ჩანს, თეიმურაზმა სრულიად შეგნებულად შეაჩერა არჩევანი აბდულა-ბეგზე, რითაც ამ უკანასკნელის პატივმოყვარეობაც დააკმაყოფილა და ერეკლესაც მშვიდი და უსაფრთხო მმართველობის პირობები შეუქმნა. მემატიანის გადმოცემით „თეიმურაზმა აბდულა-ბეგს უბძანა: რადგან მეფე ერეკლე მუდამ ქართლისათვის ვერ მოიცლისო, ქართლს მოუარეო და ერთმანეთის ნებით და შეკითხვით ორივე ქვეყნები მტრისაგან კარგა გაამაგრეთო და ჩემდა მოსვლამდის მშვიდობიანად იყვნეთო“; მაგრამ აბდულა-ბეგმა ბოროტად ისარგებლა ქართლში თეიმურაზის არყოფნით, დაუკავშირდა საქართველოსადმი მტრულად განწყობილ ძალებს, მათ შორის: დაღესტნელებს, ნადირ-შაჰის მმართველობით უკმაყოფილო თბილისის ყიზილბაშთა

გარნიზონს, ქართლელ თავადთა ნაწილს, ირანის ტახტის ერთ-ერთ პრეტენდენტს (რომელმაც მას წინასწარ ქართლის „მეფობაც“ კი დაუმტკიცა). ამის შემდეგ, მან საფუძვლიანად გაამაგრა თავისი საბატონიშვილო მამული – სამშვილდის ციხე* და ერეკლეს შეუთვალა: „ქართლი ჩემიაო, დამანებე და შენ კახეთს მიეპატრონეო“.

ერეკლემ ჯერ მშვიდობიანი გზით სცადა საქმის მოგვარება, თბილელი ეპისკოპოსის ათანასეს შუამავლობით აბდულა-ბეგს მოლაპარაკება შესთავაზა და საბატონიშვილო მამულის სარჩოდ გადაცემა აღუთქვა, მაგრამ აბდულა-ბეგისაგან უარი მიიღო. მაშინ ერეკლემ ძლიერი ლაშქარი შეკრიბა და აბდულა-ბეგს შეუტია. ნიშანდობლივია, რომ ქართლის თავადების უმრავლესობამ ამ ბრძოლაში ერეკლეს მხარე დაიჭირა.

თავისი მდებარეობის წყალობით, სამშვილდის ციხე მთელ ქვემო ქართლში აუღებელ ციხედ ითვლებოდა, ამიტომაც ერეკლემ ჯარები საფარში განალაგა და ციხეს ზარბაზნებით შეუტია. რამდენიმედღიანი ორმხრივი სროლის შემდეგ, აბდულა-ბეგი მოლაპარაკებაზე დათანხმდა და ერეკლეს პირობა მისცა „მანამდის მეფე თეიმურაზ ირანის ქვეყნიდან მობძანდებოდეს, ჩვენ ორნივე მყუდროებით ვიყვნეთო.“ ერეკლემ თავისი მომხრე დაღესტნელი ბელადების მეშვეობით შეთანხმებას მიაღწია ციხეში მყოფ აბდულა-ბეგის მომხრე ლეკთა რაზმების მეთაურებთან და მათ დატოვეს სამშვილდის ციხე. ამის შემდეგ, ერეკლე თავისი ჯარით თბილისში დაბრუნდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, მოკლე ხანში აბდულა-ბეგმა თავისი პირობა დაარღვია. აზერბაიჯანში ირანის ტახტის ახალი პრეტენდენტი გამოჩნდა – ადილ-შაჰის ყოფილი სარდალი ამირ-ასლან-ხანი. აბდულა-ბეგმა დრო იხელთა და ქართლის მეფობის მოსაპოვებლად მას ჯარით დახმარება სთხოვა. ამირ-ასლან ხანმაც, თავის მხრივ, მას ქართლიც „უწყალობა“ და 8 ათასი ავღანელი მეომარიც გამოუგზავნა. ამით გულმოცემულმა აბდულა-ბეგმა ერეკლეს თბილისის დატოვება მოსთხოვა, მაგრამ ქართლელ თავადთა უმრავლესობა ამჯერადაც მეფის გვერდით დადგა (აბდულა-ბეგს მხოლოდ საბარათიანოს* ჯარი მიემხრო) და ერეკლემაც პასუხად შეუთვალა: „სანამდის სული მიდგას, ჩემგან აქედან გასვლა არ იქნებაო“.

საგულისხმოა, რომ თვით აბდულა-ბეგის ძმა – ანტონ კათალიკოსი მთელი ამ კონფლიქტის მანძილზე ერეკლეს ერთგულად უჭერდა მხარს. გადამწყვეტი ბრძოლა სოლოლაკის მთის ფერდობებზე გაიმართა; თავისი ჯარის ერთი ნაწილით ერეკლე წავკისის მხარეს დადგა, ქიზიყელები რევაზ ორბელიანის სარდლობით მეწინავედ გაუშვა საბარათიანოს ჯარის წინააღმდეგ (რომელსაც აბდულა-ბეგის ძმა – უსეინ-ბეგი მეთაურობდა). ამ ბრძოლას ხატოვნად აღწერს პაპუნა ორბელიანი: „შეიქნა ომი ფიცხელი, რომ თოფის ხმისაგან არღარა ისმოდა და კომლისაგან (ე.ი. კვამლისაგან, ლ.მ.) ჯარი აღარა ჩანდა. პირველსავე მისვლაზე გაემარჯვათ რევაზ ორბელიანს და ქიზიყელთ, გააქცივეს ჯარი. ესე რა ნახეს, ... შეუტიეს ქართველთა და კახთა, დაუწყეს კაფა, რომ ღვთის რისხვა დასცეს. გაიქცა ეს ჯარი მთლივ, ხუთი და ექვსი თითო კაცმა ყიზილბაში ეგრე იჭირეს, მიყვნენ იაღლუჯჯის* ბოლომდე, დარჩათ კარავი-მოფენილობა თუ რამ სხვა. არასდროს ქართლში ამისთანა გამარჯვება არ მომხდარიყო და არც ამრიგად ყიზილბაში ქართლში დამარცხებოდათ (ე.ი. ყიზილბაშები ქართლში ასე არასდროს

დამარცხებულან, ლ.მ.). ხანებს დროშები აქ დარჩათ, წავიდნენ სირცხვილეულნი... აბდულა-ბეგ მიბძანდა სამშვილდეს, ბარათიანნი, ვინც გადარჩნენ, მივიდნენ ბირთვისს*“. იგივე ბრძოლის შესახებ, ომან ხერხეულიძე წერდა: „იძლივნენ მხედრობანი სპარსთა და ბარათიანთანი ესრეთ, რომელ ერთი იპყრობდა ათსა, ხოლო ერთმა მებაღემან შეიპყრო ცხრა ყიზილბაში და უკუნ იქცნენ სირცხვილეულნი“. თბილისის მოსახლეობა გამარჯვებულ მეფეს ზემით შეეგება. აღსანიშნავია, რომ ერეკლე ღირსეულად მოექცა დამარცხებულებს. მემატიანის ცნობით, მან ტყვედ ჩავარდნილი ყიზილბაშები „თავ-თავის ქვეყნებში გაისტუმრა და ამით კიდევ უფრო განიფინა ამბავი გამარჯვებისა, ან ვინც ბარათაშვილი (ე.ი. ამ საგვარეულოს წარმომადგენელი, ლ.მ.) ცოცხალი მოართვეს, განუტევა მშვიდობით და აპატივა ცთომა თვისი, დაჯდა ნადიმად, ნახა ღვინი და გასცა საბოძარი“.

ამის შემდეგ, ერეკლემ მიიღო გადაწყვეტილება ნარიყალასა და მეტეხის ციხეებში მდგარი ყიზილბაშთა ჯარების გაძევების თაობაზე. ქართველებმა სანგრები ააგეს და ციხეები ალყაში მოაქციეს, ბრძოლის სამზადისში აქტიურად მონაწილეობდნენ უბრალო მოქალაქეებიც. ალყაში მოქცეულ ყიზილბაშებს აბდულა-ბეგი სამშვილდიდან აწვდიდა სურსათს, ამის გამო ერეკლემ 500 მეომარი გაგზავნა და გზები შეაკვრევინა. ყიზილბაშები მაინც არ ნებდებოდნენ და ციხეებიდან განუწყვეტლივ ყუმბარებს უშენდნენ ქალაქს, მეტეხიდან მეფის სასახლესაც კი ესროლეს ზარბაზნიდან. რადგანაც ქალაქის მხრიდან შეტევით ნარიყალას აღება ვერ ხერხდებოდა, ერეკლემ გადაწყვიტა ჯერ თაბორის* კოშკები აელო წავკისის ხევში, რათა ამ გზით ნარიყალას მეციხოვნე ყიზილბაშებისათვის სურსათის მიღების ბოლო გზაც მოესპო. მან გორიდან ჩამოატანინა დიდი ზარბაზანი და აღმოსავლეთის (შინდისის) მხრიდან დაუმიზნა თაბორის კოშკს. ციხის მცველები მიხვდნენ, რომ განწირულნი იყვნენ, რადგან ასეთ დიდ ყუმბარებს ციხის ძველი კედლები ვერ გაუძლებდნენ, მაგრამ მაინც გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ ქართველებს: „არ ავად იყვნეს მყოფნი ციხისანი, არც თოფის სროლა გაუწყვეტიათ და სანამდის ციხეში შიგ არ ჩაუცვივდნენ, არც ომისაგან დასწყნარდნენ.“ მეოთხე ყუმბარამ კოშკის კედლები დაბზარა, მოიერიშენი ციხეში შეცვივდნენ და ხელჩართული ომი გაიმართა. ბრძოლისას განსაკუთრებით ისახელა თავი პაპუნა ორბელიანის ყმამ შავერდა მღებრიშვილმა, რომელიც ზედ კოშკზე აიჭრა. ის გმირობას: „ჯარი სულ ხედვიდა და უქებდნენ მამაცობასა“. აღსანიშნავია, რომ ბრძოლის შემდეგ მძიმედ დაჭრილი შავერდა მღებრიშვილი ერეკლემ პირადად დააჯილდოვა.

თაბორის კოშკს ერეკლემ ახალი გალავანი შემოავლო და შიგ კახთა რაზმები ჩააყენა. თბილისში მობრუნებულ მეფეს ამბავი დაახვედრეს, რომ ავჭალასა და მარტყოფს ლეკები დასცემიან და დიდი რაოდენობით მსხვილფეხა საქონელი და შედარებით მცირერიცხოვანი ტყვეები გაუტაციათ. იმის იმედით, რომ ქართველთა ჯარები ციხეების აღებით იყვნენ დაკავებულნი, ნადარცვით დატვირთული ლეკები გულდამშვიდებით გაუდგნენ გზას; მაგრამ ერეკლემ ალყა არ მოშალა და მცირერიცხოვანი რაზმით შირაქის ბოლოს წამოეწია მათ, „ახსენა დამბადებელი ღმერთი და პირველ თვითონ შეუტია და უბრძანა ჯარსა: „ვის უყვარს ღმერთი და ერთგული არს ჩემი, გულსრულად შეებასო“. მეფის მოწოდებით გამხნეებული

ქართველები ხმალდახმალ ეკვეთნენ მტერს, დაამარცხეს და მთელი ნადავლი დაატოვებინეს. გაქცეული ლეკები გზად დაღესტნიდან მომავალ თანამემამულეთა დიდ რაზმს შეხვდნენ და დახმარება სთხოვეს, თან შეაგულიანეს, ერეკლეს ძალზე მცირერიცხოვანი ჯარი ჰყავს, ადვილად დავამარცხებთ და ნადავლსაც დავიბრუნებთო; მართლაც, გაერთიანებული ლეკთა ჯარი გამთენიისას მოულოდნელად დაესხა თავს ქართველებს, მაგრამ მიუხედავად ამისა სასტიკი მარცხი იწვნის: „ეგეთი ომი გარდაიხადა იმ დღეს მეფე ერეკლემ, რომ პირველი ომი ღალატად ჩაიდგებოდა. მოართვეს თავი მრავალი და ცხენსა და იარაღს ხომ რიცხვი არა ჰქონდა. რაც საქონელი იყო, ისევ პატრონებს უბოძა და ეგრე გამარჯვებული წაბძანდა ქალაქსა თბილისისასა.“ ამის შემდეგ, ერეკლემ მეტეხი და ნარიყალაც აიღო. ეს ორი ციხე დიდი ხნის შემდეგ პირველად იქნა გათავისუფლებული ყიზილბაშთა ჯარებისაგან, ერეკლემ ისინი ქართველ ხალხს დაუბრუნა და მათ კოშკებზე კვლავ საქართველოს დროშა აფრიალდა. ამ გამარჯვებამ აბდულა-ბეგის წინააღმდეგობაც გატეხა, ივლისის თვეში მან სამშვილდის ციხის კარი გააღო და ერეკლეს პატიება სთხოვა. ერეკლემ „ვითა ხელმწიფობის წესია, შემცოდე კაცი რომ შენდობას მოითხოვს, მიუტევებენ. ამანაც ეგრე მოწყალების კარი განაღო და მიუტევა ყველას ერთად ცდომა თვისი, დიდი მოწყალება იხმარა, თორემ ციხის თათრებს ეს როგორ შეენდობოდა: სიონის მონასტერს ზარბაზანს ესროდნენ და მეფის სასახლე ყუნბარით აავსეს ... ეს ყველა აპატივა და თავისის საქონლით გაშვება ბრძანა, რომ არც საქონელი წაართვა; ეს უფრო დიდი მოწყალება იყო“. მიტევების ნიშნად, მეფემ აბდულა-ბეგს საუფლისწულო მამული დაუტოვა, ასევე შეუნდო ბარათაშვილებსაც. ამ წარმატებამ ქართლ-კახეთის მოსაზღვრე სახანოებზეც სათანადოდ იმოქმედა: „რა ეს ამბავი შეიტყვეს, შეშინდნენ დიდად და მაშინვე გამოეგზავნნა განჯის ხანსა და ერევნის ხანს ფეშქაში მეფის ერეკლესათვის“

ამრიგად, საქართველოს აღდგენა-გაერთიანებისათვის ბრძოლა ახალ ფაზაში შევიდა. ახალგაზრდა მეფე, რომელიც ამ დროს მხოლოდ 28 წლისა იყო, არა მარტო ბრწყინვალედ ფლობდა სამხედრო ხელოვნებას, არამედ ფრთხილი პოლიტიკოსი და გამჭრიახი სახელმწიფო მოღვაწე იყო. ირანიდან თეიმურაზის დაბრუნებამდე (1749 წ. 20 აპრილი), ერეკლემ მოქნილი პოლიტიკის წყალობით შეძლო ქვეყნისათვის აერიდებინა ის საგარეო საფრთხე, რომელიც მას ნადირ-შაჰის სიკვდილის შემდეგ ირანში შექმნილი ურთულესი მდგომარეობიდან გამომდინარე ემუქრებოდა. ამასთანავე, ქვეყნის შიგნით აბდულა-ბეგთან საკმაოდ გაჭიანურებული კონფლიქტიც მან არა მარტო სამხედრო ძალის, არამედ კარგად გათვლილი პოლიტიკური სვლების მეშვეობითაც მოაგვარა: აბდულა-ბეგის მომხრე თავადთაგან ზოგი შეიწყნარა, ზოგს თანამდებობა ჩამოართვა და მათ მაგივრად თავისი ერთგული მომხრეები დანიშნა. ამავე დროს, ერეკლე არ უარყოფდა კანონიერი შაჰის უზენაესობას საქართველოზე. მათე დროს, ებრძოდა ირანის ტახტის მაძიებლებს და ამის სანაცვლოდ მოპოვებულ მოქმედი შაჰის მადლიერებასა და კეთილგანწყობას ქართლ-კახეთისათვის ახალ-ახალი შეღავათების მისაღებად იყენებდა. ასეთი პოლიტიკის წყალობით, ერეკლემ ნიადაგი მოამზადა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ქართლ-კახეთის გაბატონებისათვის. ისტორიული წყაროებით

დასტურდება, რომ ერეკლეს მიმართ შაჰის კეთილგანწყობას სათანადოდ აფასებდნენ ამიერკავკასიის სახანოებიც: „ყველას მეფე ერეკლესთან ჰქონდათ პირი, ხანები ასე უთვლიდნენ: ვისიც შენ ხარ, ჩვენც იმისი ვიქნებით“. ამავე დროს, შაჰის ტახტისათვის განუწყვეტელმა ბრძოლებმა ირანში საყოველთაო არეულობა გამოიწვია, რის გამოც, ირანის მბრძანებელი ამიერკავკასიის სახანოებისათვის ვეღარ იცლიდა, ერთმანეთთან მოქიშპე ხანებიც „დახმარება-მფარველობისათვის“ უკვე ქართლ-კახეთის მეფეებს მიმართავდნენ. შექმნილ ვითარებას თეიმურაზი და ერეკლე ამიერკავკასიაში თავიანთი გავლენის გასაფართოებლად იყენებდნენ. ასე მაგალითად, 1749 წ. შემოდგომაზე ერევნის სახანოს მომთაბარე თურქმანული ტომები შეესივნენ მაჰმად-ხანის მეთაურობით. ერევნის ხანმა დახმარებისათვის ქართველ მეფეებს მიმართა, სანაცვლოდ კი ლაშქრობის ხარჯების გადახდა და ყოველწლიური ხარკი იკისრა. ამავე წელს, ქართლ-კახეთის მფარველობა ნახიჩევანის სახანომაც* აღიარა. ამ წარმატებებმა ჭარ-ბელაქელი* მმართველებიც აიძულეს, ფარისევლური პირობა მიეცათ ერეკლესათვის, დაღესტნელებს ჩვენს ტერიტორიაზე აღარ შემოვუშვებთ და „რაც თქვენი ბრძანება მოგვივიდეს, თავს ვიდვართ“; თუმცა ქართველებმა კარგად იცოდნენ, რომ ეს პირობა სანდო არ იყო, რაც შემდგომში არაერთხელ დადასტურდა.

ამ დროისათვის აზერბაიჯანელ ხანებს შორის დაწინაურდა ყარაბაღის (შუშის)* მფლობელი ფანა-ხანი, რომელმაც იერიში მიიტანა განჯისა და ნახიჩევანის სახანოებზე. განჯის ხანმა ერეკლეს აღრეც მიმართა დახმარებისათვის და ისეთივე პირობებით აღუთქვა ხარკი და ქვეშევრდომობა, როგორც ერევნის ხანმა. ფანა-ხანი საკმაოდ სერიოზული მოწინააღმდეგე იყო, განჯის აღების შემთხვევაში კი იგი კიდევ უფრო გაძლიერდებოდა და უკვე უშუალოდ ქართლ-კახეთს დაემუქრებოდა, ამიტომ ქართველი მეფეები გარკვეული დროის მანძილზე ემზადებოდნენ გადამწყვეტი ბრძოლისათვის. 1750 წლის თებერვალში ქართლ-კახეთის ერთიანი ლაშქარი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ აგრეთვე: „იმერნი, ოსნი, ერევნელი, ლეკნი, რომელნიც მონებდნენ კახ-ბატონს“, ფანა-ხანის წინააღმდეგ დაიძრა. ამ ლაშქრობას შორიდან თვალს ადევნებდა შაჰის* ცბიერი ხანი აჯი-ჩელები, რომლისთვისაც ამიერკავკასიის ორი ძლიერი ლიდერის შეტაკება ძალზე ხელსაყრელი იყო: ნებისმიერი მათგანი, დამარცხების შემდეგ, მის მოწინააღმდეგეთა რიგებს გამოაკლდებოდა.

თავდაპირველად ფანა-ხანმა ქართველთა ერთიან ჯართან პირისპირ შეებმას თავი აარიდა, ღამით განჯის ციხეს ალყა მოხსნა და ყარაბაღში გადავიდა. ქართველებიც მის კვალს გაყვნენ. ფანა-ხანი თავისი ჯარით მთიან ადგილზე, ტყის პირას დაბანაკდა და აქტიურ ბრძოლას კვლავ თავს არიდებდა. მაშინ ერეკლემ გადაწყვიტა, თავად გადასულიყო შეტევაზე, ძირითადი ძალები გაშლილ მინდორში დატოვა და თვითონ შედარებით მცირერიცხოვანი, მაგრამ რჩეული რაზმით მაღლობზე განლაგებული მტრის პოზიციებს შეუტია. ამ ბრძოლის მონაწილე პაპუნა ორბელიანი მოგვითხრობს: „ბრძანა მეფე ერეკლემ: „ვინ არის ერთგული ჩემი და აქვს გული მამაცობისაო, ჟამი ეს არის!“ თვითონ, ვითა ლომი, ეგრე მიესივა და ჯარი, ვინც იქ იყვნეს, ვინლა დადგებოდა, მეფე ერეკლესთან თავს ვინლა დაზოგევდა... ქართველნი და კახნი ისე გამამაცებულებიყვნეს, რომ ერთი ჩვენი

კაცი ას ყიზილბაშს არ დაერიდებოდა... რა შეიტყო ფანა-ხანმა, მეფე ერეკლე ამ მეწინავეს ჯარში ურევიაო, მაშინვე გაიქცა, ეს მეწინავე ჯარი ცოტანი იყვნეს, მაგრამ დიდად მამაცად გაისარჯნეს, რომ დიდის ჯარის მსგავსი საქმე ექნეს“. ამასობაში მინდორში დაბანაკებული ქართველთა სათადარიგო ჯარი თეიმურაზის მეთაურობით დაიძრა და მოწინააღმდეგეზე გადამწყვეტი იერიში მიიტანა, გაქცეული ყარაბაღელების დევნა და განადგურება შუალამედე გაგრძელდა. მეორე დღით მეფეები შევიდნენ ფანა-ხანის სანგარში და იქ დიდი რაოდენობით იარაღი და ტყვია-წამალი აღმოაჩინეს. ქართველთა ჯარმა არეზამდე* მიაღწია და დიდძალი ნადავლითა და ტყვეებით დატვირთული უკან გამობრუნდა. განჯის ხანმა, პირობისამებრ, ყოველწლიური ხარკი იკისრა. ფანა-ხანზე გამარჯვება არა მხოლოდ სამხედრო, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. ამიერიდან ქართველთა უპირატესობა ამიერკავკასიაში თითქმის უპირობოდ აღიარეს. ამ წარმატების გამოძახილი იყო აგრეთვე ირანის ახალი მბრძანებლის – შაჰ-როჰის გადაწყვეტილებაც: მან თეიმურაზს „ირანისა და აზერბაიჯანის სპასალარობა“* უბოძა, ერეკლე კი მის მოადგილედ (ნაიბად) დანიშნა.

მეორე მხრივ, ასეთმა წარმატებამ ქართველების მეტოქეთა გაღიზიანებაც გამოიწვია: ქართლ-კახეთის გაძლიერებამ პირველ რიგში ჭარ-ბელაქნის უბატონო თემები შეაშფოთა, რადგან კარგად ესმოდათ, რომ ამიერიდან საქართველო მოიცლიდა ყველაზე მწვავე პრობლემის – ლეკთა განუწყვეტელი შემოსევების აღსაკვეთად. საქართველოში ლეკთა თარეშის საბოლოოდ აღსაკვეთად, უპირველეს ყოვლისა აუცილებელი იყო ჭარ-ბელაქნისა და კაკ-ენისელის* დაპყრობა და კვლავინდებურად კახეთის შემადგენლობაში მათი დაბრუნება. ჭარ-ბელაქანი დაღესტნიდან საქართველოსაკენ მომავალ მთავარ გზაზე მდებარეობდა და XVIII ს. დამდეგიდან ლეკთა მოთარეშე რაზმების ერთგვარ პლაცდარმად იყო გადაქცეული. ჭარელ და დაღესტნელ ფეოდალებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ოსმალეთის იმპერიასთან, რომლის აშკარა ხელშეწყობითაც იგეგმებოდა ლეკთა მარბიელი რაზმების თავდასხმები საქართველოზე. ჭარ-ბელაქნის დაპყრობით საქართველო დაღესტნელებს მთელ ამიერკავკასიაში მთავარ სამხედრო ბაზას მოუსპობდა. რა თქმა უნდა, ეს კარგად იცოდნენ ლეკებმაც და ამიტომაც გადაწყვიტეს, ნებისმიერი გზით შეეჩერებინათ ქართველთა წინსვლა.

1750 წ. საქართველოსაკენ ლეკთა 7 ათასიანი ჯარი დაიძრა, გზად მას ჭარელებიც შეუერთდნენ. ლეკებმა ერთდროულად კახეთსა და ყაზახს* შეუტიეს და დაარბიეს. ქართლ-კახეთის ერთიანმა ლაშქარმა ერეკლესა და თეიმურაზის მეთაურობით მტერს გამოსასვლელი გზები შეუკრა, ამის შემდეგ კი ივრისა და ალაზნის შესართავთან მდებარე სოფ. დანღისთან წამოეწია და ცხარე ბრძოლაში დაამარცხა. ერეკლე, ჩვეულებისამებრ, მოწინავე ხაზზე იბრძოდა. გაქცეული ლეკების ნაწილი ჩამოქცეულმა მთის ფერდობმა, ნაწილი კი – ადიღებულმა ალაზანმა შეიწირა. ქართველებმა დიდძალი ნადავლი და ტყვეები დაიბრუნეს.

დანღისის ბრძოლის შემდეგ ლეკები ქართლ-კახეთის წინააღმდეგ ფართომასშტაბიან ლაშქრობას თავს არიდებდნენ, თუმცა „მტრობა მაინც არ მოიშალეს, არა დასცხრებოდნენ ავაზაკობასა“, მათ მცირერიცხოვან მარბიელ რაზმებს კი ჭარში ძველებურად უმართავდნენ ხელს. თეიმურაზმა და ერეკლემ

დარბაზის სხდომა მოიწვიეს და ჭარზე გალაშქრება დაადგინეს. ამ ბრძოლაში მოკავშირედ მათ განჯის ხანიც მოიწვიეს. ამ წამოწყებას თითქოს უეჭველი წარმატება ელოდა, მაგრამ სწორედ აქ იჩინა თავი შაქი-შირვანის ცბიერი ხანის – აჯი-ჩელების ღალატმა: მთელი ამ ხნის მანძილზე მას ქართველ მეფეთა „ერთგულ მეგობრად“ მოჰქონდა თავი, მაგრამ საიდუმლოდ მათ წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებოდა. ამას თავისი მიზეზი ჰქონდა: ჭარის დაპყრობით ქართლ-კახეთის ძლიერი სამეფო უშუალოდ უმეზობლდებოდა შაქი-შირვანის სახანოს; აჯი-ჩელები შიშობდა, რომ ჭარის შემდეგ ქართველთა მიერ შაქის დაპყრობა მხოლოდ დროის საკითხი იქნებოდა.

ჭარელებთან აჯი-ჩელების საიდუმლო კავშირის შესახებ, ქართველებმა გვიან შეიტყვეს. 1751 წ. თებერვალში მეფეები ჭარზე სალაშქროდ დაიდრნენ, მაგრამ მოულოდნელად გამოირკვა, რომ მათ წინააღმდეგ აჯი-ჩელებიც იბრძოდა, რომლის უშუალო დახმარებითაც ჭარელებს უკვე მოესწროთ უსაფრთხო ადგილებში გახიზვნა. ქართველებმა ჭარს თავი ანებეს და შაქის ხანთან შესაბამელად მდ. აგრი-ჩაისკენ* გაემართნენ. აჯი-ჩელებს ჯარის ერთი ნაწილი ჩასაფრებული ჰყავდა, ქართველები ამ ფანდს ვერ მიუხვდნენ, ბრძოლის დროს „გაქცეული“ მტრის სიღრმეში შეიჭრნენ, ამასობაში კი ზურგიდან ჩასაფრებულმა ჯარებმა შეუტიეს. ამას დაერთო განჯის ხანის ღალატიც, რომელიც უბრძოლველად გაიქცა, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა ბრძოლის ბედი; ქართველებმა მძიმე მარცხი იწვნირეს, მტერმა დიდი ნაღავლი იგდო ხელთ, მრავალი ქართველი მეომარი ბრძოლაში დაიღუპა, კიდევ უფრო მეტი კი ალაზანში გამოსვლისას დაიხრჩო (განსაკუთრებით – ქვეითი მებრძოლები). წინა ხაზზე მებრძოლი ერეკლე განსაცდელს გადაარჩინეს თავადმა პაპა ბებურიშვილ-ვაჩნაძემ და მარცხიდან გლეხმა დათუნა ბოსტაშვილმა (ამ უკანასკნელმა მეფეს საკუთარი ცხენი დაუთმო და ასე ააცილა ტყვედ ჩავარდნის საფრთხე). მკვლევართა აზრით, ამ მარცხის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ თეიმურაზს ამჯერად ალლომ უმტყუნა და დროულად ვერ განჭვრიტა შაქის ხანის პოზიცია. ამავე დროს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ქართველებს ორი სარდალი ჰყავდათ – თეიმურაზი და ერეკლე. თეიმურაზი უფრო ძლიერი დიპლომატი იყო, ერეკლე კი ძლიერი მხედართმთავარი. სახელმწიფოს მართვისას ისინი ერთმანეთს ავსებდნენ, ბრძოლის ველზე კი სარდლად ერეკლე სჯობდა. როგორც ჩანს, ამის გამო იყო, რომ მომდევნო ბრძოლებში თეიმურაზმა სამხედრო ხელმძღვანელობა ერეკლეს დაუთმო.

როგორც მოსალოდნელი იყო, აგრი-ჩაის მარცხმა ქართველთა მოწინააღმდეგე ძალები გაათამამა, მოთარეშე ლეკთა რაზმები მთელ ქართლ-კახეთს მოედვნენ, აჯი-ჩელები ზეიმობდა, მაგრამ ეს ზეიმი ნაადრევი გამოდგა: ერეკლემ ზედიზედ დაამარცხა ლეკები მანავთან, მარტყოფთან, საგურამოსთან და ა. შ. იმავე 1751 წ. სამხრეთის საზღვრებთან გამოჩნდა კიდევ ერთი ძლიერი მოწინააღმდეგე – ირანის ტახტის პრეტენდენტი, თავრიზის* სახანოს მფლობელი აზატ-ხანი, რომელიც მიზნად ისახავდა მთელი ამიერკავკასიის დაპყრობას. აზატ-ხანმა გადაწყვიტა ესარგებლა აგრი-ჩაისთან დამარცხების გამო ქართველ მეფეთა გავლენის შესუსტებით და თავად გაბატონებულიყო აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. თავდაპირველად მან იერიში მიიტანა ერევნის სახანოზე და იქ ქართველი მეფეების

მიერ ცოტა ხნის წინ გამოძევებული მაჰმად-ხანი გაგზავნა თავისი ჯარით. ერევნელებმა დახმარებისათვის ქართველებს მიმართეს. თეიმურაზმა და ერეკლემ აზატ-ხანის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხე სათანადოდ შეაფასეს: თუკი მას ერევანს დაუთმობდნენ, ჯერი ქართლ-კახეთზე მიდგებოდა. აჯი-ჩელებთან განცდილი მარცხის ფონზე აზატ-ხანთან ნებისმიერი სახის უკანდახვევა ქართლ-კახეთის ავტორიტეტს საბოლოოდ დასცემდა. ერეკლემ სასწრაფოდ შეკრიბა ჯარი და ერევნისაკენ გაემართა. მაჰმად-ხანი თავისი ჯარით ალყაშემორტყმულ ერევნის ციხესთან იდგა. როგორც კი ერეკლეს მოახლოება აცნობეს, მაშინვე მოხსნა ალყა და უკან დაიხია. ერევნის ციხის გარნიზონს უკვე სურსათი აღარ ჰქონდა და შიმშილობდა, ციხის გარეთ კი მთელი მოსახლეობა მტრის შიშით განიზნულიყო. პაპუნა ორბელიანი აღნიშნავს, რომ მკის დრო იყო, მაგრამ „ისე მოოხრებული იყო ერევნის ქვეყანა, რომ მკის მუშაც აღარ იშოვებოდა. ერევნის ციხისა და ერმიადინის* მეტს ალავს შენობა აღარსად იყო“. ერეკლემ თავისივე მეომრებს ააღებინა ხორბლის მოსავალი და ერევნის ციხეში შეატანინა. ამის შემდეგ, საბრძოლო პოზიციები დაიკავა მალღობზე, სოფ. ყირხბულახთან. მაჰმად-ხანი ერეკლესთან პირისპირ შებმას ვერ ბედავდა და ახლო-მახლო ტერიტორიებს არბევდა; ამასობაში აზატ-ხანმა 18 ათასიანი არმია შეკრიბა, რომელიც შუბოსნებისა და მეთოფეთა რაზმებისაგან შედგებოდა, ხოლო წინ ზამბურაკ*-აკიდებული აქლემები მოუძღოდნენ. მემატიანის ცნობით, ერეკლეს მხოლოდ 3 ათასი მეომარი ჰყავდა, ამიტომ სახელდახელოდ მოწვეულ თათბირზე უბრძოლველად უკან დაბრუნება ურჩიეს, მაგრამ მან მტკიცე უარი განაცხადა: „იცოდეთ, მე აზატ-ხანის შეუბმელი არ დავსდგები; ამაღამ რომ გავიქცეთ, ხვალ გზაზე მოგვეწვიან და უნამუსოდ სიკვდილს ნამუსიანად სიკვდილი სჯობსო.“

გადამწყვეტი ბრძოლა ყირხბულახთან გაიმართა. თავდაპირველად საკუთარი ჯარის სიმრავლით გულმოცემულმა აზატ-ხანმა ქართველებს მძლავრად შეუტია და ისე შეავიწროვა, რომ გამარჯვებაში ეჭვიც აღარ ეპარებოდა; მაგრამ ერეკლეს სამხედრო ტალანტის წყალობით, ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს: კრიტიკულ მომენტში, როდესაც ავღანელებმა თითქმის მთელი ქართველობა ალყაში მოიძწყვიდეს, ერეკლემ ბრძანება გასცა, სანამ მე არ ვისვრი თოფს, შეტევაზე ნურავინ გადახვალთო. პირველივე მიახლოებაზე მეფემ „თვითონ შესტყორცა თოფი და ერთი ავღნის ჯარის უფროსი კაცი ჩამოაგდო“. მისი სარდლობით ქართველთა ჯარმა ისე ძლიერად შეუტია ავღანელთა ცენტრს, რომ ერთი დარტყმით მოშალა იგი. ამან ბრძოლის ბედი კიდევ გადაწყვიტა, ავღანელთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი ერთბაშად გაიქცა ბრძოლის ველიდან, ქართველებმა 30 კილომეტრზე სდიეს გაქცეულებს, ბევრი დახოცეს, უფრო მეტი კი ტყვედ ჩაივდეს. თვითონ აზატ-ხანი ძლივს გადაურჩა ტყვეობას. ქართული წყაროების მონაცემებით, ამ გამარჯვების შედეგად, ერეკლეს „დარჩა 24 ზარბაზანი, 200 ზამბულაკი თავისის ასის აქლემით და დროშა მრავალი და ორიათას ხუთასი კარავი და ტყვისა და საქონლის რიცხვი ხომ არც შეიძლება“. ყირხბულახის ბრძოლაში ერეკლემ მართლაც უძლიერესი მოწინააღმდეგე დაამარცხა, რასაც ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე აღნიშნავს მემატიანი: „აზატ-ხანი ასეთი კაცი იყო, რომ საყენოდ ემზადებოდა და ამ დიდებით დადიოდა“. ამ გამარჯვებას არა მარტო

ამიერკავკასიაში, ირანშიც კი დიდი რეზონანსი ჰქონდა: აგრის მარცხის შემდეგ, განდგომილი ვასალური სახანოები ისევ ქართლ-კახეთის მორჩილების გზას დაადგნენ. აზერბაიჯანელმა ხანებმა ქართველ მეფეებს „მეგობრული“ კავშირი შესთავაზეს. სპეციალისტების აზრით, ყირხბულახის ბრძოლას XVIII ს. საომარი ეპიზოდების ისტორიაში ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ომან ხერხეულიძის მიერ მოყვანილი მაგალითი, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ იმ მცირერიცხოვანი ჯარით, რომელიც ერეკლეს განკარგულებაში იყო, აზატ-ხანის მრავალრიცხოვან და საუკეთესოდ აღჭურვილ არმიაზე გამარჯვების მოპოვება მართლაც სასწაულის ტოლფასია: ერეკლეს ერთ-ერთ მაჰმადიან თანამებრძოლს – ალავერდი-ხანს, რომელმაც ბრძოლის დაწყებამდე იხილა, თუ როგორ მხურვალედ ლოცულობდა ჯვრის წინაშე ერეკლე და მასთან ერთად მთელი ქართველთა ჯარი, უთქვამს: „თუ ამ ჯვარს რაიმე ძალა შესწევს, დღეს გამოჩნდებაო“. გამარჯვების შემდეგ კი მან აღიარა: „ესე საქმე კაცობრივის ძალისაგან შეუძლებელი იყო, მაგრამ ამ ჯვარის ძალამ ჰყო!“

ამ გამარჯვების შემდეგ, ერეკლეს უპირველესი ამოცანა იყო აჯი-ჩელების მიერ ჩამოყალიბებული ანტიქართული კოალიციის დაშლა. აჯი-ჩელები სარწმუნოებრივი მტრობის გაღვივებით ცდილობდა განხეთქილება გამოეწვია ქართველ მეფეებსა და მათ მაჰმადიან ვასალებს შორის. ასეთ ვითარებაში, თეიმურაზმა და ერეკლემ აჯი-ჩელების წინააღმდეგ გალაშქრება გადაწყვიტეს და „მეგობარი“ ხანებიც (განჯის, ერევნის, ყარაბაღის და ა. შ.) თან იახლეს. 1752 წელს მოკავშირეთა გაერთიანებული ჯარები განჯასთან შეიკრიბნენ და იქიდან აპირებდნენ შაქში შეჭრას, მაგრამ მოულოდნელად გამჟღავნდა, რომ ხანებს ფარული კავშირი ჰქონდათ აჯი-ჩელებთან და ბრძოლის დროს ქართველთათვის უნდა ეღალატათ. თეიმურაზის ბრძანებით ხანები შეიპყრეს, ასეთ ვითარებაში კი ბრძოლის დაწყებას უკვე აზრი აღარ ჰქონდა. მეფეებმა ჯარი უკან გამოაბრუნეს, მაგრამ აჯი-ჩელებმა მრავალრიცხოვანი ლაშქრით მათ გზა გადაუკეტა და აიძულა, ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ. განჯის ომში, რომელიც 1752 წლის 12 აპრილს გაიმართა, ქართველები სასტიკად დამარცხდნენ. გარდა იმისა, რომ დიდი ზარალი ნახეს (მათ შორის მსხვერპლის სახითაც), თვითონ მეფეებიც ძლივს გადაურჩნენ დატყვევებას.

რა თქმა უნდა, ამ მარცხმა სერიოზულად გაართულა ქართლ-კახეთის მდგომარეობა; აზატ-ხანმა დრო იხელთა და ერევნის სახანო დაიმორჩილა (ერევნის მოლაღალტე ხანი თავად ეახლა მას და მორჩილება აღუთქვა), დაღესტნელთა რაზმები კი მთელ ქართლ-კახეთში დათარეშობდნენ. ამ კრიტიკული სიტუაციიდან ქვეყანა ისევ თეიმურაზისა და ერეკლეს ენერგიულმა მოქმედებამ იხსნა. მათ მოახერხეს რევანშისათვის აუცილებელი ძალების მობილიზება: ჯარის დასაქირავებლად საჭირო თანხის შესაგროვებლად სამეფო ხაზინიდან ოქროსა და ვერცხლის იარაღი გამოიტანეს და ზარაფხანას გადასცეს ფულის მოსაჭრელად, ამ ფულით კი ჩრდილო კავკასიიდან 4 ათასკაციანი რაზმი იქირავეს. თითქმის სამი თვის მანძილზე გაჭიანურებული მოლაპარაკებებით მოწინააღმდეგის სიფხიზლე მოადუნეს და ამასობაში ბრძოლისათვის სამზადისი დაამთავრეს. 1752 წ. 1 სექტემბერს თულქი-თაფასთან* ბრძოლაში ქართველებმა მთლიანად გაანადგურეს

შაქის ხანის ლაშქარი და საკადრისად დასაჯეს მოღალატე ხანები. ამ გამარჯვების შემდეგ აზატ-ხანმაც შეწყვიტა ბრძოლა და ქართველებს ზავი შესთავაზა. ეს ზავი საქართველოსათვის უალრესად ხელსაყრელი იყო: ამიერკავკასიაში აღდგა ერეკლესა და თეიმურაზის პოლიტიკური ავტორიტეტი და საბოლოოდ დასამარდა აჯი-ჩელების გეგმა მაჰმადიანური სახანოების ქრისტიანულ ქართლ-კახეთთან დაპირისპირების თაობაზე. რადიკალურად შეიცვალა განჯის, შირვანის, ერევნისა და ა. შ. სახანოების დამოკიდებულებაც, საიდანაც ქართლ-კახეთისაკენ ერთბაშად დაიდრნენ მდიდრული საჩუქრებით დატვირთული „მშვიდობისა და მეგობრობის“ ელჩები.

ამგვარი გამარჯვებების წყალობით, XVIII ს. 50-იანი წლებიდან ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში ერთიორად გაიზარდა ერეკლე II-ის ავტორიტეტი. 1754 წ. დაიბეჭდა ფრანგი კომერსანტის – პეისონელის წიგნი, რომელმაც ევროპას გააცნო ერეკლე, როგორც ეპოქის გამოჩენილი სარდალი და სახელმწიფო მოღვაწე. მისი სახელი იმდენად პოპულარული გახდა, რომ ცნობილი გერმანელი მწერლის გ. ლესინგის ერთ-ერთი ნაწარმოების გმირები – გერმანელი მხედრები, რომელნიც სამშობლოდან სახელის მოსახვეჭად მიემგზავრებოდნენ, ოცნებობდნენ, რათა „მისი უმაღლესობის, პრინც ერეკლეს მთავარსარდლობით ერთი-ორჯერ მაინც გაელაშქრათ თურქების წინააღმდეგ.“

ამ წარმატებების მიუხედავად, ქართველთა მთავარი პრობლემა – ლეკების თარეში კვლავაც გადაუჭრელი რჩებოდა. ლეკიანობის განსაკუთრებით ძლიერი შემოტევა იყო 1754-1760 წლებში; მარტო 1755 წლის განმავლობაში ლეკებმა წვრილ-წვრილი თავდასხმების გარდა, სამი დიდი ლაშქრობა მოაწყვეს ქართლსა და კახეთში. მათ შორის უმძიმესი იყო 1754 და 1755 წლების ლაშქრობები ხუნდახის* მფლობელის – ნურსალ-ბეგის მეთაურობით.

1754 წ. აგვისტოში ნურსალ-ბეგმა თავისი მრავალრიცხოვანი რაზმით დაარბია არაგვის ხეობა და მჭადიჯვრის ციხეს მიაღვა. ერეკლემ და თეიმურაზმა მას დროულად მიუსწრეს და უკუაგდეს; მაგრამ მალე მან კიდევ უფრო დიდი – 20 ათასკაციანი ლაშქარი შეკრიბა (მას შეუერთდნენ ჭარელები და შაქი-შირვანელები) და ალყა შემოარტყა ყვარლის ციხეს; ამასთანავე, ერთი მარბიელი რაზმი ქართლში გაგზავნა, მეორე კი – ქიზიყში.

ყვარლის ციხე კახეთის უმთავრეს სიმაგრედ ითვლებოდა, ამიტომ მის დაცვას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ერეკლეს ჩრდილო კავკასიიდან შეპირებული მაშველი ჯარი არ მოუვიდა, საკუთარი ძალები კი ალყის გასარღვევად არ ჰყოფნიდა. ყვარლის ალყა თითქმის ერთ თვეს გაგრძელდა. ამასობაში ციხის გარნიზონს სურსათი და ტყვია-წამალი შემოაკლდა; ციხის დაცვა უფრო და უფრო გაჭირდა, რადგანაც ლეკებმა გალაგნის გარშემო ისეთი მაღალი საფრები ააგეს, რომ „თოფს შიგ ციხეში ჩაისროდნენ“. ქართველთა მცირერიცხოვანი ჯარით მტრის დამარცხება პირისპირ ბრძოლაში შეუძლებელი იყო, ამ შემთხვევაში მათ მხოლოდ სტრატეგიული ხერხის გამოყენება თუ უშველიდათ. ერეკლეს მხედართმთავრულმა ნიჭმა ამჯერადაც იხსნა ქართველობა: მან გადაწყვიტა ციხეში მაშველი რაზმი შეეგზავნა, რომელიც მეციხოვნეებს ტყვია-წამალსა და სურსათის მარაგს მიაწვდიდა; მაგრამ დაღესტნელთა მჭიდრო ალყის

გარღვევა თითქმის შეუძლებელი ჩანდა. ერეკლემ მოუწოდა მოხალისეებს და ამ გმირობის სანაცვლოდ აღუთქვა: თავადსა და აზნაურს – შესაფერისი თანამდებობა და მამულები, ხოლო გლეხს – ბატონყმობისაგან გათავისუფლება, ორი საკომლო მიწა და ფულადი ჯილდო. მეფის მოწოდებას ორასამდე მეომარი გამოეხმაურა (მათ შორის ათამდე თავადაზნაური, ერთი ხუცესი, ასოცდაათი ქიზიყელი გლეხი და სხვა). ისინი ღამით დაიდრნენ ციხისაკენ, ალაზანი გადალახეს და ლეკთა „ყარაულთან“ ხელჩართული ბრძოლით შეაღწიეს ციხეში. მეციხოვნეები გამხნევდნენ, თოფისწამლის მარაგი შეივსეს და ისე ძლიერად შეუტიეს მოაღყეებს, რომ მათი საფრებიც კი გადაწვეს. ნურსალ-ბეგისათვის ცხადი გახდა, რომ ციხეს სწრაფად და იოლად ვეღარ აიღებდა. ამასობაში ერეკლე თავისი გეგმის მომდევნო ეტაპზე გადავიდა: „არჩივა კაცნი გულოვანნი და კარგ-ცხენოსანნი ქისიყელნი და გაუსივა ჭარს.“ ამის გამო ნურსალ-ბეგს ჭარელი თანამებრძოლები განუდგნენ – „ჩვენ აქ უბრალოდ ერთ ციხეზე ვიღალეებითო და ჩვენს სახლებს კახი ბატონი აოხრებსო.“ ერეკლეს სამხედრო ფანდმა გაჭრა – ჭარელებმა გადაწყვიტეს ყვარლის ალყა მიეტოვებინათ და თავიანთი სახლებისათვის მიეხედათ. ამ ნიადაგზე დიდი უთანხმოებაც მოუვიდათ ნურსალ-ბეგთან, ბოლოს ერთმანეთს დაერივნენ და ამ შეტაკებისას ბევრი დაიხოცა. ჭარელებს კაკის სულთანმაც მიბაძა – ქართველები მის სამფლობელოსაც ემუქრებოდნენ. ამის შემხედვარე აჯი-ჩელების შვილმაც შაქს მიაშურა და მოაღყეთა ერთი მხარე მთლიანად მოირღვა. ციხის აღების ნაცვლად, ნურსალ-ბეგს უკვე თავდაცვაზე უნდა ეზრუნა, იგი მიხვდა, რომ ომი წაგებული ჰქონდა და ყვარლის ციხეს შემოეცალა; თუმცა ამ მარცხის შემდეგაც არ მოისვენა და მცირე რაზმებით პარტიზანული ომი გააჩაღა. ქართლ-კახეთის რბევა-თარეში მანამდე გაგრძელდა, სანამ ქართველებმა შეუპოვარი ბრძოლით საბოლოოდ არ განდევნეს მარბიელი ლეკები. ნურსალ-ბეგის გრანდიოზული ლაშქრობის სამარცხვინო დასასრული ხალხურ პოეზიაშიც აისახა.

მართალია, ქართლ-კახეთი დიდ საფრთხეს გადაურჩა, მაგრამ ლეკიანობა კვლავაც გრძელდებოდა და მძარცველთა წვრილ-წვრილი თავდასხმები ქვეყანას წელში წყვეტდა. ერეკლე ქართველთა რაზმებით ღამის სოფელ-სოფელ დასდევდა დაღესტნელ ყაჩაღებს და სადაც წაასწრებდა, იქ ანადგურებდა, მაგრამ დაღესტნიდან ახალ-ახალი რაზმები გადმოდიოდნენ; მეფე თუ ქართლში იყო, ისინი კახეთს დაეცემოდნენ და – პირიქით. ასე გაგრძელდა რამდენიმე წლის მანძილზე. ქვეყანა აოხრდა, მემატეიანის ცნობით 1757 წლისათვის „დაიცალა საბარათაშვილო, ორბელიანთ მამული, ზოგნი ავიდნენ ზემო ქართლში, აღარსად დარჩა შენობა იმ მხარეს... იყო ცემა ლეკთაგან მარადის და ოხრება საქართველოსა შინა“.

ლეკიანობის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისათვის აუცილებელი იყო ფულადი სახსრები და რეგულარული ჯარი, რის საშუალებაც, გამუდმებული ბრძოლებით დასუსტებულ ქართლ-კახეთს, არ გააჩნდა. აქედან გამომდინარე, ქართველმა მეფეებმა გადაწყვიტეს ამ პრობლემის მოსაგვარებლად ქვეყნის გარეთ მოეძებნათ მოკავშირე; ასეთად მათ ერთმორწმუნე რუსეთი ესახებოდათ. ამავე დროს, ამ მიმართულებით სასწრაფოდ უნდა მიეღოთ ზომები, რადგან ირანის შაჰის ტახტისათვის ბრძოლა დასასრულს უახლოვდებოდა. ამ დროისათვის, უპირატესობა მოიპოვა ზენდების დინასტიის წარმომადგენელმა ქერიმ-ხანმა, რომელმაც 1752 წ.

შაჰის ტახტი დაიკავა და დედაქალაქად შირაზი აირჩია; მართალია, მისი ძალაუფლება ჯერ კიდევ არ ვრცელდებოდა ირანის მთელ ტერიტორიაზე, მაგრამ ეს მხოლოდ დროის საკითხი იყო. XVIII ს. 60-იანი წლებისათვის, მან ყველა მოწინააღმდეგე ჩამოიშორა და ირანის ერთპიროვნული მმართველი გახდა, თუმცა შაჰის ტიტულზე უარი თქვა და ქვეყანას ვეჟილის* (რეგენტის) სტატუსით მართავდა (1763-1779 წწ.). თეიმურაზი და ერეკლე გრძნობდნენ, რომ მალე ირანის ახალი მბრძანებელი საქართველოსთვისაც მოიცლიდა და მის დამოუკიდებელ არსებობას არ შეეგუებოდა.

1760 წ. აპრილში, თეიმურაზ II სათანადო ამალით რუსეთს გაემგზავრა. ეს ელჩობა მიზნად ისახავდა რუსეთისაგან ლეკიანობასთან საბრძოლველად ჯარის, ან თუნდაც მის დასაქირავებლად საჭირო თანხის მიღებას; ამის სანაცვლოდ კი, თეიმურაზი იმპერატორს სთავაზობდა ირანში ლაშქრობის შემთხვევაში მოკავშირეობას და იქ რუსეთისათვის მისაღები კანდიდატურის გამეფებაში მხარდაჭერას. სამწუხაროდ, ელჩობა უშედეგოდ დამთავრდა: რუსეთი ამ დროს პრუსიისა და ინგლისის წინააღმდეგ ე.წ. „შვიდწლიან ომში“ (1756-1763 წწ.) იყო ჩაბმული და იმ ხანად ეს წინადადება მისთვის ხელსაყრელი არ იყო; თუმცა დოკუმენტური წყაროებით დასტურდება, რომ საიმპერატორო კარზე თეიმურაზის გეგმა დეტალურად განიხილეს და სამომავლოდ, შესაფერისი საერთაშორისო სიტუაციის პირობებში მისაღებადაც მიიჩნიეს. პასუხის მოლოდინში თეიმურაზ II მთელი 8 თვის განმავლობაში დააყოვნეს. 1761 წ. 25 დეკემბერს რუსეთის დედოფალი ელისაბედი გარდაიცვალა და ქართველთა ელჩობას დახმარებაზე საბოლოოდ უარი განუცხადეს. როგორც ჩანს, თეიმურაზისათვის ეს მძიმე დარტყმა იყო: 1762 წ. 8 იანვარს იგი უეცრად გარდაიცვალა. სიშორის გამო მისი ცხედრის საქართველოში ჩამოსვენება ვერ მოხერხდა და იგი ასტრახანის* მიძინების ტაძარში თავისივე სიმამრის – ვახტანგ VI-ის გვერდით დაკრძალეს.

გარდა იმისა, რომ ელჩობა უშედეგო აღმოჩნდა, მან ერეკლეს სხვა პრობლემაც შეუქმნა. კერძოდ, სერიოზულად გაურთულდა ურთიერთობა ირანთან. ქერიმ-ხანმა ერეკლე თავისთან დაიბარა და ელჩობასთან დაკავშირებით ახსნა-განმარტება მოითხოვა. ერეკლემ ლეკების წინააღმდეგ ბრძოლა მოიმიზეზა და ირანში წასვლას თავი აარიდა, სამაგიეროდ იქ უხვი საჩუქრებით დატვირთული ელჩობა გაგზავნა, თან ქერიმ-ხანთან წერილიც აახლა, რომელშიც თავს იმართლებდა, რომ თეიმურაზის რუსეთს წასვლა მასთან შეუთანხმებლად მოხდა. რა თქმა უნდა, ასეთი პასუხით, ირანის მბრძანებელს იგი თავის ერთგულებაში ვერ დაარწმუნებდა, ამიტომაც, მეტი დამაჯერებლობისათვის, მას გაუგზავნა ირანის ტახტის ერთ-ერთი პრეტენდენტი – აზატ-ხანი, რომელიც ჯერ კიდევ 1760 წლიდან ჰყავდა დატყვევებული. იმ ხანად, ქერიმ-ხანსაც არ აწყობდა ამიერკავკასიაში ახალი პრობლემის გამწვავება, ამიტომაც, ამ ეტაპზე, ერეკლეს პასუხით დაკმაყოფილდა; უფრო მეტიც, ქართველთა დელეგაცია შაჰმა დიდი პატივით გამოიხსტუმრა, ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება სცნო და, შესაბამისად, აღიარა ერეკლეს უფლებები განჯისა და ერევნის სახანოებზე.

ერეკლე II-ს გაძლიერების კვალდაკვალ, ქვეყნის შიგნითაც გააქტიურდნენ მისი მოწინააღმდეგე ქართლელი თავადები, მათ კვლავ წამოსწიეს ქართლის ტახტზე

„კახი ბაგრატიონების“ უფლებამოსილების საკითხი, მით უფრო, რომ რუსეთში ეგულებოდათ „ნამდვილი მემკვიდრე“ – ვახტანგ VI-ის შვილიშვილი ალექსანდრე ბაქარის-ძე. ამჯერად, თავადებმა სახელმწიფო გადატრიალება და მეფისა და მისი ოჯახის მკვლელობა დაგეგმეს. შეთქმულების სულისჩამდგმელი გახდა ვახტანგ VI-ის უკანონო შვილი პაატა ბატონიშვილი. იგი ჯერ კიდევ 1724 წ. მამასთან ერთად წავიდა რუსეთში და იმ დროისათვის კარგი განათლებაც მიიღო, შეისწავლა სამხედრო ხელოვნება, მათ შორის – საარტილერიო საქმე და ზარბაზნების ჩამოსხმა (სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, მას ქვემეხების დამზადების საქმე აუწყვია). 1752 წ. პაატა ბატონიშვილმა რუსეთი უნებართვოდ დატოვა და საქართველოში გამოიპარა. თეიმურაზმა და ერეკლემ ნათესავი დიდი პატივით მიიღეს და დააბინავეს; თუმცა ძალიან მალე, ერეკლემ იგი ლალატში ამხილა და ერთხანს პატიმრობაშიც ჰყავდა. შეწყალების შემდეგ, პაატა იმერეთში გაიქცა და იქიდან აგრძელებდა ერეკლეს წინააღმდეგ ბრძოლას. საინტერესოა, რომ ზოგიერთი წყაროს ცნობით, იგი რუსული ორიენტაციის მოწინააღმდეგე იყო. ამას ადასტურებს მისი ერთ-ერთი წერილიც (თავისი ძმისადმი), სადაც იგი რუსეთს მოიხსენიებს როგორც „მატყუარა და სამართლებრივ ნორმათა უარყოფელ სახელმწიფოს, სადაც კაცი კაცად არ არის მიჩნეული“. პაატა ბატონიშვილი ქერიმ-ხანსაც ეახლა დახმარების სათხოვნელად, მაგრამ უარი მიიღო. უშედეგო მცდელობის შემდეგ, იგი კვლავ ქართლში დაბრუნდა და შეთქმულებას ჩაუდგა სათავეში. შეთქმულთა თავშეყრის ადგილი იყო პაატა ბატონიშვილის სადგომი – ე. წ. „მარკოზაშვილის დარბაზი“. 1765 წელს, როცა უკვე მზად იყვნენ გამოსვლისათვის, ისინი სამშვილდელმა გლეხმა დათუნა ფეიქარმა გასცა (მისი ცოლი ერეკლეს ქალიშვილის ძიდა იყო და სასახლეში ცხოვრობდა, დათუნა ფეიქარს დავალებული ჰქონდა, ცოლის დახმარებით შეთქმულები სასახლეში შეეშვა). ერეკლემ ყველანი შეიპყრო და საჯაროდ გაასამართლა: საქმე დარბაზმა განიხილა, დამნაშავეებს ქონება ჩამოართვეს და შესაბამისი სიმკაცრით დასაჯეს (პაატა ბატონიშვილს თავი მოჰკვეთეს). ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა კიდევ ერთი ეპიზოდი: ვახტანგ VI-ის მემკვიდრეებს ოფიციალურად ეკრძალებოდათ რუსეთის დატოვება. საეჭვო დამთხვევით, რუსეთიდან სწორედ ამ დროს – 1764 წელს გამოუშვეს ალექსანდრე ბაქარის-ძე, რომელიც 1765 წელს უკვე მოზღოკში იყო, მაგრამ ამ დროისათვის შეთქმულები უკვე გასამართლებულნი იყვნენ და ქართლის ტახტის მამიებელმა ხელსაყრელ მომენტს ვერ ჩამოუსწრო. სამეცნიერო ლიტერატურაში, დოკუმენტური მასალის საფუძველზე, დადასტურებულია, რომ რუსეთის მთავრობა, საჭიროების შემთხვევაში, ასეთი პრეტენდენტების თავის სასარგებლოდ გამოყენებას არ თაკილობდა და ე. წ. „ორმაგი სტანდარტით“ მოქმედებდა.

შეთქმულების აღმოფხვრის შემდეგ ერეკლეს წინაშე კვლავ გადაუდებელ ამოცანად რჩებოდა ირანთან დიპლომატიური გზებით მოპოვებული წარმატებების შენარჩუნება და ლეკთა საკითხის საბოლოოდ გადაჭრა. გარდა ამისა, ანგარიშგასაწევი იყო თურქეთის პოზიციაც, რომლის იმჟამინდელი „კეთილგანწყობა“ სულაც არ ნიშნავდა, რომ ქვეყანა მომავალშიც სამუდამოდ იქნებოდა დაზღვეული თურქული აგრესიისაგან. ამავე დროს, შავი ზღვის სრუტეებსა და ბალკანეთში თურქეთის გაბატონების შედეგად საქართველო

დასავლეთისაგან (ევროპისაგან) იზოლირებული იყო, იმერეთის სამეფო და მისგან ფაქტიურად დამოუკიდებელი გურიისა და სამეგრელოს სამთავროები კი თურქეთის გავლენის ქვეშ იყვნენ. საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი (ყოფილი სამცხე-საათაბაგო*) ჯერ კიდევ XVI საუკუნეში მიიტაცა თურქეთმა და იქ ახალციხის თურქული საფაშო ჩამოაყალიბა, რომელიც საქართველოში თურქეთის აგრესიის უმთავრეს ბაზად იქცა. ასეთ პირობებში ქვეყნის უსაფრთხოების დასაცავად მცდელობა არ დაუკლიათ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მესვეურებს: 1758 წ. თეიმურაზმა, ერეკლემ და იმერეთის მეფემ სოლომონ I-მა (1752-1784 წწ.) გორში შეხვედრისას მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება გააფორმეს; მაგრამ მაჰმადიანურ სახელმწიფოთა რკალში მოქცეული ქვეყნისათვის ეს საკმარისი არ იყო. ამ სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი იყო ორიენტაცია ძლიერ მოკავშირეზე, რომელიც თურქეთისა და ირანის მხრიდან აგრესიის განახლების შემთხვევაში, ქვეყანას მფარველობას გაუწევდა და, უფრო მეტიც – ადრევე დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაშიც დაეხმარებოდა.

საამისოდ ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წწ. ომის დაწყების წინ. რუსეთის დიდი ხნის ოცნება იყო შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვება. ამისათვის ის მხოლოდ შესაფერის მომენტს უცდიდა და საჭირო საბაბს ეძებდა. საიმპერატორო კარზე მშვენივრად იცოდნენ, რომ თურქეთთან დაპირისპირებისას ევროპა მხარს არ დაუჭერდა რუსეთს, ამიტომ ისინი უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ თურქეთის უღელქვეშ მყოფი ქრისტიანი ხალხების განმათავისუფლებელ ბრძოლას, რომელიც ამჯერად მოხერხებულად გამოიყენეს თავიანთი ნამდვილი ზრახვების შესანიღბად: რუსეთის მთავრობამ მოწოდებით მიმართა ბალკანელ და კავკასიელ ქრისტიანებს, რომ იგი „იძულებულია“ თურქეთს შეებრძოლოს „ქრისტიანული სარწმუნოების დასაცავად“. ამ გზით რუსეთი გეგმავდა თურქეთის წინააღმდეგ აჯანყების მეშვეობით ომში ჩაება ბალკანეთისა და კავკასიის ქრისტიანი ხალხები და ამით თურქეთის ძალები ორ ფრონტზე საბრძოლველად დაექსაქსა. თავის მხრივ, თურქეთი მხარდაჭერისაკენ მოუწოდებდა ყირიმისა და კავკასიის მაჰმადიანებს.

ომის დაწყების წინ, რუსეთში დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იმერეთის მეფე სოლომონ I ამ კონფლიქტში აუცილებლად ჩაერთვებოდა, მაგრამ ერეკლე II-ის დათანხმება საეჭვოდ მიაჩნდათ, ვინაიდან იმერეთისაგან განსხვავებით, ქართლ-კახეთის სამეფოზე თურქეთის გავლენა არ ვრცელდებოდა. შაქმე ის არის, რომ ამ შემთხვევაში, ერეკლეს საკუთარი მოტივი ჰქონდა: რუსეთის დახმარებით იგი თურქეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიების შემოერთებას, ჭარ-ბელაქნის დაპყრობას და ლეკიანობის საბოლოოდ აღკვეთას გეგმავდა. ამავე დროს, მან ისიც იცოდა, რომ იმ ხანად, ირანი ოსმალეთის დასუსტებისა და ამის ხარჯზე ქართლ-კახეთის გაძლიერების წინააღმდეგი არ იქნებოდა. მიტომ, ერეკლე ომში მონაწილეობაზე დათანხმდა, მხოლოდ იმ პირობით, რომ რუსეთი საქართველოში დამხმარე ჯარს გამოგზავნიდა.

1769 წ. 21 მაისს სოლომონი და ერეკლე ერთმანეთს თბილისში შეხვდნენ და ერთობლივ მოქმედებაზე შეთანხმდნენ. რუსეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება

იმერეთში 400 კაციანი რაზმისა და ზარბაზნების გაგზავნის შესახებ, რაზმის ხელმძღვანელად კი გენერალ-მაიორი, გრაფი ტოტლებენი დანიშნა. წარმოშობით გერმანელი ტოტლებენი სხვადასხვა დროს მსახურობდა საქსონიის*, პოლანდიის, პრუსიის* და რუსეთის არმიებში. „შვიდწლიანი ომის“ დროს ის რუსეთის არმიაში კორპუსის მეთაური იყო და ღალატში მხილებული (ფარული მიმოწერა ჰქონდა ფრიდრიხ II-თან და მას სამხედრო საიდუმლოებებს აცნობებდა) დასაჯეს; მოგვიანებით, ეკატერინე II-მ იგი შეიწყალა და არმიაშიც აღადგინა. ასეთი საეჭვო წარსულის მქონე პიროვნების დანიშვნით, რუსეთმა დიდი შეცდომა დაუშვა – ღალატისადმი ტოტლებენის მიდრეკილებამ რუსეთ-თურქეთის მიმდინარე ომშიც არაერთხელ იჩინა თავი.

1769 წ. აგვისტოში რუსული რაზმი ტოტლებენის მეთაურობით საქართველოში შემოვიდა. ერეკლემ იგი საგანგებო პატივით მიიღო და შეხვედრისას თავისი საბრძოლო გეგმაც გააცნო. 26 სექტემბერს ტოტლებენი თავისი რაზმით იმერეთში ჩავიდა და წინასწარ შეთანხმებული გეგმის მიხედვით, სოლომონ I-თან ერთად ალყა შემოარტყა შორაპნის ციხეს,* სადაც 23 კაციანი თურქული გარნიზონი იყო გამაგრებული. მოკლე ხანში სოლომონს დასავლეთის მხრიდან დადიანისა და თურქების შემოჭრის შესახებ აცნობეს და იგი იძულებული გახდა, მათთან საბრძოლველად წასულიყო. 23 კაციანი გარნიზონის წინააღმდეგ ბრძოლა რუსეთის არმიის გენერალ-მაიორს თითქოს არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ მოულოდნელად, 4 დღის შემდეგ, ტოტლებენმა ალყა მოხსნა და იმერეთიდან ქართლში, კერძოდ – ცხინვალში წამოვიდა. აქ იგი შეუდგა ახალციხეზე ლაშქრობის სამზადისს, რომლის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად ერეკლემ წამოაყენა რუსეთიდან დამატებითი ჯარის შემოყვანა. ტოტლებენმა ამ მიმართულებით მართლაც აწარმოვა სათანადო ინსტანციებთან მიმოწერა და 1770 წ. 3 თებერვლისათვის საქართველოში რუსთა ჯარის რაოდენობა 1228 კაცამდე გაიზარდა, ხოლო ამავე წლის 16 მარტს მოზდოკისაკენ* დაიდრა ტომსკის პოლკი, რომელიც საქართველოში მხოლოდ ივნისის თვეში შემოვიდა.

1770 წ. 17 მარტს ერეკლე 7 ათასიანი ჯარით და 3 ზარბაზნით სურამში ჩავიდა, სადაც მას ტოტლებენი დახვდა 1200 კაცით. რუსთა და ქართველთა ერთიანი ჯარი ქვიშხეთისაკენ გაემართა. 14 აპრილს მოკავშირეები სადგერში იყვნენ და სწორედ აქ იჩინა თავი პირველმა უთანხმოებამ: ტოტლებენმა მეფეს შესთავაზა ერთიანი ჯარისა და ზარბაზნების ნაწილი სადგერის* ციხეში დაეტოვებინათ. ბუნებრივია, ერეკლე ამაზე არ დათანხმდა, მაგრამ გენერალმა თვითნებურად თავისი გაიტანა. ამის შესახებ, ერეკლე ერთ-ერთ რუს მეთაურს სწერდა: „დავუშაღე, მაგრამ ჩემი რჩევა არ მიიღო; რაც კარავი ჰქონდა, და 6 ზარბაზანი და ნახევრამდის ჯარი, რომელიც ამ ხანად ორივე საჭირო იყო, ჩემს შეუტყობრად დაეგდო სადგერში; აწყურს რომ მივედით, ორის კარვის მეტი არა ჰქონდა-რა.“ 17 აპრილს მოკავშირეები აწყურს მიადგნენ. დოკუმენტური მასალის მიხედვით, აწყურთან ტოტლებენი ექვსასამდე ჯარისკაცით და 8 მცირეყალიბიანი ქვემებით მივიდა. მჯერად, მან დაიჟინა აწყურის ციხის აღება, ერეკლეს კი მიაჩნდა, რომ გზა უნდა გაეგრძელებინათ და საფაშოს ტერიტორიის სიღრმეში შეჭრილიყვნენ, რათა ციხის გარნიზონისათვის ზურგიდან დამხმარე ძალებისა და სურსათის

მიღების საშუალება მოესპოთ. ტოტლებენმა აქაც თავისი გაიტანა და მალე გამოირკვა, რომ მისი გეგმა სტრატეგიულად უვარგისი იყო: არსებული ძალებით მან ვერ მოახერხა აწყურის ციხის სრულ აღყაში მოქცევა და ახალციხიდან მისკენ მომავალი გზის გადაკეტვა. ამით ისარგებლა ახალციხის ფაშამ და 18 აპრილს ციხეში 2 ათასიანი რაზმი შეიყვანა, 19 აპრილს კი ტოტლებენმა მოულოდნელად მიატოვა ბრძოლის ველი და აწყურიდან წამოვიდა. ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ერეკლემ ამჯერადაც დიდი მოთმინება და თავშეკავება გამოიჩინა, „მე მიველ და ღრაფს (ე.ი. გრაფ ტოტლებენს, ლ.მ.) დიდად ვევედრე, – სწერდა იგი რუსეთის ვიცე-კანცლერ გოლიცინს, – და ჩემი თავი ვითარცა ერთი მისისა კამანდისა ოფიცერი, ეგრეთ კამანდაში ვაძლივე, და მრავალს ვევედრე გამობრუნებას მტერზედ...“ მაგრამ მეფის თხოვნა ტოტლებენმა ყურად არ იღო. რუსების წასვლას ქართველთა ჯარში უწესრიგობა მოჰყოლია, მტერი კი უკვე წინასწარ ზეიმობდა გამარჯვებას. ერეკლემ დიდი ძალისხმევით მოახერხა ჯარში დისციპლინის აღდგენა, ამის შემდეგ ალყის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა და ქართველებმა პოზიციები დატოვეს. მოგვიანებით, ერთ-ერთ წერილში ერეკლე ამტკიცებდა, რომ ტოტლებენი თავიდანვე ცდილობდა ამ ლაშქრობის ჩაშლას, მას ქვიშხეთშივე ეტყობოდაო, რომ „დიდად ეზარებოდა მტერზე წამოსვლა“. ამ მოსაზრებას ოფიციალური დოკუმენტებიც ადასტურებენ: ჯერ კიდევ 6 აპრილის პატაკით ტოტლებენი სამსახურიდან გათავისუფლებას ითხოვდა და წერდა: „უმორჩილესად გთხოვთ, აქედან ჩქარა წამიყვანოთ, ჩემს მაგივრად ჩემი რაზმი სხვა გენერალს ჩააბაროთ... ძალა არ მყოფნის.“

აწყურიდან ერეკლე ქართველთა ჯარით ასპინძის მიმართულებით წავიდა. ახალციხის ფაშამ მთელი ძალები მის წინააღმდეგ დაძრა, თან ახალქალაქისა და ხერთვისის ციხეებიდან 1500 მეომარი გამოიყვანა ქართველთათვის ასპინძისაკენ მიმავალი გზის გადასაკეტად. მართალია, ქართველებმა ისინი სასტიკად დაამარცხეს, მაგრამ ამასობაში, ფაშამ ასპინძასთან 4 ათასიანი კორპუსს მოუყარა თავი (თურქების ცნობით ეს კორპუსი 8 ათასიანი იყო). ასპინძის ბრძოლა 1770 წლის 20 აპრილს გაიმართა და ერეკლეს სამხედრო ნიჭის წყალობით ქართველებმა კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. მტრის ჯარი რიცხობრივად დიდად აღემატებოდა ერეკლეს ძალებს (მას მხოლოდ 3 ათასი მეომარი ჰყავდა), ამიტომ მან ბრძოლის წინა ღამით რამდენიმე მეომარი გაგზავნა, რომლებმაც მტკვარზე გადასასვლელი ხიდის ბურჯები დააზიანეს, რითაც მტერს უკანდახევის, მაშველი ძალების დახმარებისა და მანევრირების საშუალება მოუსპო. ქართველთა ჯარი ერეკლემ სამ ნაწილად განალაგა: მარჯვენა ფლანგზე სარდალი დავით ორბელიანი დააყენა, მარცხენაზე – თავისი ვაჟი გიორგი ბატონიშვილი, ხოლო ცენტრს თვითონ ხელმძღვანელობდა. პირველად შეტევაზე ერეკლე გადავიდა და ელვისებური მოქმედებით თურქთა და ლეკთა გაერთიანებულ ძალებს დიდი ზარალი მიაყენა; მტერმა უწესრიგოდ დაიწყო უკანდახევა და მიაწყდა ხიდს, მაგრამ დაზიანებული ხიდი ჩაინგრა და ოსმალთა ჯარის დიდი ნაწილიც ადიდებულ მტკვარში დაიხრჩო. ქართველთა ლაშქარში მცირე ზარალის ფონზე მტრის დანაკარგები მასშტაბური იყო: ტყვეთა ჩვენებით, მთელი კორპუსიდან მხოლოდ 13 კაცი დაბრუნებულა ახალციხეში; დაიღუპა მათი მთავარსარდალი, რამდენიმე ფაშა

და ლექთა მეთაურები, მათ შორის – ყველაზე სისხლისმსმელი წინამძღოლი მალაჩი (კოხტა-ბელადი), რომელიც ერეკლეს თავის ხელით მოუკლავს.

ასპინძის ბრძოლა ქართველი ხალხის ისტორიას შემორჩა, როგორც კარგად დაგეგმილი, გაბედული, რთული და ბრწყინვალედ შესრულებული სამხედრო ოპერაცია. თუმცა, სამწუხაროდ, ტოტლებენის ღალატის გამო ეს გამარჯვება ერეკლემ სათანადოდ ვეღარ გამოიყენა, მისი ძირითადი მიზანი – სამცხე-ჯავახეთის დაკავება, – განუხორციელებელი დარჩა. ტოტლებენის მიმართ ქართველთა განწყობის ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს ანტონ კათალიკოსის სიტყვები მისივე წერილიდან გრაფ ნ. პანინისადმი: „გენერალი, რომელიც თავისი ფიცის საწინააღმდეგოდ იქცევა, გენერალი, რომელმაც ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე მიატოვა ბრძოლის ველი, – დიდ ზიანს აყენებს საქართველოს. ეს გარემოებები აფერხებს ჩემს ძმას, მეფე ერეკლეს, რომელიც მტრის წინააღმდეგ იბრძვის და (ასპინძის) სისხლისმღვრელი შეტაკების შემდეგ ბრწყინვალე გამარჯვებას აღწევს, და მას მტრის წინააღმდეგ შემდგომი ბრძოლებისაგან აკავებს, რადგან რუსი გენერალი თვითონ გარბის და რუსულ ჯარს ნებას არ აძლევს, მტერი უკუაგდოს; მალავს არტილერიას, რათა იგი მტრის წინააღმდეგ ვერავინ გამოიყენოს, ამის შედეგად კი მისი იმპერატორობითი უმაღლესობის სამსახურიც არ სრულდება.“

ამრიგად, ასპინძის ბრწყინვალე გამარჯვებას არ მოჰყოლია შესაბამისი პოლიტიკური წარმატება, უფრო მეტიც, ერეკლეს ახალი საზრუნავი გაუჩნდა. კერძოდ, ტოტლებენის ხელყოფისაგან საკუთარი სამეფო ტახტის დაცვა გაუხდა საჭირო. მან თავიდანვე განჭვრიტა, რომ ტოტლებენის სასწრაფოდ ქართლში დაბრუნება კარგს არაფერს მოასწავებდა. მართლაც, რუსმა გენერალმა ზოგიერთი ოპოზიციონერი ქართლელი თავადის დახმარებით, სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა განიზრახა. ამ მიზნით, მან დაიწყო ქართლის ციხე-ქალაქების დაკავება და მოსახლეობას აიძულებდა, რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაეფიცათ. ამავე დროს, იგი ერეკლეს შესახებ აგზავნიდა ყალბ ინფორმაციას პეტერბურგში და მიზანსაც მიაღწია: საიმპერატორო კარი ერეკლეს საწინააღმდეგოდ განაწყო და შედეგად მის მიერ მოპოვებული მართლაც ბრწყინვალე გამარჯვება იქ საკმაოდ ცივად მიიღეს, იმპერატრიცამ მოსალოდნელი წყალობის ნაცვლად, ერეკლეს პასუხიც კი არ აღირსა; თუმცა, სათანადო განხილვის საფუძველზე, რუსეთში გადაწყვიტეს, რომ თავისი საქციელით, ტოტლებენი საქართველოში „რუსეთს უფრო სირცხვილს უხვევდა, ვიდრე სახელს“ და მის ნაცვლად სარდლად გენერალი ა. სუხოტინი დანიშნეს. ამავე დროს, ამ უკანასკნელს აუკრძალეს რეგულარული სამხედრო ოპერაციების ჩატარება და მითითება მისცეს, რომ თურქების წინააღმდეგ ქართველთა ძალებით მხოლოდ „დივერსიები“ მოეწყო. ამით გენერალს აგრძნობინეს, რომ მიტაცებული ქართული მიწების შემოერთება ამ ეტაპზე არ წარმოადგენდა რუსეთის მიზანს. რუსეთში ასევე არ დაუგმიათ ტოტლებენის დანაშაულებრივი ქმედება, პირიქით – სუხოტინს განუმარტეს, რომ თუკი ტოტლებენის ავანტურისტული წამოწყება (იმპერატორის ერთგულებაზე ქართველთა იძულებით დაფიცება) ხელს შეუწყობდა თურქეთის წინააღმდეგ ქართველების მობილიზებას, ასეთი რამ კვლავაც გაეგრძელებინა. ინსტრუქციის

ერთ-ერთი პუნქტით, სუხოტინს ფოთის ხელში ჩაგდებასაც ავალბდნენ. ამრიგად, ავანტურისტი ტოტლებენის გადაყენებას ერეკლესათვის პრაქტიკულად არ მოუტანია რაიმე შედეგით, რადგან რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ კვლავ უცვლელი დარჩა. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ ტოტლებენის პირადი უარყოფითი თვისებების მიუხედავად, მისი მოქმედება რუსეთის სამეფო კარის მიერ წინასწარ სანქცირებული იყო.

1771 წ. მაისში სუხოტინი საქართველოში ჩამოვიდა და ერეკლესა და სოლომონთან თათბირის დროს წინადადება წამოაყენა ზაფხულში ფოთზე ელაშქრათ. მან არ გაითვალისწინა ერეკლეს რჩევა, რომ ზაფხულის კლიმატურ პირობებში, კოლხეთის ჭაობებში შეუძლებელი იქნებოდა ჯარის წარმატებული მოქმედება. სუხოტინი არ იცნობდა ადგილობრივ პირობებს და ჯიუტად იცავდა მთავრობის ინსტრუქციას, რომელიც, თავის მხრივ, ტოტლებენის უხეირო მოხსენებებს ეყრდნობოდა. გარდა ამისა, იგი აგრძელებდა თავისი წინამორბედის მოქმედების კურსს, არ ენდობოდა ქართველ მეფეებს, უკავშირდებოდა მათ მოლაღატე თავადებს და ა. შ. შედეგად ფოთის ციხის ალყის დროს, ზაფხულის სიცხის გამო, ჯარი უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ციებ-ცხელებით დაავადდა ორი ათასამდე ჯარისკაცი, მათ შორის თვითონ გენერალიც. ოქტომბერში სუხოტინმა ფოთის ალყა მოხსნა, ხოლო დეკემბერში რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვეტილება მიიღო საქართველოდან ჯარის გაყვანის თაობაზე. 1772 წ. მაისში, რუსთა ჯარმა საქართველოს საზღვრები დატოვა. ომის პირობებში მოკავშირე ჯარის მიერ მიტოვებული ერეკლე და სოლომონი დიდი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდნენ; განსაკუთრებით მძიმე იყო ერეკლეს მდგომარეობა, რომელმაც მეტ-ნაკლებად მოგვარებული საშინაო და საგარეო ურთიერთობები, რისკის ქვეშ დააყენა. რუსეთის გამო, მან ხელახლა გადაიმტერა მეზობელი მაჰმადიანური სახელმწიფოები.

ამრიგად, ქართველი მეფეები ისევ საკუთარი თავის იმედად დარჩნენ და კრიტიკული ვითარებიდან გამოსავლის ძიებას შეუდგნენ. 1773 წ. ერეკლემ და სოლომონმა აღადგინეს ურთიერთკავშირის ხელშეკრულება. ამავე წლის ოქტომბერში, გაერთიანებული ჯარით ჯავახეთზე გაილაშქრეს და ალყა შემოარტყეს ახალქალაქის ციხეს, მაგრამ მისი ალება ვეღარ შეძლეს: სოლომონ II-ის მძიმე ავადმყოფობის გამო იმერთა ჯარი უკან გაბრუნდა. ერეკლემ ალყა მოხსნა, თავის ჯარს არტაანისა* და ახალციხის მხარე დაარბევინა და ნადავლით დატვირთული დაბრუნდა ქალაქში. ამასობაში თურქების წაქეზებით, რუსთა ჯარის წასვლით გამხსნევებულმა მთიელებმაც დრო იხელთეს. როდესაც ერეკლე ახალქალაქთან იდგა, კახეთს ჭარელები დაესხნენ, ამას მოჰყვა ხუნძახის მფლობელის – ნურსალ-ბეგის (იგივე მუცალის) თავდასხმა ქიზიყზე, რომელიც ქიზიყელებმა, რევაზ ანდრონიკაშვილის მეთაურობით, წარმატებით მოიგერიეს და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. ამავე ხანებში ლეკები ცხინვალში შეიჭრნენ და დიდძალი ნადავლი და ტყვეები ჩაიგდეს ხელში, ჭარელებმა კი ისევ დაარბიეს ქიზიყი. ერეკლე მათ მცირერიცხოვანი რაზმით დაედევნა და „ძლიერად დაამარცხა“. მემატიანის სიტყვით, „ესევეთარნი გამარჯვებანი მეფისა ირაკლისანი ურიცხვნი არიან.“ დროდადრო, მეფის ბრძანებით ქართველები თავადაც გადადიოდნენ შეტევაზე

და „არბევდნენ ახალციხისა ქვეყნებს.“ ახალციხის ცბიერი მმართველი სულეიმან-ფაშა კი ამით სარგებლობდა: ქართველთა მიერ მიყენებულ ზარალს სულთანთან აზვიადებდა, ამავე დროს – ლეკებისაგან საქართველოდან მოტაცებული ნადავლის წილსაც იღებდა. ამის გამო, სულთანმა ქერიმ-ხანს შესჩვილა: „შენ აგიშვია ერთი ლომი, რომელ არს საქართველოს მეფე ერეკლე, რომელიც აოხრებს მარადის სამფლობელოსა ჩემსაო და ამის გამო იხარჯვის ჩემგან არა-მცირედი ხაზინაო“ და სთხოვდა მას, ზემოქმედება მოეხდინა ერეკლეზე, რათა ამ უკანასკნელს შეეწყვიტა თავდასხმები. აღფრთოვანებულმა ქერიმ-ხანმა თურმე ვეზირებს მიმართა: „შეხედეთ მეფე ერეკლეს, ხონთქარი დააჩოქა და ჩემთან აჩივლებსო“; ამით ნასიამოვნებმა, ერეკლეს გამოუგზავნა ძვირფასად შემკული ხმალი და „ცხენი, ოქროსა და მინანქრის იარაღით შეკაზმული.“ ამის შემდეგ, თურქეთსა ქართლ-კახეთს შორის ზავი დამყარდა და ომამდელი ურთიერთობები აღდგა.

ამასობაში, რუსეთ-თურქეთის ომი დასასრულს მიუახლოვდა; 1774 წ. 10 ივლისს ქუჩუკ-კაინარჯში* მათ შორის გაფორმდა ზავი, რომლის 23-ე პუნქტიც საქართველოს შეეხებოდა: დამარცხებული თურქეთი სამუდამოდ ხელს იღებდა იმერეთის სამეფოს დაპყრობაზე, მისგან ხარკის მოთხოვნაზე და იმერთა მეფის მფლობელობაში მყოფ ყველა ციხე-სიმაგრეზე. დოკუმენტში ნაკლებად იყო გათვალისწინებული ქართლ-კახეთის ინტერესები: ამ ომში ჩართვამ ერეკლეს უამრავი მტერი შესძინა, შედეგად კი ვერც მიტაცებული ტერიტორიები დაიბრუნა და ვერც რუსეთის მკაფიოდ გამოხატული მფარველობა მიიღო. ერთადერთი, რაც მის სასარგებლოდ გადაწყდა, იყო ის, რომ თურქეთი ომში მონაწილე ქართველობის მიმართ შურისძიებაზე უარს აცხადებდა (თუმცა ლეკების მეშვეობით, მას ყოველთვის შეეძლო ქართველებისათვის სამაგიერო მიეზღო).

ამრიგად, ომის შემდეგ, ერეკლემ ასე თუ ისე მოახერხა ურთიერთობის დაბალანსება ირანთანაც და თურქეთთანაც; ამის მიუხედავად, ლეკთა თარეშს ბოლო არ უჩანდა, აქედან გამომდინარე, ქართლ-კახეთის წინაშე მწვავედ დადგა მუდმივი ჯარის შექმნის პრობლემა: სახელდახელოდ შეკრებილი ფეოდალური ლაშქარი ლეკების წინააღმდეგ საბრძოლველად არ იყო ეფექტური. 1773 წლის მიწურულს ერეკლემ დარბაზს განსახილველად წარუდგინა „განჩინება მორიგე ჯარის შესახებ“, რომელიც 1774 წლიდან უკვე ძალაში შევიდა. ამ კანონის საფუძველზე აღწერეს ქართლ-კახეთის ბრძოლისუნარიანი მამაკაცი მოსახლეობა. ყოველი ზრდასრული მამაკაცი ვალდებული იყო წელიწადში ერთი თვის მანძილზე თავისი ხარჯითა და შეიარაღებით ემსახურა მორიგე ჯარში. ეს იყო საყოველთაო სამხედრო ბეგარა, სადაც გაწვევას ექვემდებარებოდა საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელი, მათ შორის სამეფო ოჯახის წევრებიც. გამონაკლისი დაიშვებოდა მხოლოდ ქვეყნისათვის საჭირო პროფესიის ადამიანთათვის (ვაჭრები, მეწისქვილეები, მწყემსები და სხვა), რომელთაც შეეძლოთ სალაშქროდ გაემშვათ მაგიერი კაცი, ანუ „ბადალი“. რადგანაც ლაშქარში „მორიგე“ თავისი ხარჯით მიდიოდა, ერეკლემ ქართლ-კახეთის გლეხობა სურსათის გადასახადისაგან გაათავისუფლა. სიის მიხედვით, ხალხის გამოცხადებაზე პასუხისმგებელი იყო მებატონე ან სოფლის რომელიმე მოხელე. მებატონე ასევე ვალდებული იყო საჭირო სურსათითა და იარაღით მოემარაგებინა „მორიგეში“ გამოძახებული გლეხი, თუკი ამ უკანასკნელს

საამისოდ საკუთარი სახსრები არ ჰქონდა. „მორიგეში“ დაგვიანების ან არგამოცხადებისათვის, სათანადო სასჯელი იყო დაწესებული: გლეხებისათვის გაწკეპვლა, თავად-აზნაურთათვის – საპატიმრო. მორიგე ლაშქარი იყოფოდა სამხედრო ერთეულებად, რომლებსაც მეფის მიერ დანიშნული მოხელე ედგა სათავეში. რა თქმა უნდა, ასეთი რადიკალური სამხედრო რეფორმის გატარება ისეთ ტრადიციულ წოდებრივ-იერარქიულ ქვეყანაში, როგორც იმდროინდელი საქართველო იყო, ადვილი არ იქნებოდა; განსაკუთრებით მიუღებელი იყო იგი მსხვილი ფეოდალებისათვის, ამიტომ, მათ წასახალისებლად ერეკლე თავისი ვაჟებითურთ პირველი ჩაეწერა მორიგე ჯარში.

რეგულარული ჯარის უპირატესობა თავიდანვე აშკარა იყო: მეფეს მუდმივ მზადყოფნაში ჰყავდა 5 ათასიანი ლაშქარი, რომელმაც ერთბაშად აამალა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა; რაც ყველაზე მთავარია, საბოლოოდ იქნა აღკვეთილი ლეკთა თარეში: „ესრეთ შიშნეულ იყვნენ ლეკნი, რომ ვერღარა იკადრეს გამოსვლა და ესრეთ დამშვიდდა ქართლი, რომ დიაცნი თვინიერ მამაკაცისა ვილოდიან.“ მორიგე ჯარს სათავეში ედგა ერეკლე II-ის ვაჟი ლევან ბატონიშვილი. ეს იყო უაღრესად ნიჭიერი და ენერგიული პიროვნება, რომელიც თავის დროზე, რუსეთში ელჩად ყოფნისას, დაინტერესდა იქაური სამხედრო-საორგანიზაციო საქმით და ბევრი რამ შეისწავლა. ორიოდვე წელიწადში ლევან ბატონიშვილმა ქართლ-კახეთის ტერიტორია თითქმის სრულიად გაწმინდა მოთარეშე ლეკებისაგან. აღსანიშნავია ისიც, რომ ერეკლემ, როგორც ნიჭიერმა სარდალმა, ისიც გაითვალისწინა, რომ რეგულარული ჯარის შექმნა ამ ეტაპზე საკმარისი არ იყო ქვეყნის წინაშე არსებული მწვავე პრობლემების გადასაწყვეტად; საჭირო იყო ამ ჯარის ევროპულ ყაიდაზე მოწყობა და, რაც მთავარია, – იმ დროისათვის მაღალი დონის ცეცხლსასროლი იარაღით მისი აღჭურვა. ამისათვის აუცილებელი იყო სამთამადნო მრეწველობის განვითარება, რასაც ერეკლემ ჯერ კიდევ 60-იანი წლების დასაწყისში ჩაუყარა საფუძველი: 1763 წ. მან ახტალისა და ალავერდის საბადოებში დაიწყო ვერცხლისა და სპილენძის მადნის ამოღება-დამუშავება. 1768 წლისათვის ერეკლეს უკვე ჰქონდა ცეცხლსასროლი იარაღის ჩამომსხმელი ქარხანა. ერთ-ერთი უცხოელი მოგზაური იოსებ დე ლაპორტი აღნიშნავდა: „თბილისში აკეთებენ ზარბაზნებს, ყუმბარებს, თოფისწამალს“. ისტორიულმა წყაროებმა შემოგვინახეს იმ პირთა ვინაობაც, ვინც 70-იან წლებში უშუალოდ ემსახურებოდა საარტილერიო საქმეს, მათ შორის იყვნენ როგორც ადგილობრივი, ისე საზღვარგარეთიდან მოწვეული სპეციალისტები: გიორგი თარხანი, იოსებ გეტინგი, პაატა ანდრონიკაშვილი, გაბრიელ მაიორი, იოსებ ბახუტაშვილი, თევდორე პეტრიაშვილი, სტეფანე მელიქოვი, გიორგი თუმანიშვილი და სხვა.

არტილერიის საამქროს, ანუ არსენალს იმ დროს თოფხანა ეწოდებოდა. მასში მომუშავე სხვადასხვა ხელოსნებს ერეკლე დიდი პატივით ეპყრობოდა; მის მიერ გაცემული უამრავი საბუთი მოწმობს, რომ აქაურ მუშაკებს პირად თავისუფლებასთან ერთად, დიდი შეღავათებიც ეძლეოდათ (სახელმწიფო ბეგარისაგან გათავისუფლება, მზარდი ანაზღაურება და სხვა). სამხედრო წოდების აღმნიშვნელი სახელები, მცირე გამონაკლისის გარდა, ერეკლეს რუსეთიდან გადმოუღია (რუსებმა თავის მხრივ, ისინი ევროპიდან შემოიტანეს). ეს წოდებებია:

თოფრიბაში, პოლკოვნიკი, მაიორი, კაპიტანი, პორუჩიკი, აფიცერი, სერჟანტი, უნდერაფიცერი, კაპრალი, თოფრი. თოფხანაში ყველაზე დიდ მოხელედ და საპატიო პირად ითვლებოდა თოფრიბაში, ანუ თოფხანის გამგებელი, რომელიც საარტილერიო საქმეს მათაურობდა. თოფრიბაშისა და მისი მოადგილის (ნაიბის) უშუალო ნებართვით გაიცემოდა იარაღი, მათი ხელმძღვანელობით ასხამდნენ ზარბაზნებს, ამასთანავე, ისინი ამზადებდნენ საარტილერიო საქმის სპეციალისტებს და მსროლელებს (მეზარბაზნეებს). გარდა ფულადი ანაზღაურებისა, თოფხანის ხელოსნები საკვებითაც – ე. წ. ულუფითაც მარაგდებოდნენ.

XVIII ს. 80-იან წლებში, ერეკლეს 12 ადგილობრივი წარმოების ზარბაზანი ჰქონდა. გარდა ამისა, არტილერიისათვის საჭირო ტყვია-წამალი და ასაფეთქებელი მასალა აგრეთვე თბილისში მზადდებოდა. თავიდან ეს დარგი კერძო პირთა ხელში იყო – ქალაქელი ხელოსნები ამზადებდნენ და თვითონვე ჰყიდდნენ ტყვია-წამალს; შესაბამისი ბრძანებით, ერეკლემ თოფისწამლისა და გვარჯილის დამზადება-გაყიდვის უფლება ერთ პიროვნებას – მოქალაქე თაყუაშვილს გადასცა, რომელიც ვალდებული იყო მხოლოდ სახელმწიფო დაკვეთა დაეკმაყოფილებინა. ამ გზით ერეკლემ ამ დარგის მონოპოლია ხელში აიღო და მოკლე ხანში სათანადო შედეგიც სახეზე იყო: 1796 წლისათვის თოფისწამალზე და გვარჯილაზე სახელმწიფო დაკვეთაც შესრულებულა და იმდენი ჭარბი პროდუქციაც უწარმოებიათ, რომ თაყუაშვილს მეფისაგან კერძო გაყიდვების უფლებაც მიუღია. თოფისწამლის ქარხანა ავლაბრის ციხის ახლოს მდებარეობდა.

საარტილერიო იარაღის დანერგვასთან ერთად, ერეკლეს შეუძუშავებია ახალი საბრძოლო ტექნიკაც; ამის შესახებ წარმოდგენას გვიქმნიან ის საარქივო დოკუმენტები, რომლებიც შეიცავენ მეფის პირდაპირ მითითებებს ბრძოლის წინ ან მისი მსვლელობისას: „თუ ისინი გამოვიდნენ... თქვენ მინდორზე შებმას ეცადებით, კინკლაობასა და იმათსავით თოფების მიშველებას დაეხსენით; თქვენ ერთიანად თქვენის ძალით, ღვთით, მიაწეით და ზარბაზნები წინ მიიძღვანეთ, ცხენიანიც რომ დააქვეითოთ და ისე მიხვიდეთ, ზარბაზნებიც წინ მიიძღვართ და ომი ზარბაზნებს დააცადოთ. ჩვენი გონება ამას უმჯობესად ხედავს, რომ ღვთით, ამ გზით შეებათ... თქვენ რომ არ აუჩქარდეთ, დააცადოთ, ისინი თქვენზე მოიყვანოთ და თქვენ კი იმათზე არ მიხვიდეთ, – ასე სჯობს, რომ ისინი თქვენზე მოსვლით დაღალოთ და, ღვთით, თქვენ იმ დაღალულს ერთიანად შეებათ: ისინი აქეთ-იქიდან მოგეტანებიან, თქვენ ზარბაზნის სროლის მეტს ნურას იქთ; ისინი ამაში დაიღალვიან, მასუკან ერთიანად მიაწევით და, ღვთით, თან გაიტანთ“. ამრიგად, ბრძოლის დროს ერეკლე პირველ რიგში საზარბაზნე ცეცხლის გახსნას ბრძანებს, შემდეგ კი დემორალიზებული მტრის ჯარს თავისი დასვენებული ძალებით ერთიანად უტევს. გარდა ამისა, სიახლე იყო აგრეთვე ზარბაზნების განლაგება ქვეითი ჯარების წინ და არა მათ უკან (როგორც ეს ადრე იყო მიღებული). როგორც ჩანს, საკუთარი საბრძოლო გამოცდილებიდან გამომდინარე, ერეკლე ამჯობინებდა ბრძოლის დაწყებას საზარბაზნე შეტევით, რომელიც მტრის ჯარში ელვისებურ დესტაბილიზაციას იწვევდა.

„მორიგე“ ჯარის წყალობით ქართლ-კახეთში დამყარებული მშვიდობიანი ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა. 1781 წ. ლევან ბატონიშვილის უეცარმა

სიკვდილმა არა მარტო ამ სამხედრო ფორმირებას, არამედ მთელ საქართველოს გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა. ომან ხერხეულიძის ცნობით, ამ ტრაგედიას საქართველოს მტრებშიც კი გულწრფელი სინანულის გრძნობა გამოუწვევია; „მოუკვდა ერეკლეს სახელოვანი და მრავალს ბრძოლაზედ დიდად მხნედ გამოჩენილი შვილი თვისი ლევან. ესმა რა ესე ფაშასა ახალციხისასა, სთქვა: ხნიერებისა ჟამსა მეფესა ერეკლეს მხარი მოემალაო, რომ ამისთანა ვაჟკაცი შვილი მოუკვდაო, რომელიც საქართველოს ოთხკუთხე ფარდა იყოვო და ახლა ქართლს ფარდა აეხადა პირსაო.“ „მორიგე“ ჯარი ლევან ბატონიშვილის დალუპვისთანავე არ გაუქმებულა, მაგრამ მოღალატე თავადების წყალობით, მოკლე ხანში, მისი მართვის სათავეში ანგარებიანი მოხელეები მოექცნენ, რომლებმაც ეს შესანიშნავი წამოწყება საკუთარი შემოსავლის წყაროდ გადააქციეს (მაგალითად, ქრთამის მეშვეობით, ესა თუ ის თავადი, თავისი ყმებითურთ ადვილად ახერხებდა „მორიგეობიდან“ თავის დაღწევას), დანარჩენი ბატონიშვილები კი ნაკლებად ზრუნავდნენ მის შენარჩუნებაზე. მართალია, „მორიგე“ ჯარი ბრძანებით არასოდეს გაუქმებულა, მაგრამ დროთა განმავლობაში იგი თანდათანობით შემცირდა და ბოლოს მთლიანად დაიშალა.

XVIII ს. 70-იან წლებში აზერბაიჯანელ ხანებს შორის ერეკლეს სახიფათო კონკურენტი გამოუჩნდა ყუბა-დარუბანდის* მფლობელის – ფათალი-ხანის სახით, რომელიც აზერბაიჯანის სახანოების გართიანებისათვის იბრძოდა. ფათალი-ხანი ამიერკავკასიის რეგიონში ერეკლეს პირველობას ეცილებოდა და ამ მიზნით მაჰმადიანური სახანოებისა და ლეკების გაერთიანებას ცდილობდა ქრისტიანი ქართველების წინააღმდეგ საბრძოლველად. ერეკლეს ქვეშევრდომ ერევნისა და განჯის სახანოებს კი დაუმორჩილებლობისაკენ მოუწოდებდა. ერეკლემ დროულად მიიღო საპასუხო ზომები: 1778 წ. მან ერევნელი ჰუსეინ-ალი-ხანის განდგომის შესახებ შეიტყო და თავისი ჯარით ერევნისკენ წავიდა. ჰუსეინმა მოსახლეობა დახიზნა და თვითონ ციხეში ჩაიკეტა, თუმცა მალევე დანებდა ერეკლეს და 40 ათასი მანეთი ხარკიც გადაუხადა.

1779 წ. 19 მარტს ირანში ქერიმ-ხანი გარდაიცვალა და შესაბამისად, ამიერკავკასიაშიც დაიძაბა მდგომარეობა. ერეკლესა და ფათალი-ხანს შორის ურთიერთობა გამწვავდა. ამ უკანასკნელის მცდელობით, ერევნისა და განჯის ხანები ისევ განუდგნენ ერეკლეს. შამაგიეროდ ერეკლემ კავშირი შეკრა ყარაბაღელ იბრეიმ-ხანთან. ერთობლივი ძალებით, მათ განჯა დაიპყრეს და ადგილობრივი ხანი გააძევეს. ამიერიდან, ერეკლესა და იბრეიმ-ხანის მიერ დანიშნული მოხელეები განჯას საზიაროდ მართავდნენ. ამასობაში ერევნის ხანიც აჯანყდა და ხარკის გადახდაზე უარი განაცხადა. 1779 წ. 29 აგვისტოს ერეკლემ 8 ათასიანი ჯარით ერევნის ციხეს ალყა შემოარტყა; მოგვიანებით, მას იბრეიმ-ხანის მიერ გამოგზავნილი განჯა-ყარაბაღის ჯარიც შეუერთდა. მწვავე ბრძოლების შემდეგ, ერევნის ხანი დანებდა და პატიება ითხოვა, მაგრამ ერეკლე მოღალატე ხანის შემორიგებას აღარ აპირებდა და ერევნის სახანოს საბოლოოდ დაპყრობა გადაწყვიტა. სწორედ ამ დროს, მას შეატყობინეს, რომ რუსეთიდან საეჭვოდ „გამოშვებული“ ქართლის ტახტის პრეტენდენტი ალექსანდრე ბატონიშვილი (ვახტანგ VI-ის ძის – ბაქარის ვაჟი), რომელიც აქამდე ირანში იმყოფებოდა,

იმერეთში ჩავიდა. ამ დროს, მოლალატე თავადთა მცდელობით, ერეკლესა და სოლომონს შორის ურთიერთობა გართულებული იყო და ერეკლეს მოწინააღმდეგენი ამით სარგებლობდნენ. მეფის ერთგულმა პირებმა ერეკლეს შეუთვალეს: „მოეშველე ქართლს, თუ არა საქართველო აირივია.“ ერეკლემ სასწრაფოდ ქართლს მიაშურა და ენერგიული ღონისძიებებით განდგომილი თავადების მორიგი შეთქმულება აღკვეთა.

მიუხედავად ამისა, მდგომარეობა კვლავ დაძაბული იყო: ალექსანდრე ბატონიშვილი ბრძოლას არ წყვეტდა, იმერთა მეფის გარდა მას აშკარად მხარში ედგა რუსეთი, რომელიც ქართლ-კახეთთან ურთიერთობისას არაერთხელ მიმართავდა ე. წ. ორმაგი სტანდარტის პოლიტიკას; გარდა იმისა, რომ ცბიერად მანიპულირებდა ქართლის ტახტის მაძიებლებით, რუსეთის ხელისუფლება „მეგობრული მფარველობისა და დახმარების“ შესახებ ცარიელი დაპირებების ფონზე ქართლ-კახეთის ინტერესების საზიანოდ მოქმედებდა. ამის თვალსაჩინო ნიმუშია რუსების მიერ მიღებული ზომები ერეკლეს ახალი წამოწყების წინააღმდეგ, რომელიც ითვალისწინებდა მოსახლეობისაგან დაცლილი ქართლ-კახეთის ზოგიერთ კუთხეში ჩრდილო კავკასიელ მთიელთა ჩასახლებას. რუსეთის მიერ განხორციელებულმა კოლონიზაციამ ჩერქეზებისა და ყაბარდოელების გააფთრებული წინააღმდეგობა გამოიწვია. პრიმიტიული შეიარაღების მიუხედავად, ისინი გმირულად იბრძოდნენ კაზაკთა ახალშენებისა და რუსეთის ჯარების წინააღმდეგ. თავის მხრივ, რუსეთი მათ გაუგონარი სისასტიკით უსწორდებოდა. 1778 წ. ერეკლე გამოეხმაურა ყაბარდოელების თხოვნას და მათ სურამ-ქვიშხეთის მიდამოებში დასახლებას შეჰპირდა, მაგრამ რუსეთმა ორჯერ ჩაშალა ეს შეთანხმება. ირველად, რუსმა სამხედროებმა ერეკლეს წარგზავნილები დააპატიმრეს, ყაბარდოელები კი სასტიკად დასაჯეს. მეორედ, 1780 წელს, მოახალშენეთა 800 კომლი მოზდოკიდან უკან გააბრუნეს, ცოტა ხანში კი ასევე მოექცნენ ყაბარდოელთა კიდევ 500 კომლს. ერეკლეს მიერ მათ გადმოსაყვანად დარიალისკენ გაგზავნილი სამხედრო რაზმი უკან გამობრუნდა. რუსეთი ამასაც არ დასჯერდა და ჩრდილო კავკასიელებს ქართველთა ლაშქარში ქირით სამსახურიც აუკრძალა. ამრიგად, ერთმორწმუნე „მფარველი“ რუსეთის წყალობით, ერეკლემ დაკარგა ის ერთადერთი დამხმარე ძალა, რომლის მეშვეობითაც აქამდე წარმატებით უმკლავდებოდა სხვადასხვა ჯურის მტრებს.

ერეკლეს დასუსტებისაკენ იყო მიმართული რუსეთის სხვა ნაბიჯებიც და ეს არც იყო გასაკვირი: იმპერიული გეგმა, რომელიც შავ ზღვაზე გაბატონებას გულისხმობდა, ვერ დაუშვებდა ქართლ-კახეთის მეფის ხელისუფლების გაძლიერებას, რასაც მომავალში საქართველოს გამთლიანება მოჰყვებოდა. ამიტომაც, რუსეთი შეგნებულად ცდილობდა დაესუსტებინა ერეკლე არა მარტო სამხედრო-პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისითაც. ამ მიზანს ემსახურებოდა რუსეთის მიერ ფათალი-ხანის დაუფარავი მხარდაჭერა, შესაფერის მომენტში ალექსანდრე ბატონიშვილის რუსეთიდან გამოშვება, ჩრდილო კავკასიიდან დამხმარე ძალის დაბლოკვა და ა. შ. რუსეთის ხელისუფლება უკვე დაუფარავად ცდილობდა შეეზღუდა ერეკლე, რომლის დამოუკიდებელი პოლიტიკაც მას აღარ აწყობდა. ქართლ-კახეთს იგი ამიერკავკასიაში საკუთარი გაბატონების ერთ-ერთ საშუალებად

აღიქვამდა და ამ მიზნის მისაღწევად, უკან არაფერზე იხევედა. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის, რომ როდესაც 1776 წ. ქართლში, ფეოდალთა ერთმა ჯგუფმა ზაალ ორბელიანის მეთაურობით, მეფის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყო, აღმოჩნდა, რომ მასში რუსეთის აგენტი, ვინმე ბაკუნინიც მონაწილეობდა.

ამრიგად, XVIII ს. 80-იან წლებში რუსეთის დიპლომატია უკვე ყველანაირ საშუალებას იყენებდა, რათა ერეკლე თავის ქვეშევრდომობაზე დაეთანხმებინა. ამ მიზნით იყენებდა იგი ფათალი-ხანსაც და ალექსანდრე ბატონიშვილსაც. 1781 წ. ამ უკანასკნელმა იმერეთი დატოვა და ჩრდილო კავკასიის გავლით ფათალი-ხანთან ჩავიდა. ამიერიდან ერეკლეს ორი დაუძინებელი მტერი ერთად შეიკრა და მას სერიოზული საფრთხე დაემუქრა. ამ კავშირის წინააღმდეგ რეალური დახმარება მხოლოდ რუსეთის ხელისუფლებას შეეძლო. შექმნილ ვითარებაში, ერეკლემ ყველა გზა მოსინჯა, მათ შორის – თურქეთთან კავშირი, ევროპის სახელმწიფოთა მეთაურებთან ურთიერთობის დამყარება და სამხედრო დახმარების თაობაზე მათთან მიმორწერა და ა. შ., მაგრამ მისი ყველა მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. ასეთ პირობებში იგი იძულებული გახდა რუსეთის მფარველობის მიღებაზე დათანხმებულიყო. რა თქმა უნდა, მან კარგად იცოდა, რომ ამ სამი აგრესიული სახელმწიფოდან საქართველოს დამოუკიდებლობას არც ერთი არ შეეგუებოდა, მაგრამ მეორე მხრივ, იმ ეტაპზე ქვეყანა აუცილებელი სასიცოცხლო არჩევანის წინაშე იდგა. ერთმორწმუნე რუსეთის მფარველობაში შესვლით ერეკლე იმედოვნებდა, რომ საქართველოს დაიცავდა მაჰმადიანური ირან-თურქეთის აგრესიისაგან; გარდა ამისა, რუსეთის დახმარებით დაიბრუნებდა მიტაცებულ ტერიტორიებს და საქართველოს გააერთიანებდა, და ბოლოს, იგივე რუსეთის მეშვეობით, აღადგენდა ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობას. რუსეთის საიმპერატორო კარზე 1782 წ. 21 დეკემბერს გაგზავნილ დოკუმენტში მან მკაფიოდ ჩამოაყალიბა თავისი მოთხოვნები და წინადადებები. 1783 წ. 24 ივლისს ჩრდილო კავკასიაში მდებარე გეორგიევსკის ციხე-სიმაგრეში შედგა ხელშეკრულების ანუ „მეგობრობითი ტრაქტატის“ ხელმოწერის პროცედურა (შემდგომში მას „გეორგიევსკის ტრაქტატის“ სახელით მოიხსენიებენ). ამ დოკუმენტის ძალით ქართლ-კახეთის მეფე რუსეთის მფარველობაში შესვლას აღიარებდა და უარს აცხადებდა ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს ვასალობაზე. სანაცვლოდ, რუსეთის ხელისუფლება „საუკუნოდ“ აღიარებდა ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე ერეკლესა და მისი შთამომავლების უფლებას. ტახტზე ასვლისას ქართლ-კახეთის მეფეებს რუსეთის იმპერატორისაგან უნდა მიეღოთ სამეფო რეგალიები* (გვირგვინი, სიგელი და დროშა რუსეთის იმპერიის გერბით, რომელშიც ქართლ-კახეთის სამეფო გერბი იყო ჩახატული) და მის ერთგულებაზე დაეფიცათ. ქართველი მეფეები უარს ამბობდნენ დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკაზე და ამ საკითხში რუსეთის იმპერატორის თანხმობით უნდა ემოქმედათ. თავის მხრივ, რუსეთი პირობას დებდა, რომ საქართველოს დაეხმარებოდა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაში. იმპერატორი ქართლ-კახეთის მეფეს საუკუნო მფარველობას აღუთქვამდა და პირობას დებდა, რომ საქართველოს მტერს თავის მტრად იგულებდა. საქართველოს უსაფრთხოების დასაცავად რუსეთი აქ მუდმივად იყოლიებდა ქვეითთა ჯარის 2 ბატალიონს 4

ზარბაზნით, ხოლო საომარი სიტუაციის შემთხვევაში, ვალდებული იყო დამატებითი სამხედრო ძალა გამოეგზავნა.

უმთავრესი მიზეზი, რომელმაც ერეკლე II-ის მიერ ამ გადაწყვეტილების მიღება განაპირობა, იყო ისეთი საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის არჩევა, რომელიც ქვეყანას მშვიდობას მოუტანდა და უზრუნველყოფდა მის განვითარებას ევროპული გზით. აღსანიშნავია, რომ ერეკლე გულდასმით ეცნობოდა ტრაქტატის პირობებს. რუსეთის წარმომადგენლები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა ეს აქტი დროულად გაფორმებულიყო, თუმცა თვითონ სულაც არ ჩქარობდნენ ერეკლეს მთავარი მოთხოვნის შესრულებას, რომელიც კავკასიიდან ალექსანდრე ბატონიშვილის გაძევებას გულისხმობდა. შემთხვევითი არ იყო, რომ ეს უკანასკნელი ფათალი-ხანმა რუსეთს მხოლოდ „გეორგიევსკის ტრაქტატის“ ხელმოწერის შემდეგ – 1783 წ. ნოემბერში გადასცა.

ამრიგად, 1783 წ. ტრაქტატის წყალობით რუსეთმა უომრად გადალახა კავკასიონი და ამიერკავკასიაში ძალზე მოხერხებული პლაცდარმი მიიღო. ამავე წლის 2 ნოემბერს რუსთა ჯარის 2 ბატალიონი თბილისში შემოვიდა. ამ ყველაფერმა საქართველოს მეზობელი მაჰმადიანური სამყაროს შეშფოთება გამოიწვია. ამიერიდან რუსეთი უშუალოდ დაუპირისპირდა თურქეთს, რომელმაც შესაბამისი რეაგირება მოახდინა: ამ შემთხვევაში აზერბაიჯანულ სახანოებზე ზემოქმედებისათვის მას გარკვეული უპირატესობა ჰქონდა სარწმუნოებრივი სიახლოვის თვალსაზრისით. სწორედ ამ ფაქტორის გამოყენებით, თურქეთმა ღიად მოუწოდა აზერბაიჯანულ და დაღესტნულ ხანებს საქართველოს წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლისაკენ. ქართლ-კახეთის მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა. რუსთა ჯარის 2 ბატალიონი საქმეს ვერ შევლოდა, განსაცდელის წინაშე მდგარი ერეკლე დამატებითი ჯარის გამოგზავნას ითხოვდა, მაგრამ “მფარველი” მხოლოდ გამამხნეველები სიტყვებითა და დაპირებებით პასუხობდა და ხელსაყრელ მომენტს ელოდა წინასწარ დასახული მიზნის განსახორციელებლად. ამკარა იყო, რომ საქართველოს „გაერთიანებისა და გათავისუფლების“ მისეული გეგმა სინამდვილეში მხოლოდ იმპერიის საზღვრების გაფართოებას გულისხმობდა: ეს იყო რუსეთის ბრძოლა საქართველოს „მშვიდობიანი“ მითვისებისათვის.

ყოველივე ამის შედეგად, ერეკლეს აქამდე მისი ერთგული ხანებიც კი აუმხედრდნენ – განუდგა შუშის (ყარაბაღის) ხანი, რომელმაც განჯიდან გამოაძევა ერეკლეს წარმომადგენელი, ხარკის გადახდაზე უარი თქვა ერევნის ხანმა და ა. შ. ამ ყველაფრის მოთავე იყო ახალციხის ფაშა სულეიმანი, რომელმაც თავისი ტერიტორია კვლავ ლეკების პლაცდარმად აქცია; „ლეკიანობა“ კიდევ უფრო უარესი ფორმით განახლდა: ამჯერად ერეკლე ტრაქტატის პირობებით იყო შებოჭილი, მას არ ჰქონდა უფლება შეჭრილიყო იმ სახელმწიფოს საზღვრებში, რომელთანაც რუსეთს ზავი ჰქონდა გაფორმებული, ახალციხის საფაშო კი თურქეთს ეკუთვნოდა. ერეკლე დაჟინებით მოითხოვდა რუსეთისაგან სათანადო ზომების მიღებას, მაგრამ შედეგი არ ჩანდა.

1784-1785 წლებში ქართველთა ჯარმა 2 რუსულ ბატალიონთან ერთად რამდენიმე შეტევითი ოპერაცია განახორციელა. მეტ-ნაკლები წარმატების მიუხედავად, ამ ბრძოლებში დიდი იყო ქართველთა მსხვერპლი. 1784 წ.

მოკავშირეებმა ჭარ-ბელაქანს შეუტეეს და სოფ. მულანლოსთან* 5 საათიან ბრძოლაში გაიმარჯვეს. ლეკებმა აქ 200, ხოლო ქართველებმა და რუსებმა მხოლოდ 40 მეომარი დაკარგეს. 1785 წ. ერეკლემ თავისი გავლენის აღდგენის მიზნით, განჯის სახანოზე გაილაშქრა. მის წინააღმდეგ გამოვიდა ფათალი-ხანი, რომელმაც პირობა წამოაყენა, რომ განჯას იმ შემთხვევაში დათმობდა, თუ ერეკლე მას ზიარად დაუთმობდა ყარაბაღის სახანოს. ამაზე ერეკლე არ დათანხმდა, მაგრამ იძულებული გახდა, განჯის ალყა მოეხსნა და ჯარები ყარაბაღის სახანოსათვის მიეშველებინა. საბოლოოდ, მან მაინც მოახერხა განჯის დამორჩილება, მაგრამ დაპირისპირება მაინც გრძელდებოდა, რუსეთი კი მხოლოდ დიპლომატიური „სვლებით“ იფარგლებოდა.

1785 წ. მარტში ახალციხიდან ლეკ-ოსმალთა ერთიანი ლაშქარი დაიძრა და თბილისიდან 25 კმ-ზე სოფ. ღურნუკს დაესხა; 20 კაცი მოკლეს და 200 დაატყვევეს. ამის შემდეგ სოფ. ტაბახმელას დაეცნენ, მაგრამ ერეკლემ შეძლო მათი დამარცხება. იმავე წლის აპრილში ახალციხის ფაშამ კვლავ გამოისტუმრა „1500 ლეკი და 500 თათარი ქართლის წასახდენად.“ 600-მდე ტყვიითა და დიდი ნადავლით დატვირთულ მტერს რუსებმა და ქართველებმა სურამთან გზა შეუკრეს და სასტიკად დაამარცხეს. იმავე წლის მაისში ლეკ-ოსმალთა ჯარებმა კიდევ ერთი მარცხი იწვნის. მიუხედავად ეპიზოდური წარმატებებისა, ქართლ-კახეთი ვეღარ აუდიოდა გამუდმებულ ბრძოლებში გაღებულ მსხვერპლს, საშიშროება კი უფრო და უფრო მატულობდა; 1785 წ. სექტემბერში დაღესტნიდან 20 000 კაციანი რჩეული ჯარით ომარ-ხანი დაიძრა და ალაზანი გადმოლახა. ერეკლემ დაზვერვის საშუალებით ადრევე შეიტყო, რომ ომარ-ხანი ჯარს აგროვებდა და წინასწარი ზომებიც მიიღო: თბილისი გაამაგრა, მოსახლეობა დახიზნა, რუსთა ჯარი ქიზიყში გაგზავნა, თვითონ კი ჯარის ნაწილითურთ თელავს დადგა, მაგრამ ცბიერმა ხანმა ხმა გაავრცელა, რომ ფათალი-ხანის წინააღმდეგ აგროვებდა ჯარს, „ფიცით მოგვატყუაო“, – წერდა მოგვიანებით ერეკლე. ახალციხიდან ლეკ-ოსმალთა მოსალოდნელი თავდასხმის გამო, ერეკლე მოერიდა ქართლიდან ჯარების დაძვრას, რათა ქვეყანა ორმხრივი დარტყმის ქვეშ არ აღმოჩენილიყო. მეფე სიღნაღში ჩავიდა ჯარის შესაკრებად, მაგრამ მოსავლის აღების დრო იყო და ხალხის მობილიზების პროცესი გაჭიანურდა. ამასობაში ომარ-ხანმა იორიც გადმოლახა და ცრუ მანევრით მოწინააღმდეგეს მოაჩვენა, თითქოს თბილისისკენ მოდიოდა. როცა რუს-ქართველთა ერთიანი ჯარი თბილისისკენ დაიძრა, ომარ-ხანმა გეზი შეიცვალა, მტკვარი გადალახა და ბორჩალოში* შეიჭრა. ხარებშებმული არტილერიის გამო მოკავშირეებს სწრაფად სვლა უჭირდათ და როცა მდ. ალგეთს მიადგნენ მარნეულთან, აღმოჩნდა, რომ ლეკებს ერთი დღის სავალზე გაესწროთ. ამასობაში ომარ-ხანი ახტალაში ავიდა, ნაღმით ააფეთქა იქაური ციხე, რომელსაც მცირერიცხოვანი გარნიზონი იცავდა და მიწასთან გაასწორა ახტალის ვერცხლის საბადოები. ხელჩართულ ბრძოლაში ახტალის დამცველებმა სამასამდე ლეკი მოკლეს, მაგრამ გაცილებით მრავალრიცხოვანი მტრის დამარცხება ყოვლად შეუძლებელი იყო. ომარ-ხანმა 800-მდე ტყვე გაიტაცა და ახალციხეში გადავიდა.

ახტალის საბადოების განადგურებით, ქართლ-კახეთის სამეფოს აუნაზღაურებელი ზარალი მიადგა; მართალია, მოგვიანებით მათი აღდგენა

მოხერხდა, მაგრამ მადნის წარმოება ძველებურ სიმძლავრეს ვეღარ დაუბრუნდა. გარდა იმისა, რომ სახელმწიფომ 100 ათასამდე მანეთის ზარალი განიცადა, ერეკლე იძულებული გახდა, რომ ომარ-ხანისათვის ყოველწლიური ჯამაგირის (5 000 მანეთის ოდენობით) დანიშვნით ეყიდა მშვიდობა. ამ მარცხის შემდეგ, ერეკლემ თავის მიმართვაში რუსეთის ხელისუფლებას გარკვეული პასუხისმგებლობა დააკისრა: შეახსენა რა მის მიერ ნაკისრი ვალდებულებები, ხაზი გაუსვა იმასაც, რომ „ქვეყანა არასოდეს ასეთ განსაცდელში არ ჩავარდნილა,“ რაც მას რუსეთთან დაკავშირების გამო მოევლინა. რუსეთის მთავრობა კი ამ ყველაფერს კვლავ დაპირებებით პასუხობდა.

საგულისხმოა, რომ რუსეთში თავისი დესპანისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში (1786 წ. აგვისტო) ერეკლე ისევ ცდილობდა საიმპერატორო კარისათვის შეეხსენებინა პასუხისმგებლობა ყოველივე იმაზე, რაც საქართველოში ხდებოდა: „ნურც ათქმევინებთ ვისმე ამასა, რომ დიდის ეკეტერინეს ხელმწიფობაში რუსეთის შეერთების მიზეზით მოუშველებლობით დაიქცა საქართველო... რა ვქნა, მე ბევრის იმედი მქონდა თქვენისგან და კიდევ მაქვს. მაშ ვისთან მივიდეთ და ვის გამოუცხადოთ ჩვენი ტკივილი: ოსმალეთთან მივიდე – მიმიშვებენ? ყიზილბაშებთან მივიდე – შემიწყნარებენ? დაღისტნელებთან მივიდე – მიმიღებენ? მაშ ვისი სასოება მქონდეს, თუ არა რუსეთის დიდებულის ხელმწიფისა... ვის უნდა მივმართო და ვის უნდა ვაწყინო თავი?“ ერეკლეს მიერ შემდგომში გატარებული ღონისძიებებიდან გამომდინარე, სრულიად ნათელი ხდება, რომ მეფის თითქოსდა სასოწარკვეთილი ტონი მხოლოდ დიპლომატიური ეტიკეტისათვის იყო გამიზნული, სინამდვილეში კი, რუსეთს შეფარვით მიანიშნებდა, რომ მისი „მფარველობის“ წყალობით, ქართლ-კახეთის მდგომარეობა გაცილებით გაუარესდა. საკუთარი თავის იმედად დარჩენილ ერეკლეს კი დანებება არც უფიქრია და დამოუკიდებლად განაგრძო მოქმედება: მან მოლაპარაკება გამართა ახალციხის ფაშასთან და 1786 წ. 12 სექტემბერს მასთან სამშვიდობო ხელშეკრულებაც გააფორმა. მიერიდან, მხარეები წყვეტდნენ დაპირისპირებას; ერეკლე პირობას დებდა, რომ თავის სამეფოში უკვე არსებული რუსის ჯარის გარდა მეტს აღარ შემოიყვანდა, ახალციხის ფაშა კი, სულთნის ჯარებს ქართლ-კახეთის საზღვრებიდან მოაშორებდა და ლეკთა მოთარეშე რაზმებს აღარ შეიკედლებდა. ამრიგად, ერეკლემ ქვეყნის სამხრეთი საზღვრების უსაფრთხოებას მიაღწია და ახლა უკვე შეეძლო დანარჩენი პრობლემების მოგვარებაზე ეფიქრა. პირველ რიგში მას ურჩი ქვეშევრდომები უნდა დაებრუნებინა და ამიერკავკასიაში თავისი ჩვეული გავლენა აღედგინა.

ერეკლემ იცოდა, რომ ახალციხის საფაშოსთან დამყარებული მშვიდობიანი ურთიერთობა დროებითი იყო და დიდხანს ვერ გასტანდა, ამიტომ მას სწრაფად და გონივრულად უნდა ემოქმედა. ამ დროისათვის საქართველოში უკვე იყო ინფორმაცია რუსეთ-თურქეთის მოსალოდნელი ომის (1787-1791 წწ.) შესახებ. თურქეთის ხელისუფლებამ თავისი მომხრე ხანების მეშვეობით გააძლიერა კონტროლი ამიერკავკასიის რეგიონზე, ქართლ-კახეთთან მისი „მეგობრული“ ურთიერთობა კი შექმნილი ვითარებით იყო ნაკარნახევი და მისი ბოლომდე ნდობა არ შეიძლებოდა. ეს კიდევ დაადასტურა მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ: ომან ხერხეულიძის გადმოცემით, ახტალის დარბევის შემდეგ, ომარ-ხანმა ახალციხეში

გამოიზამთრა, 1786 წლის ზამთრის დასაწყისში, ერეკლესთან შეთანხმების შემდეგ ახალციხის ფაშამ იგი გამოისტუმრა. ომარ-ხანი ქართლს მოერიდა და ერევნის ქედის გავლით ყარაბაღში ჩავიდა; აქ მას შუშის ხანი მიეგება, „მიიყვანა დიდი პატივით და ყარაბაღში დააყენა ჯარითა თვისითა“. როგორც კი ამის შესახებ შეიტყო, 1787 წ. ზაფხულში, ერეკლე რუსთა და ქართველთა ერთიანი ჯარით მოლაღატე განჯისა და ყარაბაღის ხანების დასასჯელად გაემართა. მემატიანის გადმოცემით, მას აგრეთვე „ომარ-ხანის შეყრა და ბრძოლა სურდა, მაგრამ ის მეფე ერეკლეს ეშიშვოდა, სულ ერიდებოდა და ისე ცდილობდა სიარულსა, რომ მეფის ჯარი არსად შეემყაროს“. რუსებთან ერთად, ერეკლემ განჯის სახანოზე გაილაშქრა, ყარაბაღელები კი იულონ ბატონიშვილმა დაამარცხა ქართველთა ჯარით. სამხედრო ოპერაციის დამთავრებამდე, ჯერ კიდევ განჯაში ყოფნისას, რუსთა ჯარის მეთაურს იმპერატორის ბრძანება მოუვიდა საქართველოს სასწრაფოდ დატოვების თაობაზე. ერეკლე ბევრს ეცადა, ათიოდე დღით მაინც შეეჩერებინა რუსები, მაგრამ ვერაფერს გახდა. რუსული ჯარის წასვლის შემდეგ, ერეკლემაც შეწყვიტა ლაშქრობა (მოგვიანებით მან მაინც დაიმორჩილა განჯა).

რუსეთის ხელისუფლებამ ჯარის გაყვანა იმით ახსნა, რომ თურქეთის წინააღმდეგ ომში ამიერკავკასიის ფრონტის ჩართვას არ აპირებდა, რადგანაც დღის წესრიგში მხოლოდ ყირიმის საკითხი იდგა. მართლაც, ეს ომი 1791 წ. დასრულდა და ზავიც ისე დაიდო, რომ საქართველოს არც ერთი პუნქტი არ შეხებია. შესაბამისად, ახალციხის საფაშოს შემოერთების საკითხიც, რომელიც ერეკლესათვის მთავარი არგუმენტი იყო ტრაქტატის გაფორმებისას, კვლავ გადაიდო და ეს მოხდა მაშინ, როდესაც ომის მსვლელობისას, ერეკლემ არაერთგზის შეახსენა „მფარველს“ მის მიერ ნაკისრი ვალდებულებანი, მიტაცებული ტერიტორიების საქართველოსთვის დაბრუნების თაობაზე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ომის დროს, ახალციხის საფაშოსთან მიღწეული „მეგობრული შეთანხმება“ მაინც დაირღვა: უფრო მეტი აგრესიულობით განახლდა ახალციხიდან გადმოსულ ლეკთა თავდასხმები, „იყო ხდომვა* ლეკთაგან ახალციხით და რყვნიდიან ქართლსა“; თუმცა ამჯერად, ტრაქტატის თანახმად, ერეკლეს შეეძლო რუსეთთან საომარ მდგომარეობაში მყოფი მტრისათვის სამაგიერო მიეზლო. 1789 წელს მისმა შვილიშვილმა – დავითმა 1000 კაციანი რაზმით დაარბია ყარსი* და სასტიკად დაამარცხა თურქთა მღევარი რაზმები. ამავე წელს ლეკები საგურამოს დაესხნენ თავს, მეფის ძე იულონი მათ ივრის ნაპირებთან დახვდა და მთელი ნადავლი წაართვა. ამავე წელს ლეკთა და ოსმალთა ერთიანმა ჯარმა რუსთავი დაარბია; ერეკლემ მათ დავით ბატონიშვილი დაადევნა, რომელმაც ჯავახეთამდე მისდია მტერს და ნაალაფარი დააყრევინა, თავდამსხმელებმა ამჯერადაც ახალციხეს შეაფარეს თავი.

ასეთ ვითარებაში, ქართლ-კახეთის სამეფოს ახალი, გაცილებით მრისხანე ძალა დაებუქრა ირანის მბრძანებლის – ალა-მაჰმად-ხან ყაჯარის სახით.

ქერიმ-ხან ზენდის გარდაცვალების შემდეგ (1779 წ.), შაჰის ტახტისათვის დაწყებულმა მრავალწლიანმა ბრძოლამ მთელი ირანი მოიცვა; ერთმანეთს დაერივნენ ზენდების საგვარეულოს წევრებიც. საბოლოოდ, ამ დაპირისპირებაში ორი ძირითადი მოწინააღმდეგე გამოიკვეთა: ლუთფ-ალი-ხან ზენდი და ალა-მაჰმად-ხან ყაჯარი.

1792 წლისთვის ამ უკანასკნელმა მოწინააღმდეგეზე გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა, ხოლო 1794 წ. თავისი ძალაუფლება უკვე ირანის მთელ ტერიტორიაზე გაავრცელა. საქართველოში კარგად იცოდნენ, რომ შინაომების დასრულებისთანავე, ირანის ახალი შაჰი კვლავ წამოაყენებდა პრეტენზიებს ამიერკავკასიაზე; ამიტომ იყო, რომ ქართლ-კახეთიდან ზედიზედ იგზავნებოდა მოხსენებითი ბარათები პეტერბურგში.

პირველ ხანებში, სანამ მთელ ირანს დაიმორჩილებდა, ალა-მაჰმად-ხანი ერეკლეს მეგობრობას ეფიცებოდა; მაგალითად, ჯერ კიდევ 1786 წ. დეკემბერში, მან თავადი ციციშვილის პირით, ერეკლეს სიტყვიერდ შემოუთვალა: „მე თქვენთან დიდი დოსტობისა და მეგობრობის მონდომე ვარ; მსურს, რომ მე და შენ შუა სიყვარული და მეგობრობა იყოს... და ადრიბეჟანის (სამხრეთ აზერბაიჯანი, ლ.მ.) ალაგები, რომელიც თქვენი მხარე-პროვინციები იყოს, თქვენთვის მიიღევით სამკვიდროდ, როგორც ერევანი გიჭირავთ“. ირანელი პოლიტიკოსების ცბიერება და ვერაგობა კარგად იყო ცნობილი და ამ სიტყვებს საქართველოში, არამცთუ პოლიტიკოსი, უბრალო მოკვდავიც კი არ დაიჯერებდა. მით უფრო, რომ აზერბაიჯანის სახანოები, რომლებსაც ცბიერი ყაჯარი ასე გულუხვად უთმობდა ერეკლეს, 1786 წლისათვის არც მას ემორჩილებოდნენ და არც მის მოწინააღმდეგე ზენდებს.

რუსეთის დახმარების მოლოდინში, ქართლ-კახეთის ხელისუფლება თავის მხრივ აქტიურობდა: აგენტურის წარმატებული მუშაობის წყალობით, სამეფო კარი დეტალურად იყო ინფორმირებული ირანში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ამ ინფორმაციას კი ორგანიზებულად აწვდიდნენ რუსეთის მთავრობას. გარდა ამისა, ერეკლე პირადად ეკატერინე II-ს უგზავნიდა მოხსენებით ბარათებს. ალა-მაჰმად-ხანის თავდასხმის საშიშროება ჯერ კიდევ 1786 წ. არსებობდა: წლის დასაწყისში თავისი ლაშქრით იგი სამხრეთ აზერბაიჯანისაკენ დაიძრა და აქაური ხანები თავისთან დაიბარა მორჩილების პირობის დასადებად. ყარაბაღისა და ერევნის ხანების გარდა, მას ყველანი უსიტყვოდ ეახლნენ. ალა-მაჰმად-ხანმა მათ მძევლები გამოართვა, ყოველწლიური ხარკი შეაწერა და ერთი წლის გადასახადი წინასწარ გამოართვა. ამის თაობაზე ერეკლე რუსეთში მყოფ თავის წარმომადგენელს სწერდა: „ჩემი აზრით, მისი ასეთი მოქმედება მიზნად უნდა ისახავდეს ჩვენს წინააღმდეგ გამოლაშქრებას“. თუმცა ალა-მაჰმად-ხანს ამ დროისათვის ჯერ ირანშიც არ ჰქონდა პოზიციები სათანადოდ გამყარებული. ზენდების მემკვიდრეთა საბოლოოდ დასამარცხებლად, მას კიდევ თითქმის ოთხი წელი დასჭირდა. მეორე მხრივ, აზერბაიჯანელი ხანების უსიტყვო კაპიტულაციის მიუხედავად, მან ყველაზე უკეთ იცოდა, რომ არც ერთი მათგანი საიმედო ვასალი არ იქნებოდა; ამიტომაც იყო, რომ მათგან ლაშქრობაში ჯარით დახმარება არ მოუთხოვია, მხოლოდ ხარკს ართმევდა და ამით საკუთარ ხაზინას ავსებდა. ქართლ-კახეთში ირანის ძველი გავლენის აღდგენამდე კი ჯერ საკუთრივ ირანის სახელმწიფოს აღდგენა იყო საჭირო, ეს კი დიდ ძალისხმევას მოითხოვდა. როგორც შემდგომში აღმოჩნდა, ალა-მაჰმად-ხანი საქართველოზე თავდასხმას დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა და ეს გადაწყვეტილება მხოლოდ მთელი რიგი წინასწარი ზომების შემდეგ მიიღო.

1793 წ. ერეკლემ ისევ აცნობა რუსეთს ირანიდან მოსალოდნელი თავდასხმის საშიშროების თაობაზე და მოითხოვა იმპერატორისაგან, დიპლომატიურ დონეზე

მანც ჩარეულიყო. პეტერბურგში მყოფ თავის ვაჟს – მირიან ბატონიშვილს, იგი წერილით ატყობინებდა: „ხმები გაგრცელდა, რომ (ალა-მაჰმად-ხანი, ლ.მ.) თეირანიდან შირაზისაკენ მიემართება ლუთფ-ალი-ხანის წინააღმდეგ, მაგრამ რადგანაც იგი ცბიერია, ამ ხმებს შეიძლება განზრახ აგრცელებს ჩვენი თვალის ასახვევად და სინამდვილეში, შესაძლოა აზერბაიჯანის გზით ჩვენს საწინააღმდეგოდ ემზადებოდეს. სპარსელების ცბიერება და მუხანათობა საკმაოდ ცნობილია და როგორც წინათაც გწერდი, ეცადე, რომ უმაღლესმა კარმა აგრძობინოს ალა-მაჰმად-ხანს, რომ თავი დაანებოს ჩვენს წინააღმდეგ ბოროტ წამოწყებას. ამისთვის საჭირო იქნება ნაბოძები ზარბაზნების ორი წილი გამოგვიგზავნოს. ეცადე, რამდენადაც შეგიძლია, ამ უკანასკნელისათვის (ე. ი. ზარბაზნების გამოგზავნისათვის, ლ.მ.) შუამდგომლობას და თუ წყალობა იქნება, მე შევეცდები კავკასიის ხაზიდან თვითონ გადმოვიტანო აქამდე. თუ შენ ამ ჩემს ორ სათხოვარს სისრულეში მოიყვან, დიდ სამსახურს გაუწევ შენს სამშობლოს და შენს სახლსაც“. რუსეთის მიერ დიდი ხნით ადრე „ნაწყალობევი“ ზარბაზნების თბილისში გადმოგზავნას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ქართული არტილერიის დასახმარებლად. ეს აქტი მთელ მაჰმადიანურ სამყაროს, ირანის ჩათვლით, მართლაც აგრძობინებდა, რომ რუსეთი საქართველოს რეალურად მფარველობდა. 1786 წლიდან მოყოლებული, პეტერბურგში მყოფი საქართველოს ყველა წარმომადგენელი მუხლმოდრეკით ევედრებოდა რუსეთს ამ ნაჩუქარი ზარბაზნების საქართველოში გადმოგზავნას. 1793 წ. მირიან ბატონიშვილმა იმარჯვა და პირადად ეკატერინე II-ს წარუდგინა მოხსენებითი ბარათი; ამავე წლის 30 მაისს საქართველოს საკითხი რუსეთის სამხედრო საბჭოს სხდომაზე საგანგებოდ განუხილავთ, ერეკლესა და მირიანის მოხსენებითი ბარათებიც წაუკითხავთ და კავკასიის ხაზის უფროს გენერალ გუდოვიჩისათვის მიუწვდით აგრესიის შეჩერების საკითხი. ამავე დროს, გუდოვიჩის მიმართ შემუშავებული სამოქმედო ინსტრუქცია მეტად ორაზროვნად გამოიყურებოდა: მას ევალებოდა, ალა-მაჰმად-ხანი არათუ საქართველოში, არამედ აზერბაიჯანშიც კი არ შეეშვა. სათანადო ზომები გუდოვიჩს ადგილზე შექმნილი ვითარების შესაბამისად უნდა მიეღო, ხოლო თუ საქმე მანც ომამდე მივიდოდა, მაშინ როგორ უნდა ემოქმედა, ამის თაობაზე ინსტრუქციაში არაფერი იყო ნათქვამი. საბჭოს დადგენილებაში პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ გუდოვიჩს ევალებოდა არ შეელახა თურქეთის ინტერესები, ალა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ დაერაზმა აზერბაიჯანული სახანოები და შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებოდა მათ, თუმცა „დიდ ხარჯებსა და დავიდარაბას“ უნდა მორიდებოდა. ზარბაზნებიც თბილისში გადაეგზავნა, „თუკი ისინი მართლაც პირობისამებრ ქართველ მეფეს უნდა გადასცემოდა“. მკვლევარი ი. ცინცაძე ამის შესახებ მართებულად შენიშნავდა: როგორც ჩანს, რუსეთის დიპლომატია დარწმუნებული იყო, რომ რუსეთიდან მიღებული მუქარა და ამიერკავკასიის ხანების ერთი ნაწილის დარაზმვა აგრესორ ყაჯარს საქართველოზე თავდასხმის ხალისს დაუკარგავდა და რუსეთის გენერალიც „დიდი ხარჯებისა და დავიდარაბის გარეშე“ დასახულ ამოცანას შეასრულებდა. აქედან მხოლოდ ერთი რამ არის ნათელი – ქართველმა დიპლომატებმა პეტერბურგში დროულად მიაწოდეს ამომწურავი ინფორმაცია რეგიონში არსებული საფრთხის შესახებ და, შეიძლება ითქვას, რუსეთის ხელისუფლება აიძულეს, რომ

ეს საკითხი საგანგებო სხდომაზე განეხილა. მაგრამ იმისათვის, რომ გუდოვიჩს ეფექტურად ემოქმედა, მარტო სამხედრო საბჭოს ორაზროვანი და ბუნდოვანი გადაწყვეტილება არ იყო საკმარისი: რუსეთში მოქმედი ავტორიტარული რეჟიმის პირობებში გუდოვიჩმა მშვენივრად იცოდა, რომ ომის შემთხვევაშიც კი, საქართველოში ჯარების ან ზარბაზნების გადმოსაგზავნად პირადად ეკატერინე II-ის უზენაესი ბრძანება იყო საჭირო. ამ ყველაფრის შედეგი ის იყო, რომ ეს „ბედკრული“ ზარბაზნები ალა-მაჰმად-ხანის თავდასხმის შემდეგაც კი არ გადმოუგზავნიათ ერეკლესათვის.

შექმნილ ვითარებაში, როდესაც რუსეთიდან დახმარების იმედი არ ჩანდა, ქართველმა პოლიტიკოსებმა ტრადიციულ ხერხს მიმართეს – ირან-თურქეთის მარადიული დაპირისპირების გამოყენება სცადეს და თურქეთს დახმარება სთხოვეს. ასევე მოიქცნენ ერეკლეს ვასალები – ერევნისა და ყარაბაღის ხანებიც, მაგრამ ამჯერად ამას შედეგი არ მოჰყოლია. ერეკლეს და მის მრჩევლებს არც საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაცია გამორჩენილ მხედველობიდან, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამიერკავკასიის პრობლემებს საერთაშორისო ვითარების შესაბამისად განიხილავდნენ; ალბათ, ამით უნდა აიხსნას ერეკლეს ინტერესი საფრანგეთისა და ზოგადად – ევროპაში მიმდინარე პროცესებისადმი. 1793 წ. აპრილში იგი პეტერბურგში მირიან ბატონიშვილს ავალებდა: „მაცნობე შესაძლებლობის ფარგლებში, საფრანგეთისა და სხვა ევროპის სახელმწიფოების ამბები, აგრეთვე რუსეთ-თურქეთის საზავო ხელშეკრულების შესახებ.“

საგარეო ურთიერთობების მოგვარებასთან ერთად, ერეკლე ქვეყნის შიდა პრობლემებსაც არ ივიწყებდა, მტრის თავდასხმის შემთხვევაში მას იმერეთის დახმარების იმედიც ჰქონდა. სოლომონ I-ს ვაჟი არ ჰყავდა, ამიტომ მან ტახტის მემკვიდრედ თავისი ძმისწული დავით არჩილის ძე დაასახელა, რომლის დედაც (ელენე) ერეკლეს ასული იყო. 1789 წელს 17 წლის დავითი სოლომონ II-ის სახელით ავიდა ტახტზე (1789-1810 წწ.). იგი ერეკლე II-ის კარზე გაიზარდა და აგრძელებდა ერეკლესა და სოლომონ I-ის კურსს, რაც საქართველოს გაერთიანებისათვის ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. 1790 წ. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მფლობელებს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც სოლომონ II, სამეგრელოსა და გურიის მთავრებმა ქართლ-კახეთის სამეფოსთან სამხედრო კავშირი გააფორმეს საერთო მტრის წინააღმდეგ ერთიანი ძალებით გამოსვლის შესახებ.

ასეთ ვითარებაში 1795 წლისათვის ერეკლეს ჯერ კიდევ არ მიუღია რუსეთიდან რეალური დახმარება; გენერალ გუდოვიჩის აქტიურობა მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ მან ძვირფასი საჩუქრებით ზოგიერთი დაღესტნელი და აზერბაიჯანელი ხანი მიიმხრო, მაგრამ ალა-მაჰმად-ხანის მოახლოებასთან ერთად, მათი ერთგულება უფრო და უფრო საეჭვო იყო. ერეკლეს ერთადერთ მოკავშირედ რჩებოდა ყარაბაღის ხანი (რომელსაც, თავის დროზე, ალა-მაჰმად-ხანმა მასთან გამოუცხადებლობისათვის სიკვდილი მიუსაჯა), მაგრამ მისი ძლიერების საფუძველი მხოლოდ მიუვალ კლდეზე აგებული შუშის ციხე იყო, რომელიც მართალია მოზრდილ გარნიზონს იტევდა, მაგრამ მრავალრიცხოვანი მტრის წინააღმდეგ გენერალური ბრძოლისათვის ეს არ იყო საკმარისი. გარდა ამისა, შუშის (ანუ

ყარაბაღის) სახანოში ძირითადად სომხები ცხოვრობდნენ, რომლებიც იბრემ-ხანის მიმართ დიდი ერთგულებით არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ ამ შემთხვევაში ირანის წინააღმდეგ ერეკლეს უჭერდნენ მხარს, რადგან მისი იმედი ჰქონდათ; თუმცა შემდეგ, მათმა ნაწილმა მაინც უღალატა მეფეს და თბილისზე თავდასხმისას ალა-მაჰმად-ხანის ბანაკში არმოჩნდა. არსებითი დახმარება ყარაბაღის ხანს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო, თუკი ალა-მაჰმად-ხანი მცირერიცხოვანი ჯარით წამოვიდოდა და შუშის ციხის აღებამდე ვერ გაბედავდა თბილისზე თავდასხმას, მაგრამ ირანის შაჰი სათანადოდ იყო მომზადებული: მისი მთავარი მიზანი იყო ამიერკავკასიაში რუსეთის პრესტიჟის დაცემა, ამას კი პირველ რიგში რუსეთის მფარველობაში მყოფი საქართველოს განადგურებით მოახერხებდა.

საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ ქართლ-კახეთის სამხედრო დაზვერვა შესანიშნავად მუშაობდა, ალა-მაჰმად-ხანის ყოველი ნაბიჯი უმოკლეს დროში თბილისისათვის ცნობილი იყო. ერეკლეს მზვერავებმა ალა-მაჰმადის მიერ ხელმოწერილი საიდუმლო ბარათი და მისივე ხელით დაწერილი თბილისზე თავდასხმის გეგმაც კი ჩაიგდეს ხელში. ეს ყველაფერი ერეკლემ გუდოვიჩს გაუგზავნა. 1795 წ. ივლისში ქართლ-კახეთის ელჩი გარსევან ჭავჭავაძე უკვე ულტიმატუმის სახით მოახსენებდა რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელს: „ალა-მაჰმად-ხანი საქართველოზე თავდასასხმელად ემზადება. ჩემი თანამდებობისამებრ მე უმდაბლესად გთხოვთ გვაუწყოთ: ინებებს თუ არა რუსეთის უმაღლესი კარი ტრაქტატით გათვალისწინებული დახმარებისა და მფარველობის აღმოჩენას. ვთხოვ თქვენს ბრწყინვალეობას სწრაფად მომცეთ პასუხი. ჩვენ ახლა უკიდურესად გვჭირდება ამის ცოდნა“. მიუხედავად ამისა, გუდოვიჩისათვის განკუთვნილი რესკრიპტი* (ეკატერინე II-ის ხელმოწერით) მხოლოდ 1795 წ. 4 სექტემბრისთვის გამზადდა, გუდოვიჩმა კი იგი 1795 წ. 1 ოქტომბერს მიიღო, როცა ალა-მაჰმად-ხანს თბილისი უკვე დარბეული ჰქონდა.

რუსეთის მიერ ჯარის გამოგზავნის საკითხით არანაკლებ იყო დაინტერესებული ალა-მაჰმად-ხანიც, რომელმაც დიპლომატიური ფანდით მოახერხა გუდოვიჩის მოტყუება: 1795 წ. ივნისში მან თავისი „ელჩების“ სახით ორი შენიღბული მზვერავი რუსეთისაკენ გააგზავნა. დადგენილი წესის თანახმად, შაჰის წარგზავნილები კავკასიის ხაზზე (ყიზლარში*) გუდოვიჩთან გამოცხადდნენ და პეტერბურგში გამგზავრების ნება ითხოვეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მათ არ ჰქონდათ სათანადო რწმუნების სიგელები. გუდოვიჩმა ისინი პეტერბურგში არ გაუშვა, მაგრამ ყიზლარში დარჩენისა და შემდგომ საკუთარი სურვილისამებრ უკან დაბრუნების ნება მისცა. ამით მან საბედისწერო შეცდომა დაუშვა – სინამდვილეში „ელჩები“ პეტერბურგში წასვლას არც აპირებდნენ, მათ კავკასიის ხაზზე რუსეთის სამხედრო ნაწილების განლაგება დაზვერეს და დაადგინეს, რომ გუდოვიჩი საქართველოში ჯარის გაგზავნას არ აპირებდა, რაც სასწრაფოდ აცნობეს ალა-მაჰმად-ხანს, რომელსაც რუსეთის ჯართან პირისპირ შეხება არ აწყობდა. ზედმეტად თავდაჯერებულ გუდოვიჩს კი აზრადაც არ მოსვლია, რომ ალა-მაჰმად-ხანი არც ისე უვიცი იყო, რომ უცხო სახელმწიფოში ელჩების გაგზავნის პროცედურა არ სცოდნოდა.

1795 წ. ივლისის შუა რიცხვებში ალა-მაჰმად-ხანმა ომის სამზადისი დაამთავრა. 4 აგვისტოს მისმა ჯარმა მდ. არაქსი გადმოლახა და სამი მიმართულებით დაიძრა: ჯარის ძირითადი ნაწილი პირადად მისი მეთაურობით შუშის ციხეს მიაღწია, ხოლო დანარჩენი ორი განაყოფი – ერევნისა და ბაქო-შირვანისაკენ წავიდა. ერეკლეს მოკავშირეებმა ერევნისა და შუშის ხანებმა ციხეები გაამაგრეს, მოსახლეობა დახიზნეს და საომრად მოემზადნენ. ალა-მაჰმად-ხანმა შუშის ციხე ალყაში მოაქცია და იქიდან ერეკლეს ულტიმატუმი გაუგზავნა, რომლითაც მისგან მოითხოვდა რუსეთის მფარველობაზე სამუდამოდ უარის თქმას, სპარსეთის ვასალობას და ხარკს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართლ-კახეთზე თავდასხმით ემუქრებოდა. ერეკლემ მას პასუხიც არ გასცა.

ალა-მაჰმად-ხანმა იცოდა, რომ შუშის ციხეს მოკლე ხანში ვერ აიღებდა, მას ადრევე ჰქონდა დაგეგმილი ჯარის ნაწილის ციხესთან დატოვება და საქართველოზე გამოლაშქრება. თავიდან იგი არ ჩქარობდა, რადგან ყიზლარიდან თავისი „ელჩების“ პასუხს ელოდა. როგორც კი მისთვის ესოდენ საჭირო ინფორმაცია მიიღო (4 სექტემბერს), 20 ათასიანი ლაშქრით თბილისისაკენ დაიძრა. მას განჯისა და შაქის ხანებიც შეუერთდნენ თავიანთი ჯარებით; გარდა ამისა, მის მხარეზე გადავიდნენ აგრეთვე ყარაბაღელი სომეხი მეღიქები* – მეჯღუმი და ჰაბოვი. ისტორიული წყაროების ცნობით, ალა-მაჰმადმა თბილისთან დაახლოებით 30-35 ათასი მეომრის მობილიზება შეძლო.

თბილისის დასაცავად იმერეთიდან სოლომონ II ჩამოვიდა 2 ათასკაციანი რაზმით. მასთან ერთად, მეფე ერევნის დასახმარებლად გაემართა, მაგრამ ჯერ კიდევ გზაში მყოფს იბრეიმ-ხანისაგან მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოუვიდა: იბრეიმ-ხანის მზვერავებს ხელში ჩაუვარდათ ალა-მაჰმად-ხანისა და ომარ-ხანის პირადი წერილები. წერილში ირანის შაჰი მითითებას აძლევდა ერევანში მყოფ თავის სარდალს, რომ ჯარი ციხეში განელაგებინა და თავდაცვითი სტრატეგიით ემოქმედა, ხოლო როგორც კი ერეკლე გამოჩნდებოდა დამხმარე ჯარით, უმაღლ მისთვის ეცნობებინა, თვითონ კი არ ჩაბმულიყო ქართველებთან ბრძოლაში. ამ ჩანაფიქრის მიხედვით, ერეკლე ორმაგი ღარტყმის ქვეშ აღმოჩნდებოდა – მას ციხიდანაც შემოუტევედნენ და ზურგიდანაც ალა-მაჰმად-ხანი გაანადგურებდა. ამის გამო, ერეკლე იძულებული გახდა, სასწრაფოდ უკან დაბრუნებულიყო.

მეფისათვის ასევე უსიამოვნო ინფორმაციას შეიცავდა ომარ-ხანის წერილიც, რომელშიც იგი აღნიშნავდა, რომ კახეთზე აპირებდა თავდასხმას. ამის გამო, ერეკლე იძულებული გახდა, კახეთიდან ჯარების თბილისში გადმოყვანაზე უარი ეთქვა: გიორგი ბატონიშვილი 4 ათასი მეომრით სიღნაღში დარჩა ომარ-ხანის მოსალოდნელი თავდასხმის მოსაგერიებლად. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, არ არის გამორიცხული, რომ ომარ-ხანის წერილი პირადად ალა-მაჰმად-ხანმა შეთხზა და განზრახ ჩაუგდო იგი ხელში ერეკლეს. ამ გზით, კახეთის ჯარი ადგილზე დააბანდა და ერეკლეს მნიშვნელოვანი ძალა გამოაცალა. ირანელთა ლაშქრის ერთ-ერთი მეთაური, წარმოშობით სომეხი იაკობ ბებუთოვიც ადასტურებს, რომ ირანელები განსაკუთრებით უფრთხოდნენ კახელ მეომრებს. ადვილი შესაძლებელია, რომ წერილი მართლაც ყალბი იყო, რადგან 1795 წ. სექტემბერში ლეკები კახეთს ნამდვილად არ დასხმიან.

სამწუხაროდ, შექმნილი ვითარების გამო, ერეკლეს თბილისის დასაცავად მხოლოდ 5 ათასამდე მეომარი დარჩა. მეფე და მისი სარდლობა არ მოელოდნენ, რომ ალა-მაჰმად-ხანი სექტემბერში შუშის ციხეს აუღებლად დატოვებდა და თბილისზე ისე წამოვიდოდა; ყიზლარიდან პასუხის მიღებისთანავე კი, ირანის მბრძანებელი 4 სექტემბერს სასწრაფოდ დაიდრა თბილისისაკენ და რეკორდულად მოკლე დროში – 8 სექტემბერს ქალაქის მისადგომებთან იაღლუჯის მალღობებზე გამოჩნდა. ეს სისწრაფე იმანაც განაპირობა, რომ ირანელთა ლაშქრის უმეტესობას ცხენოსანი მეომრები შეადგენდნენ.

ერევნის გზიდან მობრუნებული ქართველი მეფეები სოღანლუღში* იდგნენ. ერეკლე აქედან ხელმძღვანელობდა ქალაქის თავდაცვით ღონისძიებებს, ამავე დროს ირანელთა ლაშქრის მოძრაობასაც ადევნებდა თვალყურს. ალა-მაჰმად-ხანის მოწინავე ჯარის წინსვლა 7 სექტემბერს მდ. ხრამის ნაპირებთან მდგარმა ქართველთა რაზმმა შეაჩერა, მათგან 50 მებრძოლი გმირულად დაიღუპა. 8 სექტემბერს მტრის პოზიციების დასაზვერად მეფემ 12 კაციანი ჯგუფი გაგზავნა გორჯასპ ნათალიშვილის მეთაურობით. ისინი იაღლუჯამდე მოსულ მტერს შეეჩხენენ და უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპნენ; გადარჩა მხოლოდ ნათალიშვილი, რომელიც მოკლული მტრის ცხენზე ამხედრდა და ერეკლეს მტრის პოზიციების შესახებ დროულად აცნობა.

ალა-მაჰმად-ხანის მოახლოებისას, ქართველმა მეფეებმა სოღანლუღი დატოვეს და თბილისში შევიდნენ. იმავე ღამეს დაიწყო თბილისიდან მოსახლეობის გახიზვნაც. სოღანლუღი ალა-მაჰმად-ხანმა დაიკავა და იქ დაბანაკდა. ერეკლემ გადაწყვიტა მრავალრიცხოვანი მტრის ლაშქარი მტკვრის ხეობის ვიწროებში შეეტყუებინა და მისთვის გზა თბილისის გამაგრებულ მისადგომებთან გადაეკეტა. 5 ათასამდე ქართველი 35 ათასი ირანელის წინააღმდეგ – ძალთა ასეთი შეფარდების დროსაც კი, 75 წლის ერეკლე მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად ჩვეული შემართებით იდგა.

10 სექტემბერს ირანელთა ლაშქრის ძირითადი შენაერთები საომრად დაეწყვნენ და კრწანისის მიწოდორს მოადგნენ. ერეკლე II ქართველთა ჯარით სეიდაბადის* ბოლოს დადგა. მან მთელი ძალები 5 ნაწილად გაყო: მარჯვენა ფრთას მისი შვილიშვილი დავით ბატონიშვილი სარდლობდა, რომელიც 6 ზარბაზნით სოლოლაკისა და ტაბახმელის მხრიდან თბილისზე მისასვლელ გზებს იცავდა. მარცხენა ფრთა იოანე მუხრანბატონს ებარა, ცენტრსა და მთლიანად ფრონტს მეფე ხელმძღვანელობდა. ცენტრის უკან ერეკლეს განკარგულებით ორი რაზმი განლაგდა – მეფის ძის ვახტანგ ბატონიშვილისა და ოთარ ამილახვრის მეთაურობით. ეს იყო ე. წ. რეზერვი, რომელსაც მეფე ბრძოლის მსვლელობისას შექმნილი ვითარების მიხედვით მიაშველებდა რომელიმე ფრთას. იმერეთის ჯარი ზურაბ წერეთლის ხელმძღვანელობით ბრძოლის ველის ცენტრში, მეფის ხელმარჯვნივ იდგა. ცალკე იყო გამოყოფილი მეწინავე რაზმი, – „მხედრობანი რჩეულნი“, მეფის შვილიშვილის – იოანე ბატონიშვილის მეთაურობით. აღსანიშნავია, რომ თბილისის მოსახლეობის ბრძოლისუნარიანმა ნაწილმა საგანგებო რაზმი შეადგინა მეფის კარის მსახიობისა და მუსიკოსის – მაჩაბელას მეთაურობით,

რომელმაც ბრძოლისას არნახული სიმამაცე გამოიჩინა: მაჩაბელა დაირით ხელში მხიარული სიმღერით („შადიანით“) მიუძღოდა თანამებრძოლებს.

ალა-მაჰმად-ხანმა თავისი ლაშქარი სამ ნაწილად გაყო; ცენტრს თვითონ მეთაურობდა, მარცხენა და მარჯვენა ფლანგებზე კი თავისი სარდლები გაამწესა.

ქართველებმა ოსტატურად გამოიყენეს თბილისის მისადგომების ბუნებრივი რელიეფი და მრავალრიცხოვანი მტერი ისეთ პირობებში აიძულეს ებრძოლა, სადაც ფართო ფრონტის გაშლა არ შეიძლებოდა. ამის გამო, ირანელებს მცირე რაზმებად მოუწიათ ბრძოლა და მალეობზე ჩასაფრებულმა ქართველმა მეთოფეებმა მტერს დიდი ზარალი მიაყენეს. ირანელთა მოწინავე რაზმი (3 000 კაცი) შეტევაზე გადმოსვლის შედეგ, ტაბახმელასა და შინდისის ხევებში გამოჩნდა. მათ ქართველ არტილერიისტთა მცირერიცხოვანი რაზმი შეება. არტილერიისტებს დავით ბატონიშვილის მხედრობა წამოეშველა და ხელჩართულ ბრძოლაში მტერი დამარცხდა: ირანელთა მოწინავე ჯარის დიდი ნაწილი განადგურდა, გადარჩენილებმა კი შაჰს ამ მარცხის შესახებ ამცნეს. 10 სექტემბრის მარცხმა ალა-მაჰმად-ხანი კიდევ უფრო გააბოროტა, მით უმეტეს, რომ მოლაღატეებისა თუ საკუთარი მზვერავების წყალობით მან შეიტყო, რომ ერეკლეს მცირერიცხოვანი ჯარი ჰყავდა. მეორე დღეს, 11 სექტემბერს, დილის 7 საათზე, მან მთელი თავისი ძალებით შეუტია ქართველებს. ირანელები დიდი მსხვერპლის ფასად მიიწევდნენ მტკვრის ვიწრო ხეობაში; ირანელთა არმიის ოფიცერი ი. ბებუთოვი წერდა: „ვეცადეთ და ვერ შევძელით მიახლოება იმათს (ქართველების) სანგარზედ და ჩვენგანნი მგონი ას-ასობით დაეცნენ“-ო. ქართველებმა რამდენჯერმე უკუაგდეს მტერი, საპასუხო კონტრიერიშებითაც დიდი ზიანი მიაყენეს. ირანელებმა ვერ შეძლეს ფრონტის ცენტრალური უბნის გარღვევა, სადაც მხცოვანი ერეკლე II პირადად მეთაურობდა ქართველთა ჯარს. მისი რეაქცია მტრის ყოველ გადაადგილებაზე ელვისებური, ზუსტი და შეუცდომელი იყო, მაგრამ მტრის სიმრავლეს მაინც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ერეკლეს უკვე უკანასკნელი რეზერვები შეჰყავდა ომში.

რადგან ცენტრში შეტევა წარუმატებელი აღმოჩნდა, ირანელთა სარდლობამ გადაწყვიტა ქართველთათვის ზურგიდან მოეწყო და უკანდასახევი გზა მოეჭრა. ამ მიზნით, რამდენიმე ასეული ცხენოსანი შინდისის მიმართულებით დაიძრა. ეს იყო კრწანისის ომის ყველაზე საბედისწერო მომენტი; ხეობაში ჩამოწოლილმა ბურუსმა ქართველთა ზურგისაკენ მიმავალი მტრის ჯარი დაფარა, ბურუსი მხოლოდ მაშინ გაიფანტა, როცა ირანელები ქართველთა მარცხენა ფლანგს მიადგნენ. მართალია, ერეკლემ დროულად ამოიციო მტრის მანევრი და სოლომონ II-თან შიკრიკიც გაგზავნა, რათა დახმარებოდათ, მაგრამ ეს შიკრიკი ირანელ მზვერავებს მოუკლავთ. ზურგიდან მტრის შეტევამ, ქართველთა წინააღმდეგობა გატეხა, დავით ბატონიშვილის ისედაც შეთხელებულმა რაზმმა ვეღარ გაუძლო და ქართველთა მარჯვენა ფრთა მოიშალა. ერეკლეს რაზმიც უკან იხევდა მეოთხე – უკანასკნელი სანგრისაკენ. თავგანწირულ ბრძოლებში ზედიზედ იხოცებოდნენ არტილერიისტი გაბრიელ მაიორი, მსახიობი მაჩაბელა თავისი დასით, სახელოვანი სამასი არაგველი და სხვა მრავალი ქართველი. ერეკლეს ჯარის უდიდესი ნაწილი მტერს შეაკვდა, მაგრამ თითქმის სამჯერ მეტი ზარალის ფასად – ირანელებმა კრწანისში 13 ათასი

მეომარი დაკარგეს. უკანასკნელ სანგარში გამაგრებული ერეკლე რჩეულ მეომრებთან ერთად ბოლო წუთამდე ებრძოდა ყიზილბაშებს: „თუმცა-ღა იყო ფრიად მოხუცებულ, მაგრამ ბრძოლასა მას შინა ყოფაქცევა მისი იყო მრავალთა ჭაბუკთაგან სანატრელ“. მალე ცენტრის დაცვა შეუძლებელი გახდა, რადგან მტერი უკვე ზურგიდან უტევედა და ალყაში აქცევდა, მაგრამ ერეკლე მაინც არ ტოვებდა ბრძოლის ველს; რომ არა იოანე ბატონიშვილისა და მისი რაზმის თავგანწირვა, მეფეს სიკვდილი ან ტყვეობა არ ასცდებოდა. თვითმხილველთა გადმოცემით, ერეკლე „იძულებით წამოიყვანეს“. ავლაბრის ხიდისკენ მიმავალ მეფეს 150-ოდე მეომარი შემორჩა, მათგან თითქმის ყველა დაჭრილი იყო. მან ქალაქისკენ მოიხედა და დაინახა, როგორ გადადიოდნენ ირანელები თავისივე თანამებრძოლთა გვამებზე და ძარცვის ჟინით ანთებულნი მიიწევდნენ ქალაქისაკენ. ბრძოლის სურვილი ისევ მოედალა მეფეს და ცხენი შემოაბრუნა, მაგრამ „მაშინვე ივანე მუხრანბატონმა მეფის ირაკლის ცხენს ხელი უტაცა, გამოატრიალა, ერთის მხრითაც ბატონიშვილი ვახტანგ (იგივე ალმასხან) მივარდა, მეორეს მხრით ბატონიშვილი იოანე, უკან ცხენსაც ქიზიყის მოურავმა მათრაზი დაუკრა და საჩქაროდ გაარბენინეს გულმოკლული საცოდავი ერეკლე“. ხიდს გაღმა, კლდეზე გამოსახული ჯვრის წინ მეფე ჩამოქვეითდა, დაიჩოქა და ქრისტიანობისთვის წამებული აბოს ნეშტს შეავედრა „ქრისტეს ჯვარისათვის ჯვარცმული ერი“. მეფე მთიულეთში გახიზნეს.

11 სექტემბრის ღამით მთელი თბილისი ცეცხლის ალში გაეხვია, ქუჩებში ისევ მიმდინარეობდა ხელჩართული ბრძოლები, ყაჯარის ველურმა ურდოებმა თბილისი დაარბიეს, გაძარცვეს ეკლესიები და სასახლეები, დაანგრიეს სტამბა, ცეცხლს მისცეს წიგნსაცავები, და მოსახლეობა (15 ათასამდე) ტყვედ წაიყვანეს. მეფის სასახლიდან ხაზინასთან ერთად გაიტაცეს რუსეთიდან მიღებული საჩუქრები – სამეფო გვირგვინი, კვერთხი, დროშა.

თბილისთან ბრძოლებმა ქართლს საშუალება მისცა მოსახლეობა და საქონელი უსაფრთხო ადგილებში გაეხიზნა. თბილისის ალების შემდეგ, ქართლის სოფლებში სათარეშოდ გასულმა მტერმა ველარაფერი იხეირა, უფრო მეტიც: როდესაც ალა-მაჰმად-ხანმა ერეკლეს გახიზვნის ადგილი შეიტყო, თავის სარდალი – ქალბ-ალი-ხანი 8 ათასიანი ჯარით გააგზავნა მის შესაპყრობად. ქალბ-ალი-ხანმა სიფრთხილის მიზნით ეს ჯარი ორად გაჰყო: ერთი ნაწილი გორისკენ გაგზავნა დაზვერვაზე, რათა ქართველთა ჩასაფრებულ რაზმებს მისთვის ზურგიდან არ მოეგლოთ, მთიულეთში მიმავალი ირანელთა მეორე ნაწილი ჟინვალამდე მივიდა, მაგრამ მოსახლეობა აქაც დახიზნული დახვდა. ამ დროს, ჟინვალში შამშადილუს მმართველი ალი-სულთანი – ერეკლეს ერთგული მეგობარი, ხიზნად იყო 200 ცხენოსნითა და საქონლით. შამშადილუელები ხევსურეთიდან თბილისისაკენ მომავალ 300 მებრძოლს შეხვდნენ, რომლებმაც არც კი იცოდნენ თბილისის დაცემის შესახებ. ალი-სულთანი ხევსურებს მეთაურად აურჩევიათ, მათ 500 კაციანი სახელდახელოდ შეყრილი რაზმით 4 000 ირანელს შეუტოვეს და სასტიკად დაამარცხეს. ირანელებმა მოკლულები და დაჭრილები იქვე მიატოვეს და თბილისში გამოიქცნენ, გამარჯვებულები კი დატყვევებული სპარსელებით ერეკლესთან გამოცხადდნენ და ჯილდოც მიიღეს.

როგორც ჩანს, ამ მარცხმა ალა-მაჰმად-ხანს აფიქრებინა, რომ ერეკლეს ჯერ კიდევ საკმაო ძალები შერჩა ახალი შეტევის წამოსაწყებად. დოკუმენტური წყაროები ადასტურებენ, რომ მისი შეშფოთება უსაფუძვლო არ იყო: მთიულეთში გახიზნული მეფე მართლაც ახალ ჯარებს უყრიდა თავს. ამის გამო იყო, რომ გამარჯვებულმა ალა-მაჰმად-ხანმა დამარცხებულ ერეკლეს პირველმა თვითონ შესთავაზა ზავი.

1795 წ. 14 სექტემბრით დათარიღებულ წერილში, რომლის ადრესატი გუდოვიჩია, ერეკლე აღარ მალავდა, რომ რუსეთთან დადებული ერთგულების ფიცის გამო დაატყდა საქართველოს ეს უბედურება და კატეგორიულად მოითხოვა რუსეთიდან ჯარის დაუყოვნებლივ გამოგზავნა. იმავე წლის დეკემბერში, როგორც იქნა, რუსთა ჯარის 2 ბატალიონი საქართველოში შემოვიდა. შექმნილ ვითარებაში, რუსეთმა ჩათვალა, რომ მისთვის ხელსაყრელი იყო საქართველოს დარბევის გამო ალა-მაჰმად-ხანის „დასჯის საბაბით“ ირანის წინააღმდეგ ლაშქრობა წამოეწყო; სინამდვილეში კი რუსეთის ხელისუფლება ირანში თავის სავაჭრო-ეკონომიკურ ინტერესებს იცავდა.

1796 წ. აპრილში დაიწყო რუსეთის ლაშქრობა ამიერკავკასიაში. რუსულმა ჯარებმა ვალერიან ზუბოვის მეთაურობით დაიკავეს დარუბანდი და ჩრდილო აზერბაიჯანის რამდენიმე ქალაქი. ამან საგრძნობლად გაამყარა ერეკლეს პოზიციები. ეკატერინე II ღიად აცხადებდა, რომ იგი დაინტერესებული იყო საქართველოს გაძლიერებით, მაგრამ ყველაფერი უეცრად შეიცვალა. 1796 წ. 6 ნოემბერს ეკატერინე II გარდაიცვალა და ახალმა იმპერატორმა პავლე I-მა ირანში ლაშქრობის გეგმა გააუქმა. 1796 წ. 6 დეკემბერს ზუბოვმა ამიერკავკასიიდან ჯარების გაყვანის ბრძანება მიიღო. ეს საქმე რამდენიმე ხნით შეფერხდა ზამთრის პირობების გამო. საქართველოში 1795 წ. შემოყვანილი 2 ბატალიონის გაყვანას რუსეთი თითქოს არც აპირებდა, მაგრამ ამასობაში ალა-მაჰმად-ხანმა ერეკლეს უკვე ორჯერ გამოუგზავნა ულტიმატუმი და ურჩობის შემთხვევაში კვლავ თავდასხმით ემუქრებოდა.

1797 წ. გაზაფხულზე რუსეთის ჯარის დიდმა ნაწილმა ამიერკავკასია დატოვა. ამით გულმოცემულმა ალა-მაჰმად-ხანმა ივნისის შუა რიცხვებში მდ. არაქსი გადმოლახა და მოსახლეობისაგან უკვე დაცლილ შუშაში შევიდა. აქედან იგი საქართველოზე აპირებდა წამოსვლას, მაგრამ საბედნიეროდ, 6 ივნისს იგი შეთქმულებმა მოკლეს. ქართული და ირანული წყაროებით დასტურდება, რომ მისი ერთ-ერთი მკვლელი იყო მისივე პირადი მსახური, წარმოშობით ქართველი „სადეყ, სახელად გურჯი“, ქართული გადმოცემით – იგივე მცხეთელი ანდრია, რომელსაც ბელის უკუღმართობამ შაჰის მსახურობა არგუნა.

ამიერიდან ერეკლეს კვლავ შეეძლო ეფიქრა ქართლ-კახეთის აღორძინებაზე. იგი დაჟინებით ითხოვდა რუსეთის მთავრობისაგან კუთვნილი დახმარების მიღებას (ჯარისა და ფულადი სესხის სახით), ამავე დროს უკვე მერამდენედ შეახსენა პეტერბურგელ „მფარველებს“, რომ ჯერ კიდევ 80-იან წლებში ეკატერინეს მიერ ნაჩუქარი ზარბაზნები ქართველებს ისევ არ მიუღიათ; ეს თხოვნა ერეკლეს ელჩმა 1797 წ. დეკემბერში კიდევ ერთხელ აღძრა მათ წინაშე, მაგრამ ისევ უშედეგოდ.

რუსეთთან ურთიერთობის მთელი ისტორია მხოლოდ იმაზე მიუთითებდა, რომ „ერთმორწმუნე“ იმპერია მხოლოდ საკუთარი ინტერესების თვალსაზრისით განიხილავდა საქართველოს დახმარებას, რაც საბოლოოდ, საქართველოს სრული დაპყრობით უნდა დაგვირგვინებულყო. ასეთ ვითარებაში, ქართლ-კახეთის სამეფოს მართლაც უმძიმესი ხანა დაუდგა: 1798 წლის 11 იანვარს თელავში გარდაიცვალა ერეკლე II.

გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ სიცოცხლის ბოლოს კრწანისის ტრაგედიის მიუხედავად, ერეკლე II ქართველი ხალხის ისტორიაში, და რაც მთავარია – მის მენსიერებაში, – უღრმესი კვალი დატოვა. თავისი სიცოცხლის უმეტესი ნაწილი ამ მეომარმა მეფემ ბრძოლებში გალია და ხშირად უბრალო ჯარისკაცის ხვედრს თანაბრად იზიარებდა. ხალხმა მას საალერსო სახელი „პატარა კახი“ უწოდა და ამითაც გამოხატა მის მიმართ აღფრთოვანება, რომ ტანით პატარა, მაგრამ ბრძოლითა და ღვაწლით დიდმა ხელმწიფემ ქართლ-კახეთის სამეფოს ამიერკავკასიაში ძველი დიდების ხანა აღუდგინა. თავისი მოღვაწეობით, მან ევროპის ქვეყნებშიც მოიხვეჭა სახელი, რაც უმიზეზოდ და უსაფუძვლოდ ნამდვილად არ ხდებოდა. ამ მხრივ, საგულისხმოა სომხური ეროვნული მოძრაობის მოღვაწის იოსებ ემინის (1726-1809 წწ.), სიტყვები წერილიდან ერეკლესადმი: „შენი სახელი ინდოეთში გავიგონე, მაგრამ მხოლოდ ინგლისში გავიგე შენი გამარჯვებების ამბავი“. თავის ნაშრომში კი, იგი შემდეგნაირად ახასიათებს ერეკლეს: „ის ძლიერია სულითაც და სხეულითაც. მასთან საუბარი ისევე სასიამოვნო და ჭკუის სასწავლებელი იყო, როგორც განსწავლულ ინგლისელ ჯენტლმენტან საუბარია. ის მოკლებულია ყოველივე ამპარტავნობას, ძალადობასა და ქედმაღლობას, ესოდენ ჩვეულებრივს სხვა აზიელი ხელმწიფეებისათვის. ის დიდად გონებამახვილია და არასოდეს არ ტრაბახობს“.

ალბათ, პრუსიის ძღვევამოსილ მეფეს ფრიდრიხ II-საც (1740-1786 წწ.) ჰქონდა სერიოზული საფუძველი ასეთი გამონათქვამისათვის: „ევროპაში მე ვარ და აზიაში – საქართველოს მეფე ერეკლე“-ო.

განმარტებითი ლექსიკონი *

არაგვის საერისთავო – სამხედრო-ადმინისტრაციული ოლქი ფეოდალურ საქართველოში, მოიცავდა არაგვის ხეობასა და მდ. თერგის სათავეებს. ერისთავთა რეზიდენცია იყო ღუშეთი და სიონი, მთავარი ციხე – ანანური, საგვარეულო მონასტერი – ბოდორნა.

არეზი//არაქსი – მდ. ამიერკავკასიაში, სათავეს იღებს თურქეთში.

არტაანი – ისტორიული მხარე და ციხე-ქალაქი სამხრეთ საქართველოში, მტკვრის ზემო დინებაზე. 1921 წ. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ თურქეთმა მოახდინა მისი ოკუპაცია და რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულების ძალით შეიერთა.

ასტრახანი – ქალაქი მდ. ვოლგის დელტაში (რუსეთის ფედერაცია).

ბაიდარი – (ძვ. „წყალთაშუა“), ისტორიული მხარე ქვემო ქართლში, მდ. ქციის ნაპირზე, ახლ. მარნეულის რაიონში. XVII ს-ში ირანის შაჰებმა აქ ეტაპობრივად ჩამოსახლეს მომთაბარე თურქმანული ტომები, რომლებიც ცალ-ცალკე სოფლებად სახლდებოდნენ და ქართველი მეფეების ყმებად ითვლებოდნენ.

ბელუჯისტანი – მხარე აზიაში, ირანის მთიანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

ბირთვისი – ციხე ისტორიულ ქვემო ქართლში, მდ. ალგეთის ხეობაში (ახლ. თეთრი წყაროს რაიონში).

ბორჩალო – ისტორიული მხარე ქვემო ქართლში, ძირითადად მოიცავდა ახლ. მარნეულის ტერიტორიას; სახელწოდება მოდის მდ. დებედას ხეობაში XVII ს-დან ჩამოსახლებული თურქმანული ტომის – ბორჩალუსაგან.

ბუხარის სახანო – მდებარეობდა ახლანდელ უზბეკეთში, ბუხარის ოლქში.

განჩინება – კანონი, წესდება.

ენშიაძინი – სომხური სამონასტრო კომპლექსი ერევნიდან 20 კმ-ზე.

ვექილი – (არაბ. ვაქილ) რწმუნებული, მეურვე, მზრუნველი.

ზამბურაკი – (სპარს. დიდი თოფი), აქლემებზე ასაკიდებელი პატარა ქვემეხი, ფალკონეტი.

თაბორი – ფეოდალური ხანის ციხე-სიმაგრე თბილისის ძველ უბანში, თაბორის ქედის ბოლოს, ახლ. ბოტანიკური ბაღის თავზე. ციხისაგან დღეს ნანგრევებია შემორჩენილი. ციხე იცავდა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან თბილისში შემომავალ გზას.

თავრიზის სახანო – მდებარეობდა ჩრდილოეთ ირანის ტერიტორიაზე.

თულქი-თაფა – ველი ყაზახის სახანოს საზღვართან (ახლ. ზერბაიჯანის ტერიტორია).

იაღლუჯი – ქედი ქვემო ქართლში, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, სოღანლუღის ვაკესა და მდ. ალგეთის ქვემო დინებას შორის.

კაკ-ენისელი (კაკი//კახი) – საქართველოს ისტორიული პროვინციის – ჰერეთის მნიშვნელოვანი ნაწილი, ახლ. აზერბაიჯანის შემადგენლობაში.

ლორე (ლორე-ტაშირი) – შუა საუკუნეების ციხე-ქალაქი და ისტორიული მხარე აღმოსავლეთ საქართველოში, ქვემო ქართლის განაპირა ოლქი (ახლ. სომხეთის ტერიტორია).

მდ. აგრი-ჩაი (აგრის-წყალი) – ალაზნის შენაკადი, ახლ. აზერბაიჯანის საზღვრებში.

მელიქი – (არაბ. მალიქ – მფლობელი, გამგებელი, მეფე) – XVIII ს. ამიერკავკასიაში აღნიშნავდა ფეოდალთა ტიტულს და თანამდებობას.

მოზლოკი – ქალაქი ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე.

მულანლო – მარნეულის რაიონის სოფლების – დიდი მულანლოსა და ქირაჩ-მულანლოს ძველი სახელწოდება.

ნახიჩევნის (ნახჭევნის) სახანო – შეიქმნა XVIII ს-ის შუა ხანებში, ნადირ-შაჰის იმპერიის დაშლის შემდეგ (დღ. აზერბაიჯანის ტერიტორია).

პრუსია – გერმანული სახელმწიფო ცენტრალურ ევროპაში. გაუქმდა II მსოფლიო ომის შემდეგ.

რეგალიები – მეფის ხელისუფლების ამსახველი ნივთები (გვირგვინი, ტახტი და ა. შ.) ზოგადად – წარჩინების ნიშანი (მაგ.: ორდენი და სხვა).

რეგენტი – მონარქიულ ქვეყნებში სახელმწიფოს დროებითი მმართველი (მაგ.: მეფის მცირეწლოვანების გამო).

რესკრიპტი – მეფის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტი (მიწერილობა) ქვეშევრდომისადმი.

საამილახვრო (საამილახორო) – პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეული (სათავადო მდ. ლეხურასა და ლიახვს შორის), რომელსაც მართავდა მეფის მიერ დანიშნული მოხელე – ამილახვარი. XV ს-დან საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ ამილახვარმა დაკარგა სამოხელეო შინაარსი და გვარსახელად იქცა. ქართლში ამილახვრის გვარი მიიღო სამცხე-საათაბაგოდან ჩამოსახლებულმა ზევდგინიძეთა ფეოდალურმა სახლმა. ქართლის ამილახვრები იყვნენ დიდებული თავადები და ზემო ქართლის სადროშოს სარდლები, მათ საფეოდალოს კი საამილახვრო ეწოდებოდა.

საბარათიანო – XV ს-ის სათავადო ფეოდალურ საქართველოში. ტერიტორიული საზღვრები – გაჩიანიდან თბილისის სამხრეთით – ლორემდე, რეზიდენცია – სამშვილდე.

სადგერი – სოფელი ბორჯომის რაიონში.

სამშვილდის ციხე – უძველესი ისტორიული ციხე-ქალაქი აღმოსავლეთ საქართველოში, ახლ. თეთრიწყაროს რაიონის სოფ. სამშვილდის მახლობლად (ქვემო ქართლი). დღეს შემორჩენილია ნანგრევების სახით.

სამცხე-საათაბაგო – ფეოდალური სამთავრო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში; ახლ. ახალციხის, ასპინძის, ადიგენის რაიონებისა და თურქეთის მომიჯნავე ტერიტორია.

საქსონია – ისტორიული ოლქი გერმანიაში.

სეიდაბადი – ძველი უბანი თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, კრწანისი ველსა და თაბორის მთას შორის.

სინდი (სინდეთი) – პროვინცია პაკისტანის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ქვემო ინდის აუზში; დედაქალაქი – კარაჩი.

სოღანლული – ისტორიული სოფელი თბილისის შემოგარენში, ახლანდ. ფონიჭალა (თურქ. სახელწოდებაა და ნიშნავს „სახახვეთს“; ქართულად ერქვა „გზისკარი“ და „ყურყუთა“).

სპასალარი – (სპარს. სეფაჰ-სალარ – სარდალი), სამხედრო მოხელე ძველ საქართველოში, ადგილობრივი მნიშვნელობის მხედართმთავარი, რომელიც ყოველ კუთხეს თავისი ჰყავდა.

ქსნის საერისთავო – სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული ფეოდალურ საქართველოში. მოიცავდა მდ. ქსნისა და მის დასავლეთით მდებარე ხეობებს, მათ შორის – პატარა ლიახვის ხეობასაც. XVII ს-დან მისი ცენტრი იყო ახალგორი.

ქურუკ-კაინარჯი – სოფელი მდ. ღუნაის ნაპირზე, სადაც 1774 წ. 10-21 ივლისს გაფორმდა საზავო ხელშეკრულება რუსეთსა და თურქეთს შორის.

ყაზახი – მხარე ისტორიულ ქვემო ქართლში, მდ. აღსტაფის ქვემო წელზე (ახლ. აზერბაიჯანის ტერიტორია).

ყარაბაღის (შუშის) სახანო – ფეოდალური ეპოქის სახანო აზერბაიჯანში, 1747 წ. დააარსა ფანა-ხანმა, მდებარეობდა მდ. არაქსისა და მტკვრის შუა.

ყარსი – ქალაქი ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში.

ყიზლარი – ქალაქი დაღესტანში, მდ. თერგის დელტა.

ყუბა-დარუბანდის სახანო – XVIII ს-ის მეორე ნახევარში შექმნილი ყუბის ფეოდალური სახანო ჩრდილო-აღმოსავლეთ აზერბაიჯანში, მართავდა ფათალი-ხანი. 1759 წ. ფათალი-ხანმა შეიერთა დარუბანდის სახანოც (სამხრეთ დაღესტანში).

შაქის სახანო – ფეოდალური სახანო აზერბაიჯანის ჩრდილოეთ ნაწილში, შეიქმნა აჯი-ჩელების თაოსნობით.

შორაპნის ციხე – ანტიკური და შუა საუკუნეების ეპოქის ციხე-სიმაგრე დასავლეთ საქართველოში, მდ. ყვირილასა და ძირულას შესართავში (ზესტაფონის რ-ნი); მოღწეულია ნანგრევების სახით.

ჭარ-ბელაქნის სახანო – XVIII ს. დასაწყისში დაღესტნელი ფეოდალების მიერ აღმოსავლეთ კახეთის (ისტორიული კაკ-ენისელის) ტერიტორიაზე შექმნილი პოლიტიკური ერთეული, იგივე საინგილო; დღ. აზერბაიჯანის შემადგენლობაში. მოიცავს ბელაქნის, ზაქათალის და კახის რაიონებს.

ხდომვა – თავდასხმა.

ხივის სახანო – მდებარეობდა ახლანდელ უზბეკეთში, ხორეზმის ოლქში.

ხუნძახი – ტერიტორია დღევანდელ დაღესტანში, მდ. სულაკის ხეობაში.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

- ომან სერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, ტექსტი გამოსცა ლ. მიქიაშვილმა, თბ. 1989.
- პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბ. 1981.
- თეიმურაზ ბაგრატიონი, დავით ბაგრატიონის ისტორია, ტექსტი გამოსცა თ. ენუქიძემ, თბ. 1972.
- ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1965; ტ. VI, თბ. 1973.
- საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ. 1973.
- მ. სამსონაძე, საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაცია XVIII საუკუნეში, თბ., 1988.
- გ. ქიქოძე, ერეკლე მეორე, თბ., 1983.
- ზ. შარაშენიძე, ირანი XVII საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1970.
- ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, თბ., 1957.
- ცინცაძე, ალა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე, თბ., 1969.